

პათშმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ISSN 1987-7684

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა
საკითხები

VII

შრომების კრებული

ეძღვნება უნივერსიტეტის
დაარსებილან მე-80 წლისთავს.



გამოცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

YDC (უაგ) 316 (051)
ს 743

„სოფიალური მეცნიერებლის სიუსტები“
გამოწეს 2009 წლიდას

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე

სარედაქციო კოლეგია:

გუსეინ ნიზამი ოღლი ნაჯაფოვი (ბაქ), გენადი
იაშვილი (თბილისი), ლადო მკერვალიშვილი (თბილისი)
ინება ზორბეგი, ნატალია ლაზბა, ზაზა ბურჯაძე, ირაკლი
გორგილაძე, ლაშა ბაჟუნაიძევილი, ინგა ცინცქილაძე,
ირინა ცინცაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

რეცენზენტები:

მარინა იტრიაშვილი
ოსებ სანიკიძე
ლევან ჯაყული

ISSN 1987-7684

© სოციალურ ეკონომიკათა დაართამაცევი

სტატიაში მოცემულ ფაქტებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე პაულისმგებელია ავტორი!

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, „უნივერსიტეტის II კორპუსი,
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

E-mail manvelidze.irakli@gmail.com

Tel: 0422 29 33 46

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of social and Political sciences

Department of Social Sciences

Problems of Social Sciences

VII

PROCEEDINGS

To the 80-th Anniversary of Shota
Rustaveli State University



**Publishing House „Universal“
TBILISI-2015**

Problems of Social Sciences

Issued since 2009

Chairman of the Editorial Board, Editor:

Irakli Manvelidze

Editorial Board:

Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Lasha Bajunaishvili, Inga Tsintsqiladze, Irina Tsintsadze.

reviewers:

Marina Itriashvili

Ioseb Sanikidze

Levan Jakeli

ISSN 1987-7684

© The Department of Social Sciences

Address: 505, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,

E-mail manvelidze.irakli@gmail.com Tel: 042 229 33 46


Publishing House „Universali“

Publishing House „universali”, 2015

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

VII

80-



« »

2015

«

»

2009

, : , :

:

(), (),
(), (),
(), ().

:

ISSN 1987-7684

©

For providing in articles the material, opinions and conclusions responsibility of the author.

: , , ,
35, II,
#505.

E-mail manvelidze.irakli@gmail.com Tel: 0422 29 33 46

« », 2015

, 0179, . 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

შ ი ნ დ ა ნ ი ს ი
C O N T E N T

პოლიტიკის მეცნიერება

Political Science

| | |
|---|----|
| ირაკლი გორგილაძე | |
| საიცორმაციო საზოგადოებაში პოლიტიკის | |
| ფრანსფორმაციის საკითხებისათვის – | |
| კიბერპოლიტიკა | 13 |
| | 19 |
| <i>Irakli Gorgiladze</i> | |
| Concerning questions of transformation of information politics in | |
| society..... | 19 |
| არჩილ ვარშალომიძე | |
| საქართველო ევროპული ინტეგრაციის გზაზე | |
| (ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის) | 20 |
| <i>Archil Varshalomidze</i> | |
| Georgia on the way of European integration | |
| (Association Agreement between EU and Georgia)..... | 30 |
| | 31 |

| | |
|--|-----|
| ზაზა ბურჯაძე | |
| ოპერაცია „ტორჩი“ და საფრანგეთის ეროვნული | |
| განთავისუფლების კომიტეტის შექმნა | 32 |
| Zaza Burkadze | |
| Operation "Torch" and creation of the French committee of | |
| national liberation..... | 94 |
| " " | |
| | 94 |
| კახაბერ სურგულაძე | |
| თურქეთიდან ერთული მიწაების დაპრუნების იდეოლოგიური | |
| პრედის ისტორია..... | 95 |
| Kakhaber Surguladze | |
| From the history of ideological struggle of returning Georgian lands | |
| from Turkey | 104 |
| | 105 |
| გენაძი იაშვილი | |
| ირაკლი მანველიძე | |
| აჭარის საჯარო დაცვასა გულებების საზოგადოებასთან | |
| ურთიერთობების სტრატეგიის შეფასება ელექტრონული | |
| გენერაციების განვითარების კონტექსტში..... | 106 |
| Genadi Iashvili | |
| Irakli Manvelidze | |
| Evaluation of the strategy for public relations of Adjarian | |
| public institutions in the context of development of | |
| electronic governance | 113 |

| | |
|--|----------|
| | 114 |
| მარინე აბლოთია პოლიტიკური კომუნიკაციის თანამდებობა ფორმები | 115 |
| | 125 |
| <i>Marine Ablothia</i> | |
| Modern forms of political communication | 125 |
| | 137 |
| <i>Salome Kintsurashvili</i> | |
| Some aspects of lobbying communications | 137 |
| ინგა ცინცქილაძე პოლიტიკური ლიდერობა: ქალაუზლების მრავალსახეობა . 139 <i>Inga Tsintskiladze</i> | |
| Political leadership: different types of power..... | 147 |
| : |148 |
| ხათუნა მურადიშვილი პოლიტიკური ლიდერის ლილება პატარა ქვეყნის მაგალითზე | 149 |

Khatuna Muradishvili

Dilemma of politician leader in an example of small country.....157

.....158

სოციოლოგია
Sociology

ინეზა ზოიძე

სოციალური ინსტიტუტი და

საზოგადოებრივი სფარილურობის ზოგიერთი პრობლემა . 159

.....166

Ineza Zoidze

Social Institutions and some problems of social stability167

ჰერალდიკა
Heraldry

ნატალია ლაზბა

პიმინი როგორც სახელმწიფო სიმბოლიკის ერთერთი მთავარი
ელემენტი

168

.....176

Natalia Lazba

History of Hymns.....177

გასპომუნდების

Mass Communication

| | |
|--|-------|
| ირინე ცინცაძე „ენობრივ – სტილისტიკური დარღვევები საჯარო დაცვებულებების ვებგვერდებზე“ | 178 |
| « - - » | 187 |
| Irine Tsintsadze „Language-stylistic mistakes on web-pages of public institutions“. | 188 |
| თამარ ორაგველიძე გაზე „სამუსლიმო საქართველოს“ როლი ეროვნული თვითმევების აზაღვებაში | 189 |
| Tamar Oragvelidze Newspaper “Samuslimano Sakartvelo” role in national consciousness increase | 196 |
| « - - » | 197 |
| ნესტან მამუჭაძე ახალი აშჩების წერა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ფუნქციური ასაექტი | 198 |
| Nestan mamuchadze Writing news and some functional aspects related to it | 205 |
| | ..205 |

| | |
|---|----------|
| ნათელა ბერიძე | |
| სიტყვის თავისუფლება და თანამედროვე მედია..... | 207 |
| <i>Natela Beridze</i> | |
| Freedom of Speech and Modern Media..... | 217 |
| |218 |

სამართალი

Law

| | |
|---|----------|
| ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე | |
| უფლების დაცვის „ხანძაზმულობის“ ვადები სამოქალაქო | |
| მათერიალურ სამართალში..... | 219 |
| <i>Linda Shalamberidze-Verdzadze</i> | |
| The “limitation” dates of defending rights in civil material law..... | 244 |
| |245 |

« »

პოლიტიკის მეცნიერება Political Science

**საინფორმაციო საზოგადოებრივი პოლიტიკის
ტრანსფორმაციის საკითხებისათვის –
პირერთობის**

ირაკლი გორგილაძე

თანამედროვე ეტაპზე, პოლიტიკური (პროცესი) როგორი
სახითაც შევეჩივიეთ მას, ეტაპობრივი ტრანსფორმაცია და-
იწყო ვფიქრობ ეს ცვლილებები შესაძლებელია შვაფასოთ
როგორც მასობრივი პოლიტიკიდან კიბერპოლიტიკაზე გა-
დასვლის პროცესი. ბუნებრივია საბაზისო პრინციპები სა-
ზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც უკავშირ-
დება ბრძოლას ხელისუფლებისთვის ან/და ლეგიტიმურ ძა-
ლადობას, არ იცვლება და როგორც ჩანს, ამ ფორმით ის მო-
მავალშიც შენარჩუნდება. იცვლება პოლიტიკის განხორციე-
ლების სოციალური საფუძვლები, პოლიტიკური პრინციპე-
ბის განვითარების მასშტაბები, გარემო და აქტივობის სტი-
ლი.

ფაქტია, რომ XX საუკუნეები მასობრივ საზოგადოებაში პოლიტიკა დაკავშირებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორთან. ის პირველყოვლისა ეფუძნებოდა სოციალურ სტრუქტურას, ე.წ. ინდუსტრიულ საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნებოდა მასშტაბურ სამრეწველო წარმოებას, რითაც პოლიტიკური კომუნიკაცია ხორციელდებოდა ტრადიციული მეთოდებით (გაზეთი, ტელევიზია, რადიო), ინფორმაცია გადაიცემოდა მასებში რამდენიმე გავლენიანი წყაროს მიერ.

გასული XX საუკუნე, ასევე მიჩნეული იყო პოლიტიკური იდეოლოგიების საუკუნედ, რომელსაც ძლიერ ფუნდამენტურ ფასეულობებს ეფუძნება. საკუთრივ პოლიტიკური პროცესი კი კონსტრუირდებოდა ძლიერი პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული უპირატესობის პრინციპებზე.

დღეს უკვე აშკარაა ყველა ამ პარამეტრის ტრანსფორმაცია და მოდიფიკაცია, მათ შორის: მასობრივი სამრეწველო წარმოებიდან სამეცნიერო კვლევებთან და ინოვაციურ წარმოებაზე გადასვლა, გლობალიზაცია ზრდის საგარეო - ეკონომიკური და საგარეო - პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას, ახალი მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების ინდივიდუალური არჩევანით, იდეოლოგიებისაგან ჩამოშორება ან ორიენტაციის შესუსტება:

- პარტიული პოლიტიკის შესუსტება;

- სამეცნიერო კვლევების, საზოგადოებრივი აზრის, PR, სოციალური ინჟინერის, ინსტიტუციონალური დიზაინის და ა.შ. როლის ზრდა;

- პოლიტიკური პროცესების ავტომატიზაცია (ელ. მთავრობა, სისტემაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეგულატორების ჩანერგვა).

ფაქტია, რომ ეტაპობრივად პოლიტიკა კარგავს ადამიანურ ხასიათს და ხდება გაუცხოვება მასსა და მოქალაქეებს შორის. თუკი ადრე პოლიტიკაში მოქალაქეთა მასობრივი ჩართულობის ინტერფეისს ტელევიზია წარმოადგენდა, დღეს ისინი უკვე ინტერნეტის ვირტუალური პერსონაჟები არიან. ადამიანების ინტერესი პოლიტიკისადმი ნელდება, როგორც ავტორიტეტულ ქვეყნებში, ისე დემოკრატიულში. ეს დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის მცირე გამონაკლისით, როცა ეს უკანასკნელები პოლიტიკური ტენდენციების ტრანსფორმაციის აქტიურ ფაზაში იმყოფებიან.

კიბერნეტიკამ, როგორც მეცნიერებამ სისტემებში ინფორმაციის მართვისა და გადაცემის კანონზომიერ პროცესების შესახებ, ნელ-ნელა თეორიული კვლევებიდან გადაინაცვლა ეკონომიკაში, პოლიტიკასა და საზოგადოებაში. მოცემულ შემთხვევაში კიბერპოლიტიკას გამოვიყენებთ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით: კობრენეტიკული მეთოდების გამოყენება პოლიტიკაში. განვიხილოთ რამდენიმე კიბერნეტიკული პრინციპი პოლიტიკაში.

ჯერ ერთი, ავტომატიზირებული მექანიზმების გამოყენება უკუგებისათვის, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სოციალური სტატისტიკა და სხვადასხვა ეკონომიკური მეთოდების შემუშავება. უკუგების ყველა ეს მექანიზმი ბუნებრივია ზრდის სოციალური პოლიტიკის ეფექტურობას, რომლის ძირითადი ნიშანი ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ადაპტირებულობაა; მეორე, პოლიტიკური პროცესების მართვის მექანიზმების ოპტიმიზაცია გონივრული ინსტიტუციონალური დიზაინითა და სოციალური ინუინერიით. აქ, პოლიტიკური ინსტიტუტების ექსპერიმენტებითა და არსებული პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზით, მუშავდება ეფექტური პოლიტიკური მართვის მოდელი, რომელთა გამოყენება მმართველ ელიტას საშუალებას აძლევს მათ მიერ კონტროლირებადი საზოგადოება წარმართონ ეფექტურობის სხვადასხვა ხარისხით; მესამე, სოციალური პროთეზირება და მანიპულაცია, როგორც პოლიტიკის რეალიზების ძირითადი საშუალება; და ბოლოს, მეოთხე, წარმატებული პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო, მოითხოვს ეფექტურ პოლიტოლოგიურ ექსპერტიზას, კვლევით ცენტრების არსებობას და კადრების მომზადებას, რომელთაც ძალუძს მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური კონსალტინგის შეთავაზება პოლიტიკური ლიდერებისათვის. მართალია ის (პოლიტიკური მეცნიერება) არ იძლევა გარანტიას წარუმატებლობის ან ჩავარდნის თავი-

დან აცილების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკას ბალანსირებულსა და ფრთხილს ხდის.

აღნიშნული ტენდენციების კუმულაციური შედეგია ის, რომ პოლიტიკა სულ უფრო რთული მოვლენა ხდება, მაგრამ ეს გარდაუვალი მომავალია. პოლიტიკური სისტემის კიბერნეტიზაცია აუცილებელია მისი ეფექტურობის ზრდისათვის, სხვა შემთხვევაში კუბის, ჩრდილოეთ კორეისა და თითქმის მთელი აფრიკის გამოკლილებამ აჩვენა, თუ როგორ ჩიხში ექცევიან ქვეყნები, რომლებიც ირჩევენ იზოლაციის გზას და უარყოფენ კიბერპოლიტიკას. შედეგად, საკუთრივ პოლიტიკური ელიტაც იქ აღმოჩნდება, სადაც ქვეყანა მთლიანად კიბერნეტიზაცია აუცილებელია ხარისხიანი მართვისათვის. ბიზნესი მიდის იქით, სადაც გაცილებით დიდი შემოსავალია. მოსახლეობა ტოვებს ადგილს, სადაც მას არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

პოლიტიკური შემადგენლის ხარისხობრივი ვარდნა საზოგადოებაში მკაფიოდ აისახება პოლიტიკურ ელიტაზე და საზოგადოებაზე მთლიანობაში. ამ ასპექტში კიბერპოლიტიკა ფორვატერში მიჰყვება თანმიმდევრული განვითარების თეორიას.

კიბერპოლიტიკას პოლიტიკურ ველში შემოაქვს ახალი საკამათო საკითხები, რომელთა ირგვლივ ფორმირებას ინყებს ახალი პოლიტიკა XXI საუკუნეში, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო მართვის სფეროში - ელექტრონული მთავრობა.
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობებში - კიბერკონფლიქტი და ინტერნეტის მართვა.
- ✓ შიდა უსაფრთხოება - თვალთვალი, დაზვერვა.
- ✓ პოლიტიკური მონაწილეობის სფერო - ელექტრონული კენჭისყრა და თვითორგანიზაციის ქსელური ფორმები (სოც. ქსელი)
- ✓ მიმდინარე პოლიტიკური პროცესი - მათემატიკური გამოთვლები, დანაკარგების, კონტრმასის დადგენა.
- ✓ პოლიტიკური კომუნიკაცია - ინფორმაციული პოლიტიკის მართვა და ახალი მასშედია.

რა თქმა უნდა, ეს არასრული ჩამონათვალია და შესაძლებელია მისი კიდევ უფრო გავრცობა, არსებითი კი ის არის, რომ კიბერპოლიტიკა XXI საუკუნეში კაცობრიობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ხდება.

, , (),
, , ,
,
,
,
,
,
,

Irakli Gorgiladze
Concerning questions of transformation of information
politics in society

Resume

In modern times politics (a process) as we are used to perceive it started its transformation and we think that these changes can be evaluated as a process of turning mass politics into cyber politics. Of course, basic principles in political life of a society which are connected with struggle for power and/or legitimate violence don't change and as can be seen keep this form in the future as well. Social basics of politics, the scope of development of political principles, environment and style of activity are those things which change.

საქართველო ეპოდული ინტეგრაციის გზაზე
(ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და
საქართველოს შორის)

არჩილ ვარშალომიძე

2009 წელს საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში“ ჩაერთო, რომელიც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილებას წარმოადგენს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზანი იყო ხელი შეეწყო პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის - ძირითადად, ასოცირების შესახებ შეთანხმების, ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA - Deep and Comprehensive Free Trade Area) ჩათვლით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო. მოლაპარაკებების პროცესს მთლიანად კოორდინაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევდა. თუმცა, შეთანხმების სტრუქტურიდან გამომდინარე, შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც, კომპეტენციის მიხედვით, შეთანხმების თემებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი უწყებები მინისტრის მოადგილების დონეზე. ასოცირების შესახებ შეთანხმებას უნდა ჩაენაცვლებინა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

1996 წელს ხელმოწერილი "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCAA)." და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან შედარებით, ასოცირების შეთანხმება, ყოვლისმომცველი, პოლიტიკურად ბევრად ძლიერი და შინაარსობრივად ბევრად უფრო მასშტაბური დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აჰყავს თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირთან მნიშვნელოვან დაახლოებას და საქართველოს აძლევს შესაძლებლობას ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციისა. ეს შეთანხმება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ყველა მიმართულებით დაახლოებით იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ ფაქტობრივად, ამით, შეუქცევადი ხდება ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი. საქართველო იღებს ვალდებულებას, ყველა სფეროში, ყველა კონკრეტულ დარგში, ყველა მნიშვნელოვანი დეტალით გახდეს რეალურად ევროპული ქვეყანა. ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს: ა) საერთო ევროპული ფასეულობების ერთგულებასა და გავრცელებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა დემოკრატია და კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა. ბ) თანამშრომლობის გაღრმავებას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმარ-

თულებით. გ)თანამშრომლობის გაღრმავებას მართლმსა-
ჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფერო-
ში, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრის
მართვა; ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით
უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადა-
მიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. დ) ღრმა და
ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC
FTA) ჩამოყალიბებას.

თავისუფალი სავაჭრო სივრცე კი, გულისხმობს სა-
ქართველოს ეტაპობრივ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა
ბაზარზე, რაც ნიშნავს ლიბერალიზაციას - საქონლით ვაჭ-
რობის, მომსახურების, დაფუძნებისა და ინვესტიციების, კა-
პიტალის გადაადგილების და სხვა მიმართულებებით. ეს
არის ევროკავშირთან დაახლოების/ეკონომიკური ინტეგრა-
ციის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მექანიზმი. ე) თანამ-
შრომლობის გაღრმავებას ეკონომიკურ სფეროებში, რო-
გორიცაა ბიზნესი, საინვესტიციო კლიმატი და სხვა. ვ)
თანამშრომლობის გაღრმავებას დარგობრივი პოლიტი-
კის სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, გარემო და
ჯანდაცვა, მეცნიერება, განათლება და კულტურა, მედია
და სხვა. ზ) ევროკავშირი, ასევე, აქტიურად უჭერს მხარს
საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენი-
ტეტსა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების
ურღვეობას.

მოლაპარაკების დაწყების დღიდან, (ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტი - 2011 წლის დეკემბერში) 2013 წლის 21-22 მარტის ჩათვლით, 15 პლენარული სესია გაიმართა (სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე; 80-ზე მეტი ვიდეო-კონფერენცია და მოლაპარაკებების 6 რაუნდი. ქ. ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების მიზნით, მე-15 პლენარული სესიაზე ძირითადად შეთანხმდა ტექსტის პოლიტიკური ნაწილი. პროგრესის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებების აღნიშნული რაუნდი ბოლო იყო და ტექსტში დარჩენილ რამდენიმე შეუთანხმებელ საკითხზე დიპლომატიური არხებით მოილაპარაკებენ. პრაქტიკულად, ასე შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ტრანსფორმირებას და ქვეყნის ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ყველა ასპექტის გათვალისწინებით, როგორიცაა - ეკონომიკური სფერო, დემოკრატიის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი სრულყოფა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად ასოცირების შესახებ შეთანხმება

ენოდება. ერთის მხრივ, ევროკავშირს და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. ვინაიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებსაც ევროკავშირი ინანილებს სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც. რაც შეეხება ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას, მიუხედავად მისა, რომ 1993 წელს (მაასტრიხტის ხელშეკრულებით) და 2009 წელს (ლისაბონის ხელშეკრულებით) მოხდა ევროპის გაერთიანების (ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება - European Coal and Steel Community და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება - European Economic Community) ჯერ შერწყმა, ხოლო შემდგომ ერთ სამართლებრივ სუბიექტად (ევროკავშირად, EU) ჩამოყალიბება, ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებამ შეინარჩუნა დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი.

ზოგადად, ასოცირების შესახებ შეთანხმება ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური

და ინოვაციურია იმ მხევრივ, რომ ის წარმოადგენს ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებას, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ასოცირების შეთანხმებები გვხვდება მრავალი სათაურით (მაგ. Euro-Mediterranean Agreement Establishing an Association, Europe Agreement Establishing an Association და ა.შ) და საერთოდ აუცილებელი პირობა არაა, რომ ტერმინი “ასოცირება” ფიგურირებდეს შეთანხმების სათაურში. რამდენიმე ასოცირების შეთანხმებაში ვხდებით პირობას ევროკავშირში განევრიანებაზეც. პირველი ასოცირების შეთანხმებები გაფორმდა საბერძნეთსა (1961) და თურქეთთან (1963).

თავისი დატვირთვისა და შინაარსის გამო, ასოცირების შეთანხმება რატიფიცირებული უნდა იქნას ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. უკანასკნელ პერიოდში, ასოცირების შეთანხმებები ფორმდება ევროკავშირის ორი პოლიტიკის ფარგლებში: სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესი (SAP) და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP). დასავლეთ ბალკანეთის სახელწიფოები (ევროკავშირში განევრიანების ოფიციალური კანდიდატები მაკედონია, მონტენეგრო და სერბია, აპლიკანტი სახელმწიფო ალბანეთი და

პოტენციური კანდიდატები ბოსნია და ჰერცეგოვინა და კო-სოვოც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო) იფარგლებიან სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესით და მათთან ევროკავშირი ხელს აწერს “სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებას” (SAA). ხმელთაშუა ზღვის აუზის (ალუირი, მარკო, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბია, ლივანი, ტუნისი და პალესტინის ხელისუფლება) და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოები (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) მოცულია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკით. დღეისათვის ხმელთაშუა ზღვის 7 სახელმწიფოს ევროკავშირთან დადებული აქვს ასოცირების შეთანხმება "Euro-Mediterranean Agreement establishing an Association" (EMAA) და ერთ სახელმწიფოსთან მიმართებაში აღნიშნული შეთანხმება დროებითი გამოყენების რეჟიმით სარგებლობს.

ყველა ზემოხსენებული შეთანხმება ეფუძნება ევროკავშირის სამართლებრივ ბაზას (acquis communautaire) და ემსახურება ამ ბაზის გავრცელებას ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. რა თქმა უნდა, სამართლებრივი ბაზის გავრცელების სიხშირე და ხარისხი განსხვავდება იმ კრიტერიუმებისგან, რომლებიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში. ამასთან, ცალკეულ სახელმწიფოებთან დადებულ შეთანხმებაში შეიძლება არ ფიგურირებდეს თანამშრობლობის ესა თუ

ის სფერო, რაც თვით ასოცირების შეთანხმების თაობაზე მოღაპარაკების საგანია. გარდა ევროკავშირის ზემოხსენებული ორი პოლიტიკის ფარგლებში დადებული შეთანხმებებისა, ევროკავშირს გაფორმებული აქვს ასოცირების შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ელემენტით სხვა სახელმწიფოებთან და სავაჭრო ბლოკებთან, მათ შორის მაგალითად, ჩილესთან და სამხრეთ აფრიკასთანაც.

2013 წლის 28-29 ნოემბერს ლიტვის რესპუბლიკის დედაქალაქ ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მესამე სამიტი, სადაც განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პარაფირება. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: პოლიტიკური თანამშრომლობა (პრეამბულა; თავი I-III; VIII) დარგობრივი თანამშრომლობა (თავი V-VII) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA-თავი IV). შეთანხმება ხსნის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: 1. საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. 2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. 3. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება. 4. დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა. 5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმ-

პლემენტაციის შედეგად, შესაძლებელი იქნება: ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. მართალია „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში განევრიანებას, თუმცა, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ფასეულობებს, შეუძლია განაცხადი გააკეთოს ევროკავშირში განევრიანებაზე.

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას, ხოლ 2014 წლის 18 ივლის კი საქართველოს პარლამენტმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და მოახდინა მისი რატიფიკაცია.

რაც შეეხება რატიფიკაციის პროცესს, ის ორსაფეხურიანია - ფედერალური და ეროვნული. მას მერე, რაც ევროპარლამენტი იძლევა თანხმობას რატიფიკაციაზე, ევროკავშირის სახელით, რატიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას ერთსულოვნად ამტკიცებს ევროკავშირის საბჭო, რომელიც შედგება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობების წარმომადგენლებისაგან. გარდა აღნიშნულისა,

ასოცირების შეთანხმება რატიფიცირებული უნდა იყოს თი-თოეული წევრი სახელმწიფოს მიერ, მათი ეროვნული კანონ-მდებლობის შესაბამისად. ასოცირების შეთანხმების ხელმო-წერაც და რატიფიკაციაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. რატიფიკაციას შესაძლოა დასჭირდეს რამოდენიმე წელი. შე-საბამისად, ევროკავშირი ტრადიციულად იყენებს ასოცირე-ბის შეთანხმების დროებითი გამოყენების პრაქტიკას, რომე-ლიც ხორციელდება ან 1. ვაჭრობისა და ვაჭრობასთან და-კავშირებულ საკითხებზე შუალედური შეთანხმების ხელმო-წერით ან 2. თვით ასოცირების შეთანხმების დასკვნით ნა-ნილში შეთანხმების დროებითი გამოყენების შესახებ სპეცი-ალური დებულების დამატებით.

დღეის მდგომარეობით, 16 ქვეყანამ და მათ შორის ევ-როპარლამენტმაც (2014 წლის 18 დეკემბერს) საქართვე-ლოსთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია უკვე მოახდინა. ხელშეკრულების რატიფიკაცია დასრულების სტადიაშია პოლონეთშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევ-როპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცი-ის საკითხებში. <http://www.eu-nato.gov.ge/ge>
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

<http://www.mfa.gov.ge>

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

<http://www.natoinfo.ge/ge>

საქართველოს პარლამენტი. ევროპასთან ინტეგრაციის კო-
მიტეტი. <http://www.parliament.ge/ge/>

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

<http://eeas.europa.eu/delegations/georgia>

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში.

<http://www.coe.int/ka/web/tbilisi/home>

European Union. http://europa.eu/index_en.htm

Council of Europe Council.

http://www.coe.int/t/der/EU_en.asp

1. Europe for Georgia. <http://eugeorgia.info/ka/>

Archil Varshalomidze

Georgia on the way of European integration

(Association Agreement between EU and Georgia)

Resume

"The agreement on association – ambitious and innovative, that is an agreement of new generation as includes a component of the profound and comprehensive free trade area and provides important concrete mechanisms of rapprochement with the European Union." "The agreement on association Georgia assumes the obligation step by step to introduce the European political, economic,

social and legal standards of the highest level in the country that causes increase of a level of living of citizens, growth of economy, unconditional guarantees of political and economic freedom. First of all, it means strengthening of democratic institutes and rule of law, respect of basic rights and freedoms of the person, independence of judicial system".

(
)

" — , — ,
" " , ,
" , , ,
" , , ,
" .

ოპერაცია „ფორჩი“ და საფრანგეთის
ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის
შექმნა

ზაზა ბურჯაძე

1942 წელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში კვლავ ჰქონდა კოალიციის სამხედრო წარმატებებით აღინიშნა. ჯერ კიდევ 1941 წლის დეკემბერში შორეულ აღმოსავალეთსა და წყნარი ოკეანის აუზში დაწყებული სწრაფი შეტევითი ოპერაციების შედეგად 1942 წლის გაზაფხულზე იაპონიამ სასარგებლო წილის სეულით მდიდარი უზარმაზარი ტერიტორიების ოკუპირება შეძლო. 1942 წლის ზაფხულში, აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარებმა კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს და შემოდგომაზე კავკასიონის ქადთან და მდინარე ვოლგაზე, ქალაქ სტალინგრადთან გავიდნენ. წარმატებული იყო იტალიურ-გერმანული ჯარების შეტევა ეგვიპტეშიც. მოკავშირეებმა 300 კილომეტრით წაინიეს წინ და ალექსანდრიას მიუახლოვდნენ.

თუმცა, ამავე წელსანტიკიტლერული კოალიციის სასარგებლოდ ომში ძირეული გარდატეხის პირობებიც შეიქმნა. 1942 წლის ივნისში, წყნარ ოკეანეში, კუნძულ მიდუეის-თან გამართულ საზღვაო ბრძოლაში ამერიკულმა ფლოტმა იაპონელებს მძიმე მარცხი აგემა, რის შედეგადაც იაპონელ-

თა ავსტრალიაში შექრის საფრთხე ლიკვიდირებული იქნა და ამ რეგიონში ძალთა წონასწორობა დამყარდა. ძალთა გარკვეული წონასწორობა აღმოსავლეთის ფრონტზეც შეინიშნებოდა. კავკასიისა და სტალინგრადისკენ განხორციელებული შეტევის დროს გერმანიის არმიამაც დიდი დანაკარგი განიცადა და საბჭოთა კავშირთან შედარებით მისი უპირატესობა ცოცხალ ძალასადა სამხედრო ტექნიკაში მინიმუმამდე დავიდა. გერმანიის არმიის წინსვლა საბოლოოდ იქნა შეჩერებული. შეჩერებული იქნა იტალიურ- გერმანული ჯარების შეტევა ეგვიპტეშიც. ალექსანდრიის მისადგომებთან ინგლისის სარდლობამ ფრონტის ხაზის სტაბილიზაცია შეძლო, რადგან გერმანიას, რომელსაც სამხედრო ნაწილების დიდი რაოდენობა აღმოსავლეთის ფრონტზე გადაჰყავდა, ეგვიპტეში შეტევის გასაგრძელებლად ძალები აღარ ჰყოფნიდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავიანთ კოლოსალურ რესურსებზე დაყრდნობით ანტიპიტლერული კოალიციის წამყვანმა ქვეყნებმა სამხედრო მრეწველობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაზარდეს. 1942 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის დიდი რეზიუმე შექმნეს, რამაც მათ დიდი შეტევითი ოპერაციების წარმოების და ინიციატივის დაუფლების საშუალება მისცა.

ამერიკის შეერთებული შტატების და ბრიტანეთის მმართველი წრეებისათვის ნათელი იყო, რომ მათ გერმანიაზე მძლავრი სამხედრო დარტყმა რაც შეიძლება სწრაფად

უნდა განეხორციელებინათ, რათა ერთი მხრივ საკუთარი მოსახლეობისათვის (რომელიც აქამდე ამას მოკლებული იყო) გამარჯვების რწმენა შთაენერგათ, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის მდგომარეობაც შეემსუბუქებინათ. მაგრამ საკითხმა, სად დაეწყოთ შეტევითი ოპერაცია, ჩრდილოეთ საფრანგეთსა თუ ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამერიკელ გენერლებს საფრანგეთში წარმატებული სადესანტო ოპერაციის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდათ, თუმცა მათი აზრით ეს მხოლოდ 1943 წლის გაზაფხულზე მოხერხდებოდა. ინგლისის სარდლობა და პრემიერი უ. ჩერჩილი კი მხარს ჩრდილოეთ აფრიკის ვარიანტს უჭერდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ რეგიონში არსებული ვითარება ოპერაციის უფრო ადრე დაწყების და მისი წარმატებით დამთავრების უკეთეს საშუალებას იძლეოდა. ამასთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკის დაკავების შეყდევი იტალიაში გადასხდომის და გერმანიისგან მისი მთავარი მოკავშირის ჩამოშორების რეალური შესაძლებლობაც შეიქმნებოდა.

საბოლოოდ, მოკავშირეთა შორის ამ საკითხზე ჯერ კი-დევ 1941 წლის ბოლოდან დაწყებული მოლაპარაკებები ჩრდილოეთ აფრიკის ვარიანტზე შეთანხმებით დამთავრდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფ. რუზ-ველტმა მიიღო უ. ჩერჩილის წინადადება, რომ 1942 წლის შემოდგომაზე ამერიკულ ძალებს საფრანგეთის კოლონიებში,

მაროკოსა და ალჟირში დიდი სადესანტო ოპერაცია განეხორციელებინათ. ის, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში უფრო სწრაფი გამარჯვების მოპოვება იყო შესაძლებელი, რუზველტისათვის მეტად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რადგან ამ საკმაოდ ფართომასშტაბიანი ოპერაციის წარმატებით განხორციელება მისი მთავრობის ავტორიტეტს ამერიკულ საზოგადოებაში მკვეთრად აამაღლებდა. ჩრდილოეთ აფრიკაზე არჩევანის შეჩერება რუზველტის მხრიდან მისი იმ მოსაზრებითაც იყო განპირობებული, რომ ამერიკული არმია ნაკლები დანაკარგებით დიდ საბრძოლო გამოცდილებასაც შეიძენდა, რაც მას ჯერ-ჯერობით არ ქონდა (1, გვ. 279).

ცოტა ხანში რუზველტს იმის რწმენა, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, კიდევ უფრო განუმტკიცდა, რადგან 1942 წლის აგვისტოში ინგლის-კანადის ჯარების ჩრდილოეთ საფრანგეთში გადმოსხდომის და პლაცდარმის შექმნის მცდელობა მარცხით დამთავრდა. მოკავშირები, რომლებიც ქალაქ დიეპის რაიონში 15 კილომეტრიანი ფრონტით გადმოსხდნენ, მძიმე ზარალით იქნენ უკუგდებულნი და სასწრაფო ევაკუაცია განახორციელეს. ამან რუზველტი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ საფრანგეთში შეჭრა, თუნდაც 1943 წლის გაზაფხულზე, მეტად სარისკო და დიდი დანაკარგების მომტანი სამხედრო აქცია იქნებოდა (2, გვ. 278).

ამგვარად ანგლო-ამერიკული სარდლობა ჩრდილოეთ აფრიკიდან გერმანელთა და იტალიელთა განდევნის გეგმის

განხორციელებას შეუდგა. ამ მიზნით ორი ერთდღოული ოპერაცია იყო გათვალისწინებული: ეგვიპტიდან ლიბიის მიმართულებით გენერალ მონტგომერის სარდლობით შეტევაზე ინგლისის მე-8 არმიის შენაერთები უნდა გადასულიყვნენ, ხოლო მაროკოსა და ალჟირის პორტებში გენერალ ეიზენჰაუერის მეთაურობით უნდა გადმომსხდარიყვნენ ამერიკული ჯარები (ოპერაცია „ტორჩი“), რომლებიც შეტევას ასევე ლიბიის მიმართულებით განავითარებდნენ. მოკავშირეთა სარდლობა ვარაუდობდა რომ საბოლოოდ ლიბიის ტერიტორიაზე მომწყვდეული მოწინააღმდეგე შემხვედრი სამხედრო დარტყმებით მთლიანად იქნებოდა განადგურებული.

1942 წლის შემოდგომაზე, როცა ოპერაცია „ტორჩის“ განხორციელება იგეგმებოდა, ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ კი ლიბიასა და ეგვიპტეში ოთხი გერმანული და რვა იტალიური დივიზია იყო განლაგებული, რომელთაც გერმანელი გენერლი რომელი მეთაურობდა. რომელის დაჯგუფება, რომლის მოწინავე ნაწილები ალექსანდრიიდან 70 კილომეტრზე, სოფელ ელ ალამეინთან იმყოფებოდნენ, უკვე სერიოზულად იყო შესუსტებული. 1942 წლის ზაფხულში სუეცის არხის ხელში ჩაგდების მიზნით წარმოებული შეტევის შედეგად მან დიდი ზარალი იწვნია. დივიზიებს შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი აკლდათ, ხოლო სამხედრო ტექნიკის რაოდენობა მხოლოდ 500 ტანკს და 300 თვომფრინავს შეადგენდა (7, გვ. 288). შეიარაღების თვალსაზრისით მეტად

სუსტი იყო მაროკოში, ალჟირსა და ტუნისში განლაგებული 120 ათასიანი საფრანგეთის აფრიკული არმიაც, რომელიც გერმანიის მიერ ოკუპირებული საფრანგეთის მარიონეტულ ხელისუფლებას, პეტენის მთავრობას ექვემდებარებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მმართველი წრეებისათვის ცხადი იყო, რომ ოპერაცია „ტორჩის“ მინიმალური დანაკარგებით განხორციელებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ საფრანგეთის აფრიკული არმია მოკავშირეთა მხარეზე გადასულიყო. ამისათვის კი პეტენის მთავრობასთან საიდუმლო შეთანხმება იყო საჭირო. ეს მისია ამერიკელებმა იკისრეს, რადგან რუზველტის მთავრობას პეტენის ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ქონდა.

საფრანგეთის დამარცხებამ 1940 წლის ივნისში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დიდი შეძლოთება გამოიწვია. ქვეყანაში მკვეთრად შესუსტდა ე. ნ. „იზოლაციონისტთა“, პოზიციები, რომლებიც მიმდინარე ომში ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტს უჭერდნენ მხარს. პრეზიდენტი რუზველტი, სახელმწიფო მდივანი კ. პელი და კონგრესმენთა და სენატორთა მეტი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ დაწყებულიყო დიდი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელიც პიტლერული კოალიციის ძალებს გადააჭარბებდა. 1940 წლის სექტემბერში უკვე ამოქმედდა მთავრობის მიერ შემუშავებული სამხედრო პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე 3 ათასი ტანკის, 200

საბრძოლო ხომალდის და 14 ათასზე მეტი თვითმფრინავის მშენებლობას ითვალისწინებდა. მალე კონგრესმა სამხედრო ვალდებულების კანონიც დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც ამერიკული არმიის რიცხვი 1940 წლის დეკემბერში 1 მილიონი უნდა ყოფილიყო, ხოლო 1942 წლის აპრილში კი მისი შემადგენლობა 4 მილიონამდე უნდა გაზრდილიყო (8, გვ. 70-71). პრეზიდენტისა და კონგრესის ასეთი შეთანხმებული მოქმედება იმაზე მიუთითებდა, რომ საზოგადოების სულ უფრო მეტ ნაწილისათვის ომშიჩაბმის და საკუთარი ძალებით ჰიტლერული კოალიციის განადგურების აუცილებლობა თანდათან ცხადი ხდებოდა.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკაც ჰიტლერული კოალიციასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის აუცილებელი ყველა საშუალების გამოყენებისაკენ იყო მიმართული. სწორედ ამიტომ, რუზველტის ადმინისტრაცია ცდილობდა გერმანიის წინააღმდეგ მარტოდ მებრძოლი ინგლისისათვისმაქსიმალური დახმარება გაეწია და ამავე დროს, იგი არც დამარცხებული საფრანგეთის მიმართ კარგავდა ინტერესს, რადგან ამ ქვეყნის ხელისუფლება გერმანიასთან გაფორმებული საზავო ხელშეკრულების მიხედვით საფრანგეთის გარკვეულ და ფრანგული კოლონიური იმპერიის დიდ ნაწილის აკონტროლებდა. რუზველტის მთავრობას იმედი ქონდა, რომ ამერიკული სამხედრო დახმარება ინგლისს ბრძოლის გაგრძელების საშუალებას მისცემდა, ხოლო საფრანგეთთან კი მოხერხდებოდა ფარული შეთანხმების მიღწევა, რის შე-
38

დეგადაც ამერიკის შეერთებული შტატებს ომში ჩაბმის შემთხვევაში ფრანგული კოლონიების რესურსების გამოყენების საშუალება ექნებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ოკუპირებულ საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს იმთავითვე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს და ცდილობდა დიპლომატიური კონტაქტი დაემყარებინა 1940 წლის ივლისში, პრემიერ-მინისტრ, მარშალ პეტენის და ვიცე პრემიერის პ. ლავალის მიერ შექმნილ ახალ მთავრობასთან, რომელიც პატარა ქალაქ ვიშიში დამკვიდრდა. თუმცა ამერიკული დიპლომატია ვიშის მთავრობის მოქმედებით თავდაპირველად მეტად იმედგაცრუებული დარჩა, რის გამოც მასთან პოლიტიკური ურთიერთობის მიზანშეწონილობაც ეჭვქვეშ დადგა.

კაპიტულაციის შემდეგ მარშალმა პეტენმა საფრანგეთში დიქტატორული მმართველობა დაამყარა. 1940 წლის 10 ივლისს ვიშიში შეკრებილმა პარლამენტმა პეტენს „სახელმწიფოს მეთაურის“ წოდება და განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა და თავი დაშლილად გამოაცხადა. მალე პეტენის მთავრობამ ე. წ. „საკონსტიტუციო აქტებიც“ გამოაქვეყნა, რითაც მესამე რესპუბლიკის კონსტიტუცია გაუქმდებული იქნა (9, გვ. 194). ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში ანგლო-ამერიკულ ორიენტაციას ემხრობოდნენ: პრეზიდენტი ა. ლებრენი, პრემიერ მინისტრი პ. რეინო, პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავ-

მჯდომარე ე. ერიო, არამარტო ხელისუფლებას ჩამოაშორეს, არამედ პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაც მოაქციეს. რესპუბლიკელებისაგან გაიწმინდა სახელმწიფოს მმართველობის აპარატი. აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა.

ეს ფაქტობრივი სახელმწიფო გადატრიალება ვიშის ხელისუფლებამ „ნაციონალურ რევოლუციად“ მონათლა, რასაც საფრანგეთში „ახალი წესრიგის“ დამყარება და ფრანგი ერის აღორძინება უნდა მოჰყოლოდა. ვიშის მთავრობა დემაგოგიურად აცხადებდა, რომ საფრანგეთის მიერ განცდილი სამხედრო მარცხი იმ პოლიტიკური ქაოსით იყო გამოწვეული, რაც მესამე რესპუბლიკაში 30-იან წლებში, განსაკუთრებით კი სახალხო ფრონტის მმართველობის პერიოდში სუფევდა. ახლა კი, ამ კატასტროფის შემდეგ, საჭირო იყო შეცდომების აღიარება, ძლიერი ხელისუფლების შექმნა და ერის მთელი ძალების მობილიზება, რათა საფრანგეთს გერმანიის ეგიდით შექმნილ ახალ ევროპაში საპატიო ადგილი დაეკავებინა.

ვაშინგტონის შეშფოთებას ვიშის მთავრობის საგარეო პოლიტიკაც იწვევდა, რადგან იგი გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობისაკენ იყო მიმართული. სწორედ ასეთი პოლიტიკით იყო განპირობებული ის რომ 1940 წლის სექტემბერში პეტენის მთავრობამ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, იაპონიას ინდოჩინეთის ოკუპაციის საშუალება მის-

ცა, რაც შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს დიდ საფრთხეს უქმნიდა. 1940 წლის 24 ოქტომბერს ვიშის მთავრობის გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა საფრანგეთის ქალაქ მონტუარში პეტენისა და ჰიტლერის შეხვედრაზე ოფიციალურად იქნა გაცხადებული. ჰიტლერი დაპირდა პეტენს, რომ საფრანგეთი თავის კოლონიებს შეინარჩუნებდა, თუკი იგი ინგლისის წინააღმდეგ ომში გერმანიასთან ერთად მიიღებდა მონაწილეობას. პეტენმა ჰიტლერს მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა აღუთქვა და ისიც განაცხადა, რომ ინგლისთან ომის საკითხს საფრანგეთის მთავრობა ახლო მომავალში განიხილავდა.

ამგვარად რუზველტის ადმინისტრაციას არ შეიძლებოდა არ გაეკეთებინათ დასკვნა, რომ პეტენის მთავრობასთან დიპლომატიურ ურთიერთობას აზრი არ ჰქონდა. თუმცა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გარკვეული იმედები წარმოშვა. ვაშინგტონში მეტად პოზიტიურად აღიქვეს ის ფაქტი, რომ ჰიტლერთან შეხვედრაზე პეტენის მიერ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, საფრანგეთის ფლოტი ვიშის მთავრობის კონტროლქვეშ რჩებოდა. ამავე დროს იმავე ოქტომბრის თვეში, როცა პეტენისა და ჰიტლერის ზემოთაღნიშნული შეხვედრა შედგა, საფრანგეთის მთავრობამ დეპეშით ამერიკის შეერთებულ შტატებს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება თავად შესთავაზა. ცოტა ხანში ვაშინგტონის ვიშის მთავრობასთან პოლიტიკური თანამშრომლობის პერსპექტივა კიდევ უფრო გამოიკვეთა. გერმა-

ნიასთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების პოლიტიკამ, რისი თავგამოდებული მომხრე და განმახორციელებელი პ. ლავალი იყო, საფრანგეთის მმართველი წრეების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმტოთება გამოიწვია. ფრანგი მრეწველების და ფინანსისტების გარკვეულ ჯუფებს, რომელთა საქმიანობა კოლონიების ექსპლუატაციასა და საგარეო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, ლავალის მოქმედება მეტად აშფოთებდათ. ისინი კარგად ხედავდნენ იმას, რომ ინგლისი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი მხარდაჭერით სარგებლობდა, გარდაუვალი მარცხის საფრთხის წინაშე სულაც არ იდგა. ფრანგული ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის ეს ნაწილი, რომელსაც დიდ ბრიტანეთთან და მის შესაძლო მოქავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირება არ სურდა, პეტენზე დიდ ზენოლას ახდენდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1940 წლის დეკემბერში პეტენმა ლავალი გადააყენა და ვიცე-პრემიერის პოსტზე საფრანგეთის ფლოტის სარდალი ადმირალი დარლანი დანიშნა.

მუხედავად იმისა, რომ ახალმა ვიცე-პრემიერმა ოფიციალური განცხადებებით საფრანგეთ-გერმანიის თანმშრომლობის მიმართ თავისი ლოიალურობა დაადასტურა, ვაშინგტონში უკვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პეტენის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და საფრანგეთის მმართველი წრეების სწორედ ამ ზემოთაღ-

ნიშნული ნაწილის მხარდაჭერის მოპოვება, ომში ჩაბმის შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრანგეთის კოლონიური იმპერიის რესურსების გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან ერთად 1940 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც ინგლისზე გერმანული ავიაციის თავდასხმების ინტენსიურობამ მკვეთრად იკლო და ვერმახტის სამხედრო ნაწილების საბჭოთა კავშირის საზღვრებთან გადასროლა დაიწყო, რუზველტის მთავრობისათვის ისიც ცხადი გახდა. რომ გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას ამზადებდა. ასეთ ვითარებაში ვაშინგტონის აზრით გერმანიის ზენოლის შესუსტება ვიშის მთავრობაზე გარდაუვალი იყო, რადგან საბჭოთა კავშირთან ომისათვის ჰიტლერს დასავლეთ ევროპაში და მათ შორის საფრანგეთში განლაგებული თავისი ძალების დიდი ნაწილის აღმოსავლეთში გადაყვანა დასჭირდებოდა. ეს კი, თავის მხრივ, ვიშის მთავრობას უფრო მეტად დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას მისცემდა.

სიტუაციის ამგვარი შეფასების შედეგად ვაშინგტონში ვიშის მთავრობის ცნობის და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გადაწყვეტილება მიიღეს. საფრანგეთში ელჩის თანამდებობაზე რუზველტმა მასთან დაახლოვებული ჰიროვნება, ადმირალი უ. ლეგი დანიშნა, რომელსაც უპირველეს ყოვლის მჭიდრო კონტაქტი ადმირალ დარლანთან უნდა დაემყარებინა და თვალი ფრანგული ფლოტის მოძრაობისათვის ედევნებინა. გარდა ამისა ამერიკელ ელჩის მარშალ პეტენზეც უნდა მოეხდინა გავლენა, რათა ფრანგუ-

ლი ფლოტის და კოლონიური იმპერიის სტატუს ქვო შენარჩუნებულიყო. მას პეტენი იმაში უნდა დაერწმუნებინა, რომ ინგლისთან ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთის კოლონიური იმპერიის გერმანიასა და იტალიას შორის განაწილება იყო მოსალოდნელი.

რუზველტის ხელისუფლება მხოლოდ საფრანგეთში ელჩის გაგზავნით არ შემოიფარგლა. ვინაიდან ფრანგული ჩრდილოეთ აფრიკა თავისირესურსებით და სტრატეგიული მდებარეობით ვაშინგტონის დიდ ყურადღებას იქცევდა, გადაწყდა, რომ პრეზიდენტ რუზველტს ამ რეგიონში თავისი პირადი წარმომადგენელი ეყოლებოდა. არჩევანი პროფესიონალ დიპლომატზე, რ. მერფიზე შეჩერდა, რომელსაც საფრანგეთში მუშაობის და ამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება ქონდა.

1940 წლის დეკემბერში რ. მერფი ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის რანგში, ქალაქ ალჟირში გაემგზავრა, ხოლო 1941 წლის იანვარში, საფრანგეთში ქალაქ ვიშიში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უ. ლეგიც ჩამოვიდა.

ვიშის ხელისუფლების მიმართ ამერიკული დიპლომატის გეგმები თავდაპირველად წარმატებით ხორციელდებოდა. 1941 წლის მარტში ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ხელშექრულება იქნა გაფორმებული, რაც ფრანგულ ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკული პროდუქციის ფართომასშტაბიან ექსპორტს ით-

ვალისწინებდა. ამ შეთანხმების მიხედვით ამერიკულ კაპიტალს ჩრდილოეთ აფრიკაში შეღწევის შესაძლებლობა ექმნებოდა. მაგრამ უფრო მთავარი იყო ის, რომ ვაშინგტონს ამ რეგიონში დაზვერვითი საქმიანობის საშუალებაც მიეცა, რადგან საფრანგეთის ხელისუფლება დათანხმდა იმას, რომ პორტუგალია და სარკინიგზო კვანძებზე ამერიკული ტვირთების მოძრაობის კონტროლისათვის რუზველტის მთავრობას თავისი წარმომადგენელი ვიცე-კონსულები ყოლოდა. როგორც ერთ-ერთი ვიცე-კონსული პენდარი წერდა: კონსულებს ამერიკული ტვირთების გადაადგილების კონტროლის გარდა ევალებოდათ ფრანგ ოფიცირებთან ფარული კონტაქტების დამყარება და უაღრესად საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება, რაც ჩვენი ჯარების გადმოსხდომის მომზადებასთან იყო დაკავშირებული (8, გვ. 120-121).

თუმცა ამის შემდეგ ვიშის ხელისუფლების მოქმედებამ ამერიკული დიპლომატიის ენთუზიაზმი მნიშვნელოვნად გაანელა. რუზველტის მთავრობისათვის მეტად გამალიზიანებელი იყო ის ფაქტი, რომ 1941 წლის მაისში საფრანგეთმა გერმანიას სირიაში მდებარე აეროდრომები გადასცა. ამასთან ერთად იმავე მაისში მარშალმა პეტენმა რადიოთი თავის გამოსვლაში საფრანგეთის მოსახლეობას დარღანსა და ჰიტლერს შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა შესახებ აცნობა და განაცხადა, რომ ორქვეყანას შორის თანამშრომლობა კი-დევ უფრო გაღრმავდებოდა. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ გერმანელ ოკუპანტებთან პეტენის

მთავრობის ეკონომიკური თანამშრომლობა მართლაც გააქტიურდა. საფრანგეთის ეკონომიკა გერმანულ სამხედრო მანქანას მთელ რიგ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროდუქციას აწვდიდა. 1942 წლის აპრილში ვაშინგტონში აღშფოთების ახალი ტალღა აგორდა, რადგან გერმანელთა ზეწოლის შედეგად მარშალმა პეტერმა ვიცე-პრემიერის პოსტზე კვლავ პ. ლავალი დანიშნა. ამ უკანასკნელმა კი მაშინვე განაცხადა, რომმას ომში გერმანიის გამარჯვება სურდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოში ბოლშევიზმი გაბატონდებოდა (9, გვ.194). აღსანიშნავია, რომ ეს განცხადება მაშინ გაკეთდა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ფაშისტური კოალიციის წინააღმდეგ ომში უკვე ჩაბმული იყო. მიუხედავად ამისა, რუზველტის ხელისუფლებას, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში სადესანტო ოპერაციას ამზადებდა, საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ვაშინგტონისათვის სავსებით საკმარისი იყო ის, რომ პეტენის მთავრობა საფრანგეთის ფლოტს და ჩრდილოაფრიკულ კოლონიებს (სადაც ამერიკული აგენტურა თავის საქმიანობას აგრძელებდა) კვლავ აკონტროლებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის ურთიერთობა ამ პერიოდში მხოლოდ რუზველტის და პეტენის მთავრობების ურთიერთკონტაქტებით არ შემოიფარგლებოდა. ვაშინგტონი იძულებული იყო მხედველობაში მიეღო სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის ფაქტორი_საფრანგეთის კოლონიური იმპერიის გარკვეულ ნაწილში მოქმედი

წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც 1940-1942 წლებში სე-რიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა და რომელსაც ანგლო-ამერიკული სარდლობის მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში დაგევმილი ოპერაციის წარმატებაში შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა.

ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმირება, რაც გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, გენერალ შ. დე გოლის სახელთანაა დაკავშირებული, პეტენის მთავრობის კაპიტულაციისთანავე დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, პროფესიონალი სამხედრო, კაპიტანი შ. დე გოლი სამხედრო კარიერას ამ ომის დამთავრების შემდეგაც აგრძელებდა. ამასთან ერთად მან თავი სამხედრო თეორიაშიც წარმოაჩინა. 20-30-იან წლებში დაწერილ თხხ წიგნშიდე გოლმა საკუთარი სამხედრო დოქტრინა ჩამოყალიბა და პირველმა ფრანგ სამხედრო მოღვაწეთა შორის გამოთქვა იდეა, მომავალ ომში სატანკო შენაერთების გადამწყვეტი როლის შესახებ. დე გოლი კატეგორიულად უპირისპირდებოდა საფრანგეთის გენერალური შტაბის მიერ შემუშავებულ თავდაცვით ტაქტიკას, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე აგებული სიმაგრეთა სისტემის, „მაჟინოს ხაზის“ შეუვალობის მოსაზრებას ეფუძნებოდა. იგი გენერალიტეტს დაუღალავად მოუწოდებდა იმისაკენ, რომ შეემნილიყო დამრტყმელი სატანკო დივიზიები, რომლებიც თანამედროვე ტექნიკით იქნებოდნენ დაკომპლექტებულნი.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც გერმანიის ჯარებმა დასავლეთ ევროპაში გარღვევა განახორციელეს, პოლკოვნიკი დე გოლი ახლადფორმირებული სატანკო დივიზიის მეთაურად დაინიშნა. 1940 წლის მაისის განმავლობაში დე გოლის დივიზია, რომელსაც მდინარე ენზე ფრონტის ხაზის შექმნა და გერმანული სატანკო ნაწილების შეჩერება დაევალა, თავგანწირვით იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს ტანკებსა და ავიაციაში დიდი უპირატესობა ქონდათ, დე გოლმა რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელება მაინც მოახერხა და მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენა. ასეთივე წარმატებული იყო მისი დივიზიის კონტრშეტევები ქალაქ აბვილის მიდამოებშიც. დე გოლის მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა საფრანგეთის არმიის მთავარსარდალმა, გენერალმა ვეიგანმა, რომელმაც 2 ივნისს თავის ბრძანებაში დე გოლი დაახასიათა როგორც „ბრწყინვალე, გაბედული და ენერგიული მეთაური, რომელმაც მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზების გარღვევა შეძლო და ასობით ტყვე იგდო ხელთ (3, გვ. 95). ინგლის-საფრანგეთის ჯარების საერთო უკანდახევის და წარუმატებლობის ფონზე დე გოლის დივიზიის მოქმედება არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. 1940 წლის 25 მაისს ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით შ. დე გოლს ბრიგადის გენერლის წოდება მიენიჭა, ხოლო 5 ივნისს პრემიერ-მინისტრმა პ. რეინომ იგი მთავრობის შე-

მადგენლობაში შეიყვანა და ეროვნული თავდაცვის მინისტრის (ეს პოსტიც პ. რეინოს ეკავა) მოადგილედ დანიშნა.

მაგრამ დე გოლის დივიზიის წარმატებულ ტაქტიკურ კონტრშეტევებს ფრონტზე შექმნილ საერთო კატასტროფულ ვითარებაზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო. 8 ივნისი-დან ერთიანი ფრონტი საერთოდ მოიშალა და ფრანგულმა შენაერთებმა უწესრიგო უკანდახევა დაიწყეს. გერმანელთა მენინავე სატანკო ნაწილები პარიზს უახლოვდებოდნენ. ასე-თი მძიმე სიტუაციის მიუხედავად დე გოლი რეინოსაგან წინააღმდეგობის გაგრძელებას კატეგორიულად ითხოვდა. იგი პრემიერ-მინისტრს არწმუნებდა, რომ ძლიერი ფლოტი და უზარმაზარი კოლონიური იმპერიის რესურსები საფრანგეთს ომის გაგრძელების საშუალებას მისცემდა. მაგრამ რეინომ დე გოლის წინადადებაჯარების და სამთავრობო დაწესებულებების ალჟირში გადაყვანის შესახებ უარყო. მან გადადგომა და მთავრობის მეთაურის პოსტის მარშალ პეტენზე გადაცემა ამჯობინა. ასეთ ვითარებაში დე გოლმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა პეტენის მთავრობას, რომელმაც კურსი კაპიტულაციისაკენ აიღო და ინგლისში გადაფრინდა. თვითმფრინავი დე გოლს თავად უ. ჩერჩილმა გამოუგზავნა, რომელმაც ფრანგი გენერალი ჯერ კიდევ 9 ივნისს ლონდონში შეხვედრაზე გაიცნო, როცა ეს უკანასკნელი, როგორც რეინოს მთავრობის წარმომადგენელი, ჩერჩილთან საომარი ოპერაციების მიმდინარეობას განიხილავდა.

ლონდონში ჩასული დე გოლი დაუყოვნებლივ შეხვდა ჩერჩილს და დაარწმუნა იგი, რომ მას საფრანგეთის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა ძალის და რესურსის კონსოლიდაციის და ბრძოლის გაგრძელების მტკიცე სურვილი ამოძრავებდა. 18 ივნისს გენერალმა ლონდონის რადიოთი თანამემამულებს მიმართა და ბრიტანეთის ტერიტორიაზე მყოფ ყველა ფრანგს, აგრეთვე საფრანგეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ინგლისში შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ, მასთან შეერთებისაკენ მოუწოდა. 22 ივნისს დე გოლმა ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთის“ შექმნა გამოაცხადა, რომელიც 28 ივნისს გერმანელთა წინააღმდეგ მებრძოლი ფრანგების ორგანიზაციის სახით ჩერჩილის მთავრობამ ცნო. აგვისტოში ჩერჩილსა და დე გოლს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც „თავისუფალ საფრანგეთს“ ბრიტანეთის ხელისუფლების საერთო დირექტივების ფარგლებში უნდა ემოქმედა, ხოლო თავად ბრიტანეთის ხელისუფლება ორგანიზაციის დაფინანსებას კისრულობდა. დე გოლს რადიოსადგურბი პი სისგარკვეული საეთერო დროც დაუთმეს, რათა მას მეტროპოლიასა და კოლონიებზე პროპაგანდისტული გადაცემები ეწარმოებინა.

„თავისუფალი საფრანგეთის“ შექმნით გენერალი დე გოლი მიზნად ინგლისში მყოფი ფრანგული სამხედრო ნაწილების შემოკრებას და ფრანგულ კოლონიებში დამკვიდრებას ისახავდა, რათა გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელებისათვის საჭირო საწყისი ბაზა შექმნილიყო. დე გოლის მოძ-

რაობას ინგლისში მყოფი და საფრანგეთიდან გაქცეული სამხედრო და სამოქალაქო პირების მნიშვნელოვანი ნაწილი იმთავითვე მიემსრო. ამიტომ „თავისუფალ საფრანგეთს“ 1940 წლის ბოლოს თავისი შეიარაღებული ძალები გაუჩნდა, რომლებიც ჯერ 7 ათას ჯარისკაცს ითვლიდნენ, ხოლო 1942 წელს კი მათმა რიცხვმა 70 ათასს მიაღწია. სამხედრო ძალები ფორმირებასთან ერთად ორგანიზაციას საკუთარი ტერიტორიაც გაუჩნდა. თავდაპირველად ეს იყო წყნარ ოკეანეში მდებარე კოლონია ახალი ჰებრიდის კუნძულები, რომლის ადმინისტრაციამ 1940 წლის ივნისში დე გოლს მხარდაჭერა გამოუცხადა. ძალიან მალე რადიოპროპაგანდის და „თავისუფალი საფრანგეთს“ აგენტების საქმიანობის შედეგად ორგანიზაციას შეუერთდნენ საფრანგეთის მთელი რიგი აფრიკული კოლონიები: ნიგერი, ჩადი, კონგო უბანგი შარი კამერუნი და გაბონი. დე გოლს აგრეთვე საფრანგეთის ინდოეთი, მარკიზის კუნძულები და კუნძული ახალი კალედონიაც მიემსრნენ.

მართალია „თავისუფალმა საფრანგეთმა“ სენეგალის და იქ მდებარე დიდი საზღვაო ბაზის, დაკარის დაკავება ვერ შეძლო (1940 წლის სექტემბერში ამ ქალაქის ვიშისტურმა გარნიზონმა ინგლისურ-ფრანგული ესკადრის შემოტევა მოიგერია), მაგრამ მიუხედავად ამისა, „თავისუფალი საფრანგეთის“ კონტროლქვეშ უკვე საკმაოდ ვრცელი ტერიტორია იყო მოქცეული, რამაც ამ ორგანიზაციის ავტორიტეტი ოკუ-

პირებული საფრანგეთის მოსახლეობაში მეტად აამაღლა და მას ბრძოლის გააქტიურების საშუალება მისცა. 1941-1942 წლებში დე გოლის ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1941 წლის ზაფხულში ინგლისის ჯარების და „თავისუფალი საფრანგეთის“ სამხედრო ნაწილების ერთობლივი მოქმედებით სირიასა და ლიბანში ვიშისტური რეჟიმი დამხობილი იქნა. 1942 წლის გაზაფხულზე ინგლისის ჯარები მადაგასკარზე გადასხდნენ, რომელიც მაღლე ასევე „თავისუფალი საფრანგეთის“ კონტროლს დაექვემდებარა. ტერიტორიული ბაზის ზრდასთან ერთად დე გოლმა „თავისუფალი საფრანგეთის“ პოლიტიკური მართვის ორგანო, ნაციონალური კომიტეტი შექმნა, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციამ პოლიტიკური ხასიათიც შეიძინა და მის მიერ მართულ ტერიტორიებზე იგი დე ფაქტო დროებით მთავრობად იქცა. ნაციონალური კომიტეტი დე გოლთან დაახლოვებული პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეებისაგან (რ. პლევენი, რ. კასენი, მ. დეჟანი, ა. დიეტელმი, გენერალი ლეჟანტიომი, გენერალი ვალენი, ადმირალი მიუზელიე.) შედგებოდა, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს (სამხედრო ძალები, საგარეო საქმეები და სხვ.) უძღვებოდნენ.

„თავისუფალი საფრანგეთის“ პოზიციები იმანაც განამტკიცა, რომ გენერალმა დე გოლმა ორგანიზაციის ირგვლივ ოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე მოქმედი ნინაალმდეგობის მოძრაობის ძალების კონსოლიდაციაც მო-

ახდინა. სხვა ოკუპირებული ქვეყნების მსგავსად ომის წლებში საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობა ჩამოყალიბდა, რომელიც როგორც გერმანელი დამპყრობლებს, ისე ვიშის მარიონეტულ ხელისუფლებასაც ებრძოდა. პირველი ორგანიზაცია „ფრანგი ფრანგირები და პარტიზანები“ თავისი შეიარაღებული ფორმირებით 1940 წლის ბოლოს კომუნისტებმა შექმნეს, ხოლო 1941 წლის დამდეგს გაჩნდნენ სხვა ორგანიზაციებიც: „კომბა“, „ფრანგირერი“, „ლიბერასიონი“, „დეფანს დე ლა ფრანსი“, და სხვ., რომლებშიც პოლიტიკური პარტიების და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი (6, გვ.258) 1941 წლის დასასრულს წინააღმდეგობის მოძრაობა უკვე სერიოზულ ძალად იქცა და ლონდონში მყოფმა დე გოლმა ამ ჯერკიდევ დაქსაქსული ორგანიზაციების „თავისუფალი საფრანგეთის“ ეგიდით გაერთიანება გადაწყვიტა. ამაში მთავარი როლი წინააღმდეგობის მოძრაობის ცნობილმა წარმომადგენელმა ჟ. მულენმა ითამაშა, რომელიც 1941 წლის ოქტომბერში ლონდონში დე გოლთან ჩავიდა. სწორედ მულენის (რომელიც 1942 წლის იანვარში საფრანგეთში საიდუმლოდ პარაშუტით დაეშვა) ძალისხმევით 1942 წლიდან კავშირმა „თავისუფალი საფრანგეთსა“ და წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციებს შორის სისტემატიური ხასიათი მიიღო. 1942 წლის განმავლობაში ლონდონში დე გოლს იატაკქვეშეთში მოქმედი პარტიების წარმომადგენლები, სოციალის-

ტები პ. ბროსოლეტი, ფ. გუენი, კ. პინო და რადიკალი პ. მენ-დეს-ფრანსი შეხვდნენ. ამ შეხვედრებზე შემუშავებული იქნა მანიფესტი (იგი საფრანგეთში არალეგალურად გავრცელდა), რომელიც ვიშის რეჟიმს გმობდადა დე გოლს ფრანგი ხალხის წარმომადგენლად აცხადებდა (4, გვ. 354) ამ მანიფესტის გამოქვეყნება ფაქტობრივად წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციების მიერ „თავისუფალი საფრანგეთის“ ხელმძღვანელი როლის აღიარებას ნიშნავდა. თუმცა დე გოლი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. იგი შეეცადა წინააღმდეგობის მოძრაობის კონსოლიდაციაში კომუნისტებიც ჩაერთო. 1942 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ლონდონში დე გოლს კომუნისტთა წარმომადგენელი ფ. გრენიე შეხვდა, ეს ამოცანაც წარმატებით იქნა გადაჭრილი (1, გვ. 294).

მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფალი საფრანგეთის“ ავტორიტეტი მისი ტერიტორიული ბაზის გაფართოებასთან ერთად სულ უფრო მეტად იზრდებოდა, ვაშინგტონი დე გოლთან ურთიერთობის დამყარებას და მითუმეტეს, მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის ოფიციალურ ცნობას არ ჩქარობდა. რუზველტის მთავრობა, რომელსაც 1941 წლის განმავლობაში, ვიშის ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, ფრანგულ ჩრდილოეთ აფრიკაში ფართომასშტაბიანი სადაზვერვო საქმიანობის საშუალება მიეცა, ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელების პერსპექტივის საფრთხის ქვეშ დაყე-

ნებას არ აპირებდა. ამასთან ერთად პრეზიდენტ ფ. რუზველტს და სახელმწიფო მდივან კ. ჰელს, რომლებიც მომავალში ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას ამერიკული სამხედრო-პოლიტიკური გავლენის სფეროდ მოიაზრებდნენ, მეტად აშთოთებდათ „თავისუფალი საფრანგეთის“ ლიდერის უკომპრომისო პოზიცია, რაც არამარტო საფრანგეთის განთავისუფლებას, არამედ კოლონიური იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებასაც გულისხმობდა. ვაშინგტონი იმ ინციდენტმაც ძალზე გააღიზიანა, რომელიც კანადის სანაპიროებთან მდებარე ფრანგული სამფლობელოების, კუნძულების სენ პიერისა და მიკელონის გამო წარმოიქმნა. 1941 წლის დეკემბერში რუზველტის ხელისუფლებამ კანადისმთავრობას სენ პიერის დაკავება სთხოვა, რადგან ამ კუნძულზე ძლიერი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რადიოსადგური და კავშირგაბმულობის სისტემა იყო განლაგებული. როგორც კი დე გოლმა ეს ინფორმაცია მიიღო, მან „თავისუფალი საფრანგეთის“ ფლოტის სარდალს, ადმირალ მიუზელიეს სენ პიერის და მიკელონის დაკავება უბრძანა. 24 დეკემბერს რამდენიმე ფრანგულმა ხომალდმა კუნძულებზე მცირე რაზმი გადასხა. ადგილობრივმა მოსახლეობამ კი პლებისციტის გზით „თავისუფალ საფრანგეთთან“ შეერთებას დაუჭირა მხარი. ამ ინციდენტით აღმოჩენილი კ. ჰელის მითითებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სპეციალური კომუნიკე გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო,

რომ „ე. წ. თავისუფალი საფრანგეთის ხომალდების მიერ სენ პიერზე და მიკელონზე ჩატარებული აქცია, ეს იყო თვითნებური ქმედება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან შეუთანხმებლად განხორციელდა“ (3, გვ. 121). ჰელი ბრალს დებდა დე გოლს, რომ ეს თვითნებობა მისი მხრიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ უპატივ-ცემულობის გამოხატულება იყო. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას ამერიკული პრესის ნაწილმაც აუბა მხარი. თუმცა, ამავე დროს იგივე ამერიკული პრესის დიდმა ნაწილმა კრიტიკის კამპანია საკუთრივ სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ გააჩაღა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო მდივნის მოქმედებამ პირლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმით (რაც კუნძულების ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელდა და რის შემდეგაც ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება.) შოკირებული ამერიკული საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. კრიტიკული სტატიების ავტორები სვამდნენ კითხვას, თუ რატომ მოიხსენიებდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, „ე. წ. თავისუფალი საფრანგეთი“ სახელმწიფო მდივანი იმ ორგანიზაციას, რომელიც ამერიკელების და ფრანგების საერთო მტრის, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა მაშინ, როცა ამავე დროს, სახელმწიფო დეპარტამენტი გერმანიის ფაქტობრივ მოკავშირესთან, პეტენის მარიონეტულ მთავრობასთან პოლიტიკურ თანამშრომლობას აგრძელებდა. სახელმწიფო დეპარ-

ტამენტის კომუნიკეს კრიტიკული გამოხმაურება კანადურ და ბრიტანულ პრესაშიც მოყვა, რაც ამ ქვეყნების საზოგადოებაში „თავისუფალი საფრანგეთის“ მიმართ არსებულ სიმპათიებზე მეტყველებდა. ვაშინგტონი იძულებული გახდა უკან დაეხია და განეცხადებინა, რომ ამ კუნძულების საკითხი მის დამთავრების შემდეგ იქნებოდა განხილული.

1942 წლის დამდეგიდან რუზველტის მთავრობა იძულებული გახდა „თავისუფალი საფრანგეთის“ იგნორირების პილიტიკა შეეცვალა და ამ ორგანიზაციასთან გარკვეული სახის კონტაქტები დაემყარებინა. ეს უკვე არამხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით, არამედ წყნარი ოკეანის აუზში შექმნილი საომარი ვითარებითაც იყო გამოწვეული. მას შემდეგ, რაც პირლ ჰარბორზე დარტყმით იაპონიამ ამერიკული წყნარი ოკეანის ფლოტი მწყობრიდან გამოიყვანა და ამ რეგიონში დიდი ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, ამერიკული სარდლობისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა შეიძინა წყნარ ოკეანეში მდებარე ფრანგულმა სამფლობელოებმა (ახალი ჰებრიდის, ტუამოტუს, ტუბუაის, საზოგადოების, მარკიზის არქიპელაგები და კუნძული ახალი კალედონია), რომელთაც დე გოლის ძალები აკონტროლებდნენ. ამერიკული მხედრიონი ამ კუნძულებზე არსებული ფრანგული ბაზებით ძალზედ დაინტერესებული იყო. ყველაზე მეტად მის ყურადღებას ახალი კალედონია იქცევდა, რადგან თუ მას იაპონელები დაიკავებდნენ, ამით ამერიკის შეერთებული

შტატებსა და ავსტრალიას შორის არსებული საზღვაო კო-
მუნიკაცია გაწყდებოდა.

1942 წლის თებერვალში ვაშინგტონში „თავისუფალი საფრანგეთის“ წარმომადგენელ ა. ტიკსიეს და სახელმწიფო მდივან ბერლს შორის ახალი კალედონიის ერთობლივი დაცვის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო, ხოლო ამავე თვის ბოლოს ვაშინგტონმა წყნარი ოკეანის ფრანგულ სამფლობელოებზე და ფრანგულ ეკვატორულ აფრიკაზე „თავისუფალი საფრანგეთის“ კონტროლი ოფიციალურად ცნო. ეს უკვე ამ ორგანიზაციის არაპირდაპირ აღიარებას ნიშნავდა.

1942 წლის ზაფხულში „თავისუფალი საფრანგეთის“ ავტორიტეტი ანტიპიტლერულ კოალიციაში კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგან მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ლიბიაში მიმდინარე ბრძოლებში გამოიჩინეს თავი. 1942 წლის მაისში ინგლისის სარდლობამ „თავისუფალი საფრანგეთის“ ორ დივიზიას მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დაუსახა. მათ ბირ ჰაკეიმის სიმაგრესთან რამდენიმე დღით უნდა შეეჩერებინათ რომელის ძალები, რომლებიც ქალაქ ტობრუკის აღებას ცდილობდნენ. „თავისუფალი საფრანგეთის“ ჯარებმა გააფთორებული ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგის შეკავება 27 მაისიდან 11 ივნისამდე შეძლეს შემდეგ კი გერმანელთა ალყასაც დააღწიეს თავი. ბირ ჰაკეიმთან ფრანგული ნაწილების გმირულმა წინააღმდეგობამ ინგლისურ და ამერიკულ პრესაში ჰქონდა გამოხმაურება. ფრანგების მამაცობა

მოწინააღმდეგებაც აღიარა. მაგალითად გერმანელი გენერალი ზ. ვესტფალი მოგვიანებით წერდა, რომ „ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ფორტმა ბირ ჰაუეიმმა გასწია, რომელსაც საფრანგეთის ჯარები იცავდნენ.“ (8, გვ. 170) ამ ბრძოლების შემდეგ დე გოლმა თავის ორგანიზაციას „მებრძოლი საფრანგეთი“ უწოდა 1942 წლის 9 ივლისს რუზველტის მთავრობამ ორგანიზაცია „მებრძოლი საფრანგეთი“ ოფიციალურად ცნო და განაცხადა, რომ მას სამხედრო დახმარებას გაუწევდა. თუმცა ერიდებოდა რა გართულებებს ვიშის მთავრობასთან ურთიერთობებში, ვაშინგტონი „მებრძოლ საფრანგეთს“ საფრანგეთის მთავრობად არ აღიარებდა. იგი ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებას მხოლოდ მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ცნობდა.

ამგვარად ოპერაცია „ტორჩის“ დაწყების წინ საფრანგეთთან მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ორაზროვან მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიტომ ჩრდილოეთ აფრიკაში პეტენის მთავრობის ადმინისტრაციის ლოიალურობის უზრუნველყოფის მიზნით გადაწყდა, რომ ოპერაციაში „მებრძოლი საფრანგეთი“ მონაწილეობას არ მიიღებდა და იგი ძირითადად ამერიკული ჯარების (რომელთა შემადგენლობაში სამი ინგლისური დივიზია იქნებოდა) მიერ განხორციელდებოდა. ამ დროისათვის ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი ამერიკელი ვიცე-კონსულების ძალისხმევით, რომელთა საქმიანობის კოორდინაციას რ. მერფი ახდენდა,

ფრანგ ოფიცირებთან, ბიზნესმენებთან და პოლიტიკოსებთან საიდუმლო კონტაქტები დამყარდა, რის შედეგად შეთქმულ აქტივისტთა გარევეული ჯგუფი ჩამოყალიბდა. შეთქმულებს ვიშისტური აფრიკული არმიის ნეიტრალიზაცია და მისი ამერიკელთა მხარეზე გადასვლა უნდა უზრუნველეყოთ. ამ ე. ნ. „ხუთთა ჯგუფში“ შედიოდნენ ბიზნესმენები ჟ. ლემეგრ-დიუბრეი და ჟ. რიგოლი, რომელთაც ფრანგულ მემარჯვენე პოლიტიკურ ძალებთან ფართო კავშირები ჰქონდათ. შეთქმულთა შორის იყვნენ პოლიტიკურ საკითხებში ვიშისტური აფრიკული არმიის მეთაურის გენერალ მ. ვეიგანის (იგი 1941 წლის სექტემბერში გენერალმა ა. ჟიუენმა შეცვალა) თანაშემწე, დიპლომატი ჟ. ტარბე დე სენტ არდუენი, ალუირში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ა. ვან ჰეკი, და ამავე ორგანიზაციის წევრი, მონარქისტი ა. დასტიე დე ლა ვიუერი.

რ. მერფი და „ხუთთა ჯგუფი“ შეეცადნენ ვიშისტურ გენერალიტეტში მოეძებნათ ისეთი პირი, რომელიც შეთქმულებას მხარს დაუჭერდა, აფრიკულ არმიას სათავეში ჩაუდგებოდა და მის გერმანელთა და იტალიელთა წინააღმდეგ გამოსვლას უზრუნველყოფდა. თავდაპირველად ამ მიზნით საიდუმლო მოლაპარაკებები გენერალ ვეიგანთან მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა შეთქმულებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, გადაწყდა კონტაქტი გენერალ ა. ჟიროსთან დაემყარებინათ. ჟიროზე მერ-

ფისა და რუზველტის მხრიდან არჩევანის შეჩერება გარკვეული გარემოებებით იყო განპირობებული. საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრის, არმიის გენერლის ა. უიროს (იგი 1940 წელს, საფრანგეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ტყვედ ჩავარდა. შემდეგ კი გაქცევა მოახერხა. 1942 წელს უირო სამხრეთ საფრანგეთში, არაოცუპირებულ ზონაში ცხოვრობდა.) რეპუტაცია სამარცხვინო კაპიტულაციაში მონაწილეობით შებლალული არ იყო. ამიტომ იგი მისაღები იქნებოდა ფრანგული სამხედრო-პოლიტიკური წრეების იმ ნაწილისათვის, რომელიც პეტენის მთავრობის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, თუმცა არც „თავისუფალ საფრანგეთთან“ ქონდა კავშირი. ამასთან ერთად, დე გოლისაგან განსხვავებით, უირო პოლიტიკურ ამბიციებს არ ამჟღავნებდა და არც საფრანგეთის კოლონიური იმპერიის მთლიანობის გარანტიების მოთხოვნას აყენებდა. მისთვის სავსებით საკმარისი იყო აფრიკული არმიის აქტიური მონაწილეობა ანგლო-ამერიკული სარდლობის მიერ დაგეგმილი ოპერაციებში, რასაც საფრანგეთის რაც შეიძლება სწრაფად განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა უირო ანგლო-ამერიკულ სამხედრო წრეებს მაინც მნიშვნელოვან პრობლემას უქმნიდა, რადგან იგი ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე აცხადებდა პრეტენზიას. მაგრამ ვაშინგტონში იმედი ქონდათ, რომ ფრანგ გენერალს საბოლოოდ ფრან-

გული კოლონიური ადმინისტრაციის და აფრიკული არმიის ხელმძღვანელობაზე დაითანხმებდნენ.

1942 წლის შემოდგომაზე შეთქმულთა ჯგუფი კიდევ უფრო გაფართოვდა. მას თანდათან ფრანგული ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ჩვეულებრივი მოქალაქეები უერთდებოდნენ. რაც მთავარია მასში ჩაერთვნენ აფრიკული არმიის ხელმძღვანელი სამხედრო პირები, კერძოდ კი ქალაქ რაბათში განლაგებული დივიზიის მეთაური, გენერალი ა. ბეტუარი, ქალაქ ალჟირის გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ჟ. ჟუსი და აქ დისლოცირებული მე 19 კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალი შ. მასტი. მათ ამერიკელთა გადმოსხდომის მომენტში პოტენციურ მონინააღმდეგეთა ნეიტრალიზაცია უნდა მოეხდინათ და აფრიკულ არმიას სათავეში უნდა ჩადგომოდნენ. 23 ოქტომბერს ალჟირში, დაბა შერშელში ოპერაცია „ტორჩის“ ხელმძღვანელის, ამერიკელი გენერლის დ. ეიზენჰაუერის თანაშემწე, გენერალი კლარკი „ხუთთა ჯგუფს“ და გენერალ მასტის საიდუმლოდ შეხვდა. ამ შეხვედრაზე შეთქმულების გარკვეული დეტალები იქნა იქნა შეთანხმებული და გადაწყდა რომ აფრიკულ არმიას საბოლოოდ უირო უხელმძღვანელებდა, რომელსაც ოპერაციის დასაწყისში ამერიკელები ალჟირში გადმოიყვანდნენ.

მაგრამ ნოემბრის დამდეგს, როდესაც ოპერაციის დაწყების დღე ახლოვდებოდა ალჟირში მოულოდნელად ვიშის მთავრობის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ად-

მირალი დარლანი ჩამოვიდა, რომელსაც ქალაქ ალჟირისა და სხვა საკვანძო პუნქტების გარნიზონების ინსპექტორება უნდა ჩატარებინა. ალჟირში დარლანის გამოჩენა მეტად სახითოათო იყო, რადგან საგანგებო ვითარების შემთხვევაში მას მთელი აფრიკული არმიის მობილიზება და ამერიკული დესანტისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. თუმცა, მეორე მხრივ, თუ მისი გადმობირება მოხერხდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა ის, რომ აფრიკულ არმიას წინააღმდეგობა ასევე ორგანიზებულად შეეწყვიტა, რითაც დიდი შეტაკებების და მსხვერპლის თავიდან აცილება მოხერხდებოდა. მაგრამ ვინაიდან დარლანთან მოლაპარაკებისათვის დრო არ რჩებოდა, ანგლო-ამერიკულმა სარდლობამ გადაწყვიტა დარლანის გადმობირების მცდელობა ოპერაციის მსვლელობის პარალელურად განეხორციელებინა, ხოლო მანამდე კი გენერალ უიროსთან ოპერაციაში მისი როლის განსაზღვრის თაობაზე შეთანხმება უნდა მომხდარიყო. 1942 წლის 7 ნოემბერს, საღამოს, უშუალოდ ოპერაცია „ტორჩის“ დაწყების წინ, გენერალი უირო წყალქვეშა ნავით სამხრეთ საფრანგეთიდან ინგლისურ სიმაგრე გიბრალტარში, ეიზენჰაუერის შტაბში იქნა გადმოყვანილი. მოლაპარაკება, რომელსაც ეიზენჰაუერი და კლარკი აწარმოებდნენ, მთელი 6 საათი გაგრძელდა. უირომ ამერიკული საექსპედიციო ძალების მთავარსარდლის, ე. ი. გენერალ ეიზენჰაუერის პოსტი მოითხოვა, რაზედაც ამერიკელმა გენერლებმა კატეგორიუ-

ლი უარი განაცხადეს. საბოლოოდ დიდი კამათის შემდეგ 8 ნოემბერს ღამით, უირო იძულებული გახდა ჩრდილო-დასავალეთ აფრიკის ფრანგული ადმინისტრაციის და აფრიკული არმიის ხელმძღვანელობას დასჯერებოდა.

8 ნოემბერს ანგლო-ამერიკულმა ძალებმა ოპერაცია „ტორჩი“ დაიწყეს. მოკავშირეთა მოწინავე ნაწილები მაროკოში ქალაქ კასაბლანკას, ხოლო ალჟირში ქალაქების ალჟირისა და ორანის მისადგომებთან გადმოსხდნენ. ქალაქ ალჟირში, ჯერ კიდევ მოკავშირეთა გადმოსხდომამდე, რ. მერფის მითითებით შეთქმულთა 400 კაციანმა რაზმმა ა. დასტიე დე ლა ვიუერის და უ. აბულკერის მეთაურობით სტრატეგიული პუნქტები, მათ შორის სატელეფონო სადგური, რადიო-სადგური და მე-19 კორპუსის შტაბი დაიკავეს. თავად მერფი ვიცე-კონსულ კ. პენდარის, ჩრდილოეთ აფრიკაში ვიშისტური დაზვერვის უფროსის, პოლკოვნიკ კრეტიენის და შეთქმულთა რაზმის თანხლებით აფრიკული არმიის მთავარსარდლის გენერალ უიუენის სახლში მივიდა. უიუენის ბინაზე მოვიდა მეზობელ ვილაში მყოფი ადმირალი დარლანიცა, რომელსაც გენერალმა დაურეკა და მასთან მისვლა სთხოვა. მერფიმ ვიშისტური გენერალიტეტის ნარმომადგენლებს სადესანტო ოპერაციის დაწყების შესახებ აცნობა და სთხოვა, რომ მათ აფრიკული არმიის ნეიტრალიტეტი უზრუნველეყოთ. მაგრამ დარლანი, რომელიც თვლიდა, რომ მას მოკავშირეებთან თანამშრომლობით პოლიტიკური რეაბილიტაცი-

ის შესაძლებლობა ეძღვეოდა, პასუხეს აყოვნებდა. ადმირალი ცდილობდა, რომ მისი მხრიდან აფრიკული არმიის ლოიალურობის უზრუნველყოფის სანაცვლოდ მოკავშირეებს იგი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ფრანგული ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ეცნოთ. მოლაპარაკება საღამოს 6 საათამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ვიშისტურმა ძალებმა ალუირში შეთქმულთა მიერ დაკავებული საკვანძო პუნქტები დაიბრუნეს და გარკვეული წინააღმდეგობა ქალაქის სანაპიროებთან გადმომსხდარ მოკავშირეთა ძალებსაც გაუწიეს. თუმცა საბოლოოდ რ. მერფიმ, რომელმაც დარღანს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მისი უფლებამოსილების აღიარების საკითხში დახმარება აღუთქვა, ეს უკანასკნელი ფრანგთა მხრიდან ცეცხლის შეწყვეტაზე დაითანხმა. 8 ნოემბერს, საღამოს მოკავშირეთა ჯარები ქალაქ ალუირში შევიდნენ. 9 ნოემბერს მოლაპარაკება დარღანთან გენერალმა კლარკმა გააგრძელა. მან დარღანს მოსთხოვა, რომ წინააღმდეგობა აფრიკული არმიის იმ ნაწილებსაც შეეწყვიტათ, რომლებიც მოკავშირეებს ორანთან და კასაბლანკასთან ებრძოდნენ. ამერიკელმა გენერალმა დარღანს განუცხადა, რომ რუზველტის მთავრობა მზად იყო იგი ჩრდილოეთ აფრიკის მმართველად ეცნო იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი აფრიკული არმიის სარდლის პოსტზე გენერალ ჟიროს დანიშვნას დათანხმდებოდა. მიღწეული შეთანხმების შემდეგ დარღანმა აფრიკულ არმიას საომარი მოქმედების ყველა რაიონში ცეც-

ხლის შეწყვეტა უბრძანა. თავის ბრძანებაში ადმირალი აცხა-
დებდა, რომ მარშალ პეტენის დავალებით მთელი ძალაუფ-
ლება ჩრდილოეთ აფრიკაში მის ხელში გადადიოდა (5, გვ.
194). 14 ნოემბერს დარღანის მეთაურობით საფრანგეთის
ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის უმაღლესი კომისარიატი შეიქ-
მნა. აფრიკული არმიის მთავარსარდლად გენერალი უირო
(იგი ალჟირში 9 ნოემბერს ჩამოვიდა) დაინიშნა.

ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებულ მოვლენებში
დარღანის მონაწილეობას სამხედრო თვალსაზრისით ორი
ურთიერთსანინააღმდეგო შედეგი ქონდა. ერთი მხრივ მისმა
მოქმედებამ აფრიკული არმიის ნეიტრალიზაცია უზრუნ-
ველყო, რითაც ანგლო-ამერიკული ძალების მიერ მაროვასა
და ალჟირის სწრაფად და ნაკლები მსხვერპლით დაკავება
მოხერხდა. მაგრამ მეორე მხრივ, დარღანის მიერ საკუთარი
პოლიტიკური რეაბილიტაციის მიზნით მოღაპარაკების გა-
ჭიანურებამ, მოკავშირეთა ძალებს რამდენიმე დღე მაინც
დააკარგვინა, რითაც მოწინააღმდეგებმ დაუყოვნებლივ ისარ-
გებლა. სანამ მაროვასა და ალჟირში ბრძოლები მიმდინარე-
ობდა, გერმანულმა სარდლობამ სამხრეთ საფრანგეთის და
ტუნისის ოკუპაციის ოპერაცია მოამზადა. 11 ნოემბერს, რო-
ცა ჩრდილოეთ აფრიკაში საომარი მოქმედებები შეწყდა,
გერმანიის ჯარებმა სამხრეთ საფრანგეთი დაიკავეს და ავი-
აციით საფრანგეთიდან და იტალიიდან ტუნისში 100 ათასზე
მეტი გერმანელი და იტალიელი ჯარისკაცი გადაისროლეს.

ტუნისში განლაგებულმა აფრიკული არმიის ნაწილებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხეს, რადგან მათმა მეთაურებმა, ადმირალმა ესტევამ, ადმირალმა დერიენმა და გენერალმა ბარემ მარშალ პეტენისაგან ნეიტრალიტეტის შენარჩუნების ბრძანება მიიღეს, ხოლო ადმირალ დარლანისაგან კი მათ არავითარი ბრძანება არ მიუღიათ. ამის შედეგად გერმანიის ჯარებმა მთელი ტუნისი უბრძოლველად დაიკავეს. გერმანელთა მიერ ტუნისის ოკუპაციამ სრული განადგურებისაგან იხსნა რომელის არმია, რომელიც ლიბიაში ინგლისელთა მე-8 არმიის შემოტევების გამო მძიმე ბრძოლებით ტუნისისკენ იხევდა უკან. საბოლოოდ ტუნისში უკანდახეულმა რომელის არმიამ და აქ გადმოსროლილმა გერმანულმა და იტალიურმა ნაწილებმა ერთმანეთთან შეერთებით უწყვეტი ფრონტი შექმნეს და ინგლისის მე-8 არმია ლიბიატუნისის საზღვარზე შეაჩერეს. შეჩერებული იქნა ეიზენჰაუერის არმიაც. ამერიკელებმა მხოლოდ ალუირიდან ტუნისში შეჭრა და ქალაქ ტუნისის მისადგომებთან გასვლა მოახერხეს. ტუნისის ტერიტორიაზე ფრონტის სტაბილიზაცია მოხდა (7, გვ. 288). ამგვარად ოპერაცია „ტორჩის“ (რომლის მიზანი ჩრდილოეთ აფრიკიდან გერმანელთა და იტალიელთა სრული განდევნა იყო) 1942 წლის ბოლოსათვის ნარმატებით დასრულების შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული. ჰიტლერული კოალიციის ძალები ტუნისის სახით ჩრდილოეთ აფრიკაში პლაცდარმს კვლავ ინარჩუნებდნენ.

ამასთან ერთად დარღანთან პოლიტიკურმა თანამშრომლობამ ორგანიზაცია „მებრძოლი საფრანგეთის“ და ანგლო-ამერიკული პრესის მხრიდან პრეზიდენტ რუზველტის მიმართ საკმაოდ მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ამერიკული პრესის ფურცლებიდან უკვე ისმოდა ბრალდება, რომ თავისი გავლენის გაძლიერების მიზნით რუზველტის მთავრობა ომის შემდეგ საფრანგეთში ვიშისტურ-კოლაბორაციონისტული ელემენტებით გაჯერებული ხელისუფლების შექმნას აპირებდა. მაგრამ ამ კრიტიკის მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ჩრდილოეთ აფრიკაში სამხედრო კომუნიკაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ფიქრობდნენ, დარღანთან ურთიერთობას აგრძელებდნენ. რუზველტის მთავრობის აზრით ჯერ-ჯერობით სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ამიტომ ოპერაციის წარმატებით დასრულებისათვის დარღანთან (რომელმაც აფრიკულ არმიასა და ადმინისტრაციაზე კონტროლი სწრაფად დაამყარა) თანამშრომლობა აუცილებელი იყო. თუმცა რუზველტი იძულებული გახდა ამერიკული და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისი მთავრობის ამგვარი მოქმედების მიზეზები განემარტა და 19 ნოემბერს განეცხადებინა, რომ „ჩრდილოეთ აფრიკაში დარღანთან მიღწეული შეთანხმება დროებითი იყო და მას საფუძვლად მხოლოდ მინიმალური დანაკარგებით სწრაფი სამხედრო წარმატების მოპოვების მოტივი ედო“ (2, გვ. 282-283).

დარღანი ცდილობდა თავისი ხელისუფლება განემტკიცებინა, რისთვისაც მან პოლიტიკური თანამშრომლობა იმ შეთქმულებსაც შესთავაზა, რომლებმაც ოპერაცია „ტორჩის“ დაწყების წინ ალჟირსა და მაროკოში გადატრიალება განახორციელეს. ადმირალმა, რომელიც თავის თავს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში საფრანგეთის უმაღლეს კომისარს უწოდებდა, სპეციალური სათათბირო ორგანოები, საიმპერიო საბჭო და კომიტეტი შექმნა, რომლებშიც როგორც ვიშისტური კოლონიური ადმინისტრაციის, ისე შეთქმულთა აქტივისტებიც შედიოდნენ (საიმპერიო საბჭოს წევრები იყვნენ დარღანის თანაშემწე, ვიშისტი გენერალი ბერჟერე, ალჟირის გუბერნატორი ი. შატელი პეტენის მთავრობის წარმომადგენელი მაროკოში, გენერალი შ. ნოგესი და ფრანგული დასავლეთ აფრიკის გუბერნატორი პ. ბუასონი, ხოლო კომიტეტში შედიოდნენ „ხუთთა ჯგუფის“ წევრები ჟ. ტარბე დე სენტ არდუენი, ჟ. რიგოლი და ა. დასტიე დე ლა ვიუერი). მაგრამ დარღანის მმართველობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 1942 წლის 24 დეკემბერს იგი საკუთარი რეზიდენციის შესასვლელში პისტოლეტის გასროლით იქნა მოკლული. მკვლელი 8 ნოემბრის ალჟირის გადატრიალების მონაწილე, 20 წლის ფ. ბონიე დე ლა შაპელი, რომელიც დაცვამ შეიძყრო, მეორე დღესვე დახვრიტეს. ნოგესი და ჟირო, რომლებმაც სიკვდილით დასჯის აქტს მოაწერეს ხელი, იმდენად სწრაფად მოქმედებდნენ, რომ მკვლელის პოლიტიკური შე-

ხედულებები და მკვლელობის მოტივი დღემდე უცნობი რჩება. ამან კი დარღანის მკვლელობის სხვადასხვა ვერსია წარმოშვა.

ყველაზე უფრო მეტი გავრცელება პპოვა იმ ვერსიამ, რომ დარღანი მონარქისტთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რომლებსაც ფრანგული ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ადმინისტრაციის სათავეში ბურბონთა საგვარეულოს წარმომადგენლის, პარიზის გრაფის (იგი ამ პერიოდში ალჟირში იმყოფებოდა და საიმპერიო საბჭოს წევრებს და გენერალ ჟიროს რამდენიმეჯერ კონფიდენციალურად შეხვდა) მოყვანა უნდოდათ, რის შედეგადაც, მათი აზრით, ომის შემდეგ საფრანგეთში ბურბონთა დინასტიის აღდგენა გახდებოდა შესაძლებელი. ამ ვერსიის მომხრეები მკვლელობის ინიციატორებად მონარქისტ ა. დასტიე დე ლა ვიუერის და მასთან დაახლოვებულ აპატ კორდიეს მიიჩნევდნენ. არსებობს ის ვერსიაც, რომ მონარქისტებს ხელს უწყობდნენ გოლისტები, რომლებსაც დარღანის თავიდან მოშორება და აფრიკული არმიის და „მებრძოლი საფრანგეთის“ ძალების დე გოლის მეთაურობით გაერთიანება სურდათ. ამ ვერსიაში მკვლელობის ორგანიზატორის სახით ა. დასტიე დე ლა ვიუერის ძმა, დე გოლთან დაახლოვებული, ფ. დასტიე დე ლა ვიუერი ფიგურირებს, რომელიც 1940 წლის 20 დეკემბერს გენერლის დავალებით ალჟირში ჩავიდა (ალსანიშნავია რომ ამის ნებართვა დე გოლმა ამერიკელებისაგან ითხოვა) და დარღან-

სა და საიმპერიო საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ცხარე კამათში გადაიზარდა, რომლის დროსაც დე გოლის წარმომადგენელმა დარღანს პირდაპირ განუცხადა, რომ ეს უკანასკნელი არც ფრანგი ხალხის ნდობით სარგებლობდა და აფრიკაში ფრანგული ეროვნული ძალების გაერთიანებასაც უშლიდა ხელს (1, გვ.295-296). ფ. დასტიე დე ლა ვიუერიმ ალჟირში კიდევ რამდენიმე დღე დაჰყო და „მებრძოლი საფრანგეთის“ ადგილობრივ მომხრეთა ჯგუფს შეხვდა. ალჟირი მან დარღანის მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე დატოვა. ამ მკვლელობის კიდევ ერთი ვერსია მის ორგანიზატორად გენერალ უიროს მიიჩნევს, რომელსაც ფრანგული ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ადმინისტრაციის სათავეში ჩადგომა თავად სურდა, რის შემდეგაც ამერიკელთა დახმარებით იგი „მებრძოლი საფრანგეთის“ თავისი მმართველობის ქვეშ მოქცევას გეგმავდა. ამ ვერსიის მომხრეთა მთავარი არგუმენტია მკვლელის, ფ. ბონიე დე ლა შაპელისთავდაჯერებულობა. იგი ბოლომდე დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას სიკვდილით არ დასჯიდნენ. მან დარღანის მცველებს ისიც კი განუცხადა, რომ გავლენიანი მფარველები ყავდა. მეტად მნიშვნელოვანია ის არგუმენტიც, რომ უირომ მკვლელის საჯარო გასამართლების წინადადება კატეგორიულად უარყო. მისი მითითებით დახურულისასამართლო გაიმართა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი რამდენიმე საათში გამოიტანა.

დარღვანის მკვლელობამ ვაშინგტონს საშუალება მისცა თავის ადრინდელ გეგმას დაბრუნებოდა და წინა პლანზე უირო წამოეწია. რუზველტის მთავრობა განთავისუფლდა ვიშისტ ადმირალთან თანამშრომლობის უსიამოვნო აუცილებლობისაგან, რის გამოც მას საკუთარი ქვეყნის და მოკავშირე სახელმწიფოების საზოგადოების წინაშე თავის მართლება და ამ თანამშრომლობის სამხედრო მოსაზრებებით ახსნა უხდებოდა. ამასთან ერთად ვაშინგტონში იმის იმედიც გაჩნდა, რომ მათი მხარდაჭერით უიროს პოზიციების მაქსიმალურად გაძლიერების შემდეგ გენერალი დე გოლი იძულებული გახდებოდა ამ უკანასკნელთან არამარტო ეთანამშრომლა, არამედ მისი პრიორიტეტიც ელიარებინა. ასეთ შემთხვევაში რუზველტის ხელისუფლება აფრიკულ არმიას და „მებრძოლი საფრანგეთის“ ჯარებს ისეთი ფრანგული ადმინისტრაციის ეგიდით გააერთიანებდა, რომელსაც საფრანგეთის დროებითი პოლიტიკური ხელისუფლების პრეტენზია არ ექნებოდა და უიროც და დე გოლიც მხოლოდ განთავისუფლებული ფრანგული კოლონიების მართვით და იქ არსებული სამხედრო რესურსების მოპილიზებით იქნებოდნენ დაკავებულნი.

მაგრამ ამერიკელებისაგან განსხვავებით ჩრდილო-და-სავლეთ აფრიკაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას „მებრძოლი საფრანგეთის“ მესვეურები სულ სხვაგვარად აფასებდნენ. მათ იმედი ქონდათ, რომ საფრანგეთის ნაციონალური ინტერესების დაცვის და კოლონიური იმპერიის

მთლიანობის შენარჩუნების ლოზუნგით ისინი ოკუპირებულ საფრანგეთსა და მის სამფლობელოებში არსებულ ყველა სახეის პოლიტიკურ ძალებზე მოახდენდნენ გავლენას, რაც საბოლოოდ თავად უიროს აიძულებდა დე გოლის დაქვემდებარებაში გადასულიყო. ამის შედეგად კი აფრიკაში საფრანგეთის დროებითი მთავრობის ფუნქციების მქონე სამხედრო პოლიტიკური ადმინისტრაცია შეიქმნებოდა. „მებრძოლი საფრანგეთის“ ხელმძღვანელთა იმედებს ინგლისის მხარდაჭერაც აძლიერებდა. პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი შეშფოთებული იყო ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ამერიკული გავლენის ზრდით, რაც საფრთხეს არამარტო საფრანგეთის, არამედ ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის მთლიანობასაც უქმნიდა.

დარღანის მკვლელობის შემდეგ ვაშინგტონი თავისი გეგმის განხორციელებას დაუყოვნებლივ შეუდგა. ეიზენჟაუერის მოთხოვნით 26 დეკემბერს საიმპერიო საბჭოს წევრები იძულებული გახდნენ გენერალ უიროს, როგორც უმაღლესი კომისრის უფლებამოსილებანი ეცნოთ, ხოლო 1943 წლის 17 იანვარს რუზველტმა ჩერჩილთან შეთანხმებით გენერალი უირო და გენერალი დე გოლი მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში მიიწვია, სადაც ჩრდილოეთ აფრიკის განთავისუფლების შემდეგ ომის წარმოების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების საკითხზე ანგლო-ამერიკული სამხედრო და პოლიტიკური წრეების მიერ ორგანიზებული კონფერენცია მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა ამ კონფერენციაზე ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი განსახილველი პრობლემა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ერთიანი ფრანგული ადმინისტრაციის შექმნა და ფრანგული სამხედრო ძალების გაერთიანებაც იყო, რადგან ფრანგულ შენაერთებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ აფრიკიდან იტალიაში გადასხდომის ოპერაციაში, რასაც ახლო მომავალში ანგლო-ამერიკული სარდლობა გეგმავდა.

კონფერენციის წინ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის წარმომადგენლებმა რ. მერთიმ და ჰ. მაკმილანმა ერთიანი ფრანგული ადმინისტრაციის შექმნის პროექტი შეიმუშავეს, რომელიც „მებრძოლი საფრანგეთის“ და უმაღლესი კომისარიატის ურთიერთშერწყმას ითვალისწინებდა. ამ ადმინისტრაციაში როგორც საიმპერიო საბჭოს წევრები, ისე დე გოლის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები შევიდოდნენ, ხოლო მას სათავეში უირო, დე გოლი და ვიშისტი გენერალი უორუ (ჩერჩილის მეგობარი პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან) ჩაუდგებოდნენ. უირო გაერთიანებული ფრანგული სამხედრო ძალების მეთაური გახდებოდა და ამ თვალსაზრისით ანგლო-ამერიკულ სარდლობას დაექვემდებარებოდა. ის, რომ უირო მთელი ფრანგული ძალების სარდლის პოსტს იღებდა და ეიზენჰაუერის დაქვემდებარებაში გადადიოდა, ბრიტანეთის მმართველი წრების (რომლებიც თავიანთ მძლავრ მოკავშირესთან აშკარა დაპირისპირებას ერიდე-

ბოდნენ) მხრიდან დიდი კომპრომისი იყო. მაგრამ ჩერჩილი ვარაუდობდა, რომ დე გოლი, რომელიც ფრანგულ საზოგადოებასა და წინააღმდეგობის მოძრაობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, დროთა განმავლობაში უიროს და მისი ვიშისტური გარემოცვის უკანა პლანზე გადაწევას შეძლებდა და გაერთიანებული ფრანგული ადმინისტრაციის ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი გახდებოდა.

1943 წლის 22 იანვარს კასაბლანკაში ჩამოსული დე გოლი პირველად უიროს შეხვდა, რომელმაც მას განუცხადა რომ იგი შორს იდგა პოლიტიკისაგან და თავის ერთადერთ მიზნად ამერიკელთა დახმარებით დიდი ფრანგული არმიის შექმნას ისახავდა. ამასთან ერთად უირომ დე გოლს ისიც აგრძნობინა, რომ აფრიკაში ფრანგული სამხედრო ძალების გაერთიანება ამერიკელთა მიერ შემოთავაზებული პირობების მიხედვით მისთვის სავსებით მისაღები იყო. დღის მეორე ნახევარში დე გოლი ჩერჩილს შეხვდა, რომელმაც მას მერცისა და მაკმილანის პროექტი გააცნო და მისი მიღება ურჩია. მაგრამ „მებრძოლი საფრანგეთის“ ლიდერმა ეს პროექტი კატეგორიულად უარყო და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს განუცხადა, რომ ამ საკითხზე ის მხოლოდ უიროსთან ამერიკელთა და ინგლისელთა შუამავლობის გარეშე იმსჯელებდა. დე გოლს თავისი პოზიცია არც რუზველტთან შეხვედრაზე შეუცვლია, რომელიც იმავე დღის ბოლოს გაიმართა. მეორე დღეს ერთმანეთს ისევ უირო და დე გოლი შეხვდნენ. უირო

შეეცადა დაერწმუნებინა დე გოლი, რომ საფრანგეთის ეროვნული ინტერესებისათვის მოკავშირეთა გეგმის მიღება იყო საჭირო, რადგან ამ შემთხვევაში გაერთიანებულ ფრანგულ ძალებს თანამედროვე ამერიკული შეიარაღება გადაეცემოდათ. მაგრამ დე გოლმა უიროს განუმარტა, რომ სწორედ საფრანგეთის ეროვნული ინტერესების დაცვისათვის იყო აუცილებელი ის, რომ უნდა მომხდარიყო არა „მებრძოლი საფრანგეთის“ და უმაღლესი კომისარიატის უბრალო შერწყმა, არამედ ვიშისტებისგან გაწმენდილი პოლიტიკური ხელისუფლების ფორმირება რომელიც საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ დროებითი მთავრობის ფუნქციას შეასრულებდა. ამ ხელისუფლებას, რომელიც მოკავშირეთა კონტროლქვეშარ იქნებოდა მოქცეული, სათავეში თავად დე გოლი ჩაუდგებოდა, ხოლო უირო, როგორც მთელი ფრანგული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, თავის უფლებამოსილებას სწორედ ამ ორგანოსაგან მიიღებდა. მართალია უირომ დე გოლის ეს წინადადება უარყო, მაგრამ გენერლები მომავალში მოლაპარაკების გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

ამგვარად ამერიკული ეგიდით ფრანგული ეროვნული ძალების გაერთიანების გეგმა ჩაიშალა, თუმცა დე გოლი, რომელიც პრეზიდენტ რუზველტთან ურთიერთობის გაუმჯობესების იმედს არ კარგავდა, დათანხმდა მის თხოვნას კასაბლანკადან გამომგზავრების წინ უურნალისტებისა და ფოტოკორესპონდენტების წინაშე რუზველტის და ჩერჩილის

თანდასწრებით მასასა და უიროს შორის მოლაპარაკების დაწყების შესახებ განეცხადებინა და უიროზე ხელის ჩამორთმევით იმის დემონსტრირებაც მოეხდინა, რომ ერთიანი ძალის-ხმევით ფრანგული პრობლემა (რის გამოც რუზელტს ხშირად აკრიტიკებდნენ) დღის წესრიგიდან მაღლე მოიხსნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით წარმატება მიღწეული ვერ იქნა, ვაშინგტონი თავისი გეგმის განხორციელებას მაინც აგრძელებდა. კასაბლანკას კონფერენციის დასასრულს რუზელტმა ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო გაცხადებული, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მხოლოდ უიროს ადმინისტრაციის ხელისუფლებას აღიარებდა. ამავე დროს მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ გენერალ უიროს თხოვნით ახლო მომავალში ჩრდილოეთ აფრიკაში 11 ფრანგული დივიზიის აღჭურვისთვის საკმარისი ამერიკული შეიარაღება მათ შორის ათასი სამხედრო თვითმფრინავი გაიგზავნებოდა.

მაგრამ ამერიკელთა მცდელობის მიუხედევად, უიროს ადმინისტრაციის პოპულარობის ამაღლება ვერ მოხერხდა. როგორც ოკუპირებული საფრანგეთის, ისე მისი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ფრანგულ მოსახლეობაში, მათ შორის საქმიან წრეებში დე გოლის იდეა დროებითი პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის და მასზე ერთიანი ფრანგული სამხედრო ძალების დაქვემდებარების შესახებ სულ უფრო მეტ

მომხრეს იძენდა. ამ მიმართულებით აქტიურად საქმიანობდა „მებრძოლი საფრანგეთის“ სპეციალური მისია (დე გოლთან დაახლოვებული და ამავე დროს უიროს მეგობრის გენერალ კატრუს მეთაურობით), რომელიც ალუირში მოქმედებდა.(ამ მისის ალუირში გამოგზავნაზე, რომელსაც უიროსა და დე გოლს შორის უწყვეტი კონტაქტი უნდა უზრუნველეყო, ეს უკანასკნელნი კასაბლანკაში შეთანხმდნენ). პროგოლისტური განწყობის ზრდას დიდად უწყობდა ხელს ის პროპაგანდისტული რადიოგადაცემებიც რომელსაც „მებრძოლი საფრანგეთი“ ლონდონიდან, რადიოსადგურ ბი ბი სის და ბრაზავილიდან (ფრანგული კონგო) საკუთარი რადიოსადგურის მეშვეობით აწარმოებდა. სულ უფრო გახშირდა აფრიკული არმიის ჯარისკაცების „მებრძოლი საფრანგეთის“ მხარეზე თვითნებური გადასვლის ფაქტები. ამის გამო ვაშინგტონში შეშფოთება თანდათანობით იზრდებოდა, რადგან მალე მოსალოდნელი იყო, რომ ტუნისში უიროს აფრიკული არმიის ნაწილები, რომლებიც ამერიკელებთან ერთად გერმანულ-იტალიურ ჯარებს დასავლეთიდან უტევდნენ, „მებრძოლი საფრანგეთის“ ძალებს შეხვდებოდნენ, რომლებსაც თავის მხრივ ინგლისის მე-8 არმიასთან ერთად მოწინააღმდეგებზე იერიში აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მიჰკინდათ.

ასეთ ვითარებაში უიროს პოზიციების გასაძლიერებლად ვაშინგტონმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. რუზველ-

ტის მთავრობაში გადაწყვიტა ჟიროს ვიშისტური გარემოცვა და შესაბამისად ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში არსებული მმართველობის ის სისტემა შეეცვალა, რაც გენერლის ავტორიტეტზე უარყოფითად მოქმედებდა. ამ მიზნით ალჟირში ჟიროს პოლიტიკურ მრჩევლად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ფრანგი ფინანსისტი ჟ. მონე გაიგზავნა, რომელიც ომის დასაწყისში ამ ქვეყანაში მივლინებულ შეიარაღების შესყიდვის ანგლო-ფრანგულ მისიას ხელმძღვანელობდა. რუზველტი თვლიდა, რომ მონე ასეთი საქმისათვის სწორედ რომ შესაფერისი ფიგურა იყო, რადგან იგი დე გოლის მოძრაობას არ ემხრობოდა (მისი აზრით დე გოლის ავტორიტარიზმისაკენ სწრაფვის გამო) თუმცა „მებრძოლი საფრანგეთის“ ლიდერი მას, როგორც იმ ბიზნესმენსა, რომელმაც ოკუპანტებთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, მაინც დიდ პატივს სცემდა. ეს გარემოება რუზველტის მთავრობის აზრით იმის შესაძლებლობას ქმნიდა, რომ მონე დე გოლს კომპრომისზე დაიყოლიებდა და გაერთიანებულ ფრანგულ ადმინისტრაციაში ჟიროს პრიორიტეტს უზრუნველყოფდა.

მონემ მალე დაარწმუნა ჟირო, რომ საჭირო იყო ისეთი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რითაც გენერალი პეტენის მთავრობას გაემიჯნებოდა. ეს დადებითად აისახებოდა ჟიროს ავტორიტეტზე და იმ კრიტიკასაც ჩაახშობდა, რაც ფრანგული პრობლემის გამო პრეზიდენტ რუზველტის მი-

მართ კვლავაც ხშირად ისმოდა. ამასთან ერთად ამის შემდეგ დე გოლსა ჟიროს შორის შეთანხმების მიღწევაც უფრო იოლი გახდებოდა. მონეს ძალისხმევით 1943 წლის 14 მარტს ჟირომ მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა. გენერალი აცხადებდა, რომ ამიერიდან ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ვიშისტური კანონმდებლობა გაუქმდებოდა და რესპუბლიკური მმართველობა იქნებოდა აღდგენილი. ჟირო მაღალ შეფასებას აძლევდა დე გოლის მოძრაობას და აღნიშნავდა, რომ მისი ადმინისტრაცია კავშირს ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ფრანგულ ორგანიზაციათან დაამყარებდა.

„მებრძოლი საფრანგეთის“ მესვეურები ჟიროს განცხადებას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, მაგრამ გენერალმა დე გოლმა ფრანგული ეროვნული ძალების გაერთიანების საკუთარი პირობები წამოაყენა. დე გოლის მომხრეები მოითხოვდნენ, რომ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში აუცილებლად უნდა შექმნილიყო პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც ფრანგი ხალხის სახელით მთელი ფრანგული სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის და მოკავშირეებთან მოლაპარაკების წარმოების უფლებამოსილებით იქნებოდა აღჭურვილი. ამ ხელისუფლებაში სამხედრო პირები პოლიტიკურ მმართველობას უნდა დამორჩილებოდნენ და ამასთან ერთად მასში ვიშისტური ელემენტებიცარ უნდა მოხვედრილიყვნენ.

მართალია ამ პირობებში რუზველტის მთავრობის გა-
ლიზიანება გამოიწვია, მაგრამ ვითარება ჩრდილო-დასავ-
ლეთ აფრიკაში დე გოლის სასარგებლოდ სულ უფრო სწრა-
ფად იცვლებოდა. მას შემდეგ, რაც უირომ ვიშისტური კა-
ნონმდებლობის გაუქმება გამოაცხადა, ალჟირსა და მარო-
კოში არსებული საკონცენტრაციო ბანაკებიდან 50 ათასზე
მეტი ანტიფაშისტი და პეტენის კოლაბორაციონისტული რე-
ჟიმის მოწინააღმდეგე ფრანგი პატრიოტი განთავისუფლდა.
ამასთან ერთად ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში უკვე თავი-
სუფლად ვრცელდებოდა ფრანგული წინააღმდეგობის მოძ-
რაობის გაზეთი „კომბა“, რომელიც აქ აქამდე მხოლოდ არა-
ლეგალურად, მცირე რაოდენობით შემოდიოდა. ყველაფერმა
ამან დე გოლის მომხრეთა რიცხვი ალჟირში დიდად გაზარ-
და. მეტად დიდი მნიშვნელობა ქონდა იმასაც, რომ 1943 წლის
აპრილში ტუნისში ანგლო-ამერიკული ჯარები ერთმანეთს
შეუერთდნენ და მოწინააღმდეგე ხმელთაშუა ზღვის სანაპი-
როსაკენ უკუაგდეს. ამ შეერთების შედეგად აფრიკული არ-
მიის და „მებრძოლი საფრანგეთის“ ნაწილებიც ერთმანეთს
შეხვდნენ, რის შემდეგაც აფრიკული არმიის მთელმა რიგმა
შენაერთებმა გენერალ დე გოლის დაქვემდებარებაში გადას-
ვლის სურვილი გამოთქვეს. მაისის დამდეგს ალჟირისა და
ტუნისის ქალაქებში დე გოლის მხარდამჭერი მასობრივი დე-
მონსტრაციები გაიმართა, ხოლო 15 მაისს ძალზედ მნიშვნე-
ლოვანი მოვლენა მოხდა: ოკუპირებულ საფრანგეთში შეიქ-
მნა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო, რომელმაც წინააღ-

მდეგობის მოძრაობის ყველა ძალა გააერთიანა და სპეციალური მიმართვით იმავე დღეს დე გოლს სრული მხარდაჭერა გამოუწხადა. 27 მაისს ამ ორგანომ პარიზში არალეგალურად გამართულ სხდომაზე დე გოლისადმი კიდევ ერთი მიმართვა მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დე გოლის პოლიტიკური და ჟიროს სამხედრო ხელმძღვანელობით ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში საფრანგეთის დროებითი მთავრობა უნდა შექმნილიყო. ამ დოკუმენტში კვლავ იყო აღნიშნული, რომ წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო მთელი ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის ერთადერთ მეთაურად გენერალ დე გოლს აღიარებდა (10, გვ. 203; 1, გვ. 328-329).

ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს განცხადებამ რუზველტის მთავრობაზე დიდი გავლენა მოახდინა. ვაშინგტონი დარწმუნდა, რომ ფრანგული პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო და ამის წინააღმდეგ გამოსვლა საფრანგეთის მთელ მოსახლეობაში რუზველტის ავტორიტეტს უკიდურესად დასცემდა. ამავე დროს ჩრდილოეთ აფრიკის ფაშისტური ჯარებისაგან საბოლოო განთავისუფლებისა და იტალიაში გადასხდომის ოპერაციის წარმატებისათვის-ფრანგული სამხედრო ძალების გაერთიანებაც (რის სწრაფ განხორციელებასაც გენერალ ეიზენჰაუერის შტაბი მოითხოვდა) სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. ამერიკის შე-

ერთებული შტატების პოზიციის ცვლილებამ გენერალი უი-რო (რომელზეც ამავე დროს ზენოლას მონე, მაკმილანი და გენერალი კატრუ ახდენდნენ) აიძულა ფრანგული ადმინისტრაციის გაერთიანების დე გოლის მიერ წამოყენებული პირობების განხილვას დათანხმებოდა. 17 მაისს მან გენერალ დე გოლს საფრანგეთის ცენტრალური ხელისუფლების ფორმირების შესახებ მოლაპარაკებისათვის ალჟირში ჩამოსვლის თხოვნით მიმართა.

1943 წლის 30 მაისს გენერალი დე გოლი ეროვნული კომიტეტის წევრების, ა. ფილიპის და რ. მასიგლის თანხლებით-ლონდონიდან ქალაქ ალჟირში ჩამოფრინდა. აეროდრომზე მას გენერალი უირო გენერალი კატრუ, რ. მერფი და ჰ. მაკმილანი დახვდნენ. ალჟირის მოსახლეობამ დე გოლის პატივსაცემად მასობრივი დემონსტრაცია მოაწყო, რომლის მონაწილენი გენერალს მისაღმების გამომხატველი ხმამაღალი შეძახილებით ხვდებოდნენ. ამასთან ერთად შემდეგ დღეებში დე გოლმა მრავალი წერილიც მიიღო, რომელთა ავტორები მას „მებრძოლი საფრანგეთის“ ჯარების რიგებში მიღებას თხოვდნენ. ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ 1 ივნისს ალჟირის გუბერნატორმა მ. პეირუტონმა ფრანგული ეროვნული ძალების გაერთიანებისათვის ხელის შენყობის მოტივით თავისი გადადგომა გამოაცხადა და ამის თაობაზე თხოვნით არა ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურს უიროს, არამედ დე გოლს მიმართა. ალჟირში მიმდინარე მოვლენებმა, რომელთაც ანგლო-ამერიკული პრესა ფართოდ

აშუქებდა, „მებრძოლი საფრანგეთის“ ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა და 31 მაისს დაწყებულ მოლაპარაკებებში მისი უპირატესობა უზრუნველყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დე გოლისაკენ გადაიხარა ჟ. მონე, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში თავისი ყოფნის პერიოდში კარგად ამჩნევდა იმას, რომ ადგილობრივ ფრანგულ ბურჟუაზიულ წრეებში, რომელიც საფრანგეთის კოლონიური იმპერიის შენარჩუნებით სისხლხორცეულად დაინტერესებულნი იყვნენ, უიროს ავტორიტეტი ძალზედ შესუსტებული იყო. თავადაც საფრანგეთის ბურჟუაზიის ნარმომადგენელ მონეს ესმოდა, რომ ფრანგული საქმიანი წრეებისათვის ჩრდილოდასავლეთ აფრიკაში მიუღებელი იქნებოდა ისეთი ადმინისტრატორი, რომელიც მთლიანად ამერიკელთა გავლენაში იყო მოქცეული და შესაბამისად ამ რეგიონს ამერიკული კაპიტალის შეღწევისაგან ვერ დაიფარავდა. უიროსაგან განსხვავებით კი დე გოლი, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თავი არამარტო საფრანგეთის განთავისუფლების, არამედ მისი კოლონიური იმპერიის შენარჩუნებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა წარმოაჩინა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საფრანგეთის ბურჟუაზია და ვიშისტური რეჟიმის მოძულე ფრანგული საზოგადოება სწორედ დე გოლის სახით ხედავდა სამხედრო-პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც ქვეყნის შიგნით და გარეთ მოქმედი ძალების კოორდინირებულ მართვას და ამ მეტად რთულ ეტაპზე საფრანგეთის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას შეძლებდა.

თუმცა მონე, რომელიც თვლიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-ეკონომიკური დახმარება საფრანგეთს როგორც ომის დროს, ისე განთავისუფლების შემდეგაც დასჭირდებოდა, ცდილობდა ისეთი გაერთიანებული ადმინისტრაცია შექმნილიყო, რომელშიც უიროს და დე გოლს თანაბარი უფლებამოსილებანი ექნებოდათ და რომელიც რუზველტის მთავრობის მხარდაჭერითაც ისარგებლებდა.

1943 წლის 3 ივნისს უიროსა და დე გოლს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, რომელმაც თავი ყველა ფრანგული ტერიტორიის მმართველ და საფრანგეთის მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ ორგანოდ გამოაცხადა. ორგანიზაციას სათავეში ორი თავმჯდომარე დე გოლი და უირო ჩაუდგნენ. მისი წევრები კი გახდნენ უიროს ადმინისტრაციის მხრიდან ჟ. მონე და გენერალი უორუ, ხოლო „მებრძოლი საფრანგეთის“ მხრიდან_ა. ფილიპი, რ. მასიგლი და გენერალი კატრუ (უირო, რომელსაც კატრუს მხარდაჭერის იმედი ქონდა, დათანხმდა, რომ ისიც ორგანიზაციის წევრი ყოფილიყო). ამ პირველ სხდომაზე პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებიც იქნა მიღებული: მაროკოსა და დასავლეთ აფრიკის მმართველები შ. ნოგესი და პ. ბუასონი თავიანთი პოსტებიდან გადააყენეს.

ამგვარად საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნით დე გოლის მიზანი თითქმის მიღწე-

ული იქნა: ჩამოყალიბდა ოკუპირებულ მეტროპოლიასა და განთავისუფლებულ კოლონიებში მოქმედი ფრანგული პატ-რიოტული ძალების გამაერთიანებელი პოლიტიკური ხელი-სუფლება, რომელსაც კოლონიურ იმპერიაში არსებული მთელი რესურსების მობილიზება და საფრანგეთის განთავი-სუფლებისათვის მათი ამოქმედება შეეძლო. ამჯერად დე გოლის ამოცანა ორგანიზაციის ერთპიროვნული ლიდერობა იყო, რის მიღწევასაც იგი კომიტეტის წევრებთან აქტიური მუშაობით და მათი უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვე-ბით გეგმავდა. რა თქმა უნდა ამ ამოცანის გადაჭრას გენე-რალს ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნული საბჭოს თანადგომა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მისი პირადი ავტორიტეტის ზრდა დიდად უადვილებდა.

5 ივნისს ორგანიზაციის შემქმნელმა შვიდეულმა კიდევ ერთი სხდომა გამართა, რომლის დროსაც კომიტეტის გა-ფართოვების და წევრებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხები იქნა განხილული. ჟირომ და დე გოლმა ახალი წევრების კანდიდატურები თავად წამოაყენეს. დე გოლის მხრიდან კომიტეტში მისი თანამებრძოლები ა. დიეტელმი, ა. ტიკისიე და რ. პლევენი შევიდნენ, ხოლო ჟირომ მასში მისი წინანდელი ადმინისტრაციის წევრები რ. მეიერი, უ. აბადი და ვიშის მთავრობის ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი 1943 წელს ალჟირში გამოქცეული მ. კუვ დე მიურვილი შეიყ-ვანა. გარდა ამისა გენერლების ურთიერთშეთანხმებით კო-მიტეტში კიდევ ერთი პირი, ერთა ლიგის აქტუალურ გამოკ-

ვლევათა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი ა. ბონეც (იგი საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, ხოლო 1943 წლის ივნისში ალჟირში ჩამოვიდა) შეიყვანეს. 15 ივნისს ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი უკვე გაფართოვებული შემადგენლობით (14 წევრი) შეიკრიბა. სხდომაზე ფრანგული სამხედრო ძალების გაერთიანების და მათი მთავარსარდლობის საკითხი იქნა დაყენებული. დე გოლი თანახმა იყო, რომ მთავარსარდლის პოსტი უიროს დაეკავებინა, მაგრამ ამშემთხვევაში იგი უნდა დამორჩილებოდა კომიტეტს და არა ეიზენჰაუერს. დე გოლ-მა მეორე მოთხოვნაც წამოაყენა: მას შემეგ რაც საფრანგე-თის ჯარები ფართომასშტაბიან ოპერაციებში ჩაებმებოდნენ (ამ პერიოდში ეიზენჰაუერის შტაბი უკვე აფრიკიდან იტალი-აში გადასხდომის ოპერაციას ამზადებდა, რომელშიც მონა-ნილეობა ფრანგულ შენაერთებსაც უნდა მიეღოთ), მთავარ-სარდალს კომიტეტის თანათავმჯდომარის პოსტი უნდა დაე-ტოვებინა. უირომ, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანე-ლობის დათმობა არ სურდა, ესმოთხოვნები უარყო, რის შემ-დეგაც ამ საკითხის განხილვა გარკვეული ხნით გადაიდო.

რუზველტის ხელისუფლება, რომელიც საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტზე უიროს მეშვეო-ბით გარკვეული გავლენის მოპოვებას ცდილობდა, კვლავ შეეცადა ამ უკანასკნელის პოზიციები გაეძლიერებინა. 19 ივნისს ეიზენჰაუერმა ორივე თანათავმჯდომარე თავის

შტაბში მიიწვია და მათ ფრანგული ძალების მთავარსარ-
დლობის საკითხზე რუზველტის მთავრობის მოსაზრება გა-
აცნო. მან დე გოლს განუცხადა, რომ იმ დროს როცა მოკავ-
შირეთა ჯარები იტალიაში გადასხდომისთვის ემზადებოდ-
ნენ საფრანგეთის ძალების ხელმძღვანელობაში რაიმე
ცვლილება მეტად არასასურველი იყო და ამიტომ უირო აფ-
რიკული არმიის სარდლის რანგში კვლავაც მის დაქვემდება-
რებაში უნდა დარჩენილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში რუზ-
ველტის მთავრობა ფრანგული ძალების შეიარაღების გაგ-
რძელებას მიზანშეწონილად აღარ ჩათვლიდა.

ეიზენჰაუერის ამ განცხადებამ, რომელსაც შეიარაღე-
ბის შეწყვეტისმუქარა ულტიმატუმის სახეს აძლევდა, საწი-
ნააღმდეგო შედეგი გამოიღო. მან კომიტეტის წევრთა აღ-
შფოთება გამოიწვია, რადგან ამერიკელთა ეს დემარში საფ-
რანგეთის საშინაო საქმეებში ჩარევად იქნა აღქმული (აღსა-
ნიშნავია, რომ დე გოლმა ეიზენჰაუერს რუზველტის მთავ-
რობის ამ მოსაზრების წერილობით ჩამოყალიბება თხოვა და
ეს დოკუმენტი კომიტეტს გააცნო). უიროს მდგომარეობა სა-
ბოლოოდ შეირყა, რაც იმანაც განაპირობა, რომ დე გოლისა-
გან განსხვავებით ეიზენჰაუერს მან ზემოთაღნიშნულ შეხ-
ვედრაზე პროტესტი არ განუცხადა. 21 ივნისს, კომიტეტის მორიგ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით უირო ისევ
აფრიკული არმიის სარდლად დარჩა, მაგრამ ახლო მომავალ-
ში მას საბოლოო არჩევანი უნდა გაეკეთებინა: იგი ან კომი-

ტეტს უნდადამორჩილებოდა, ან მისი შემადგენლობიდან გა-
სულიყო (8,გვ. 272).

აღსანიშნავია, რომ ჟიროს პრესტიუსის გადასარჩენად ვაშინგტონი ამჯერადაც გააქტიურდა: რუზველტის მთავ-
რობამ ჟირო ფრანგული ჯარების შეიარაღების და მოკავში-
რეთა მომავალ პპერაციებში მათი მონაწილეობის საკითხე-
ბის განსახილველად ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში მიიწვია. მართალია როგორც რუზველტმა, ისე სახელმწიფო
დეპარტამენტის და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენ-
ლებმა ჟიროს საპატიო შეხვედრები მოუწყვეს, მაგრამ ამ
უკანასკნელის განცხადებებმა იმის შესახებ, რომ მისი ერ-
თადერთი მიზანი საფრანგეთის არმიის აღდგენა იყო, ამერი-
კული საზოგადოების და ამ ქვეყანაში მცხოვრები ფრანგე-
ბის იმედგაცრუება გამოიწვია. ჟიროს სახით მათ წინაშე
წარსდგა არა პოლიტიკური მოღვაწე და ფრანგი ხალხის
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ლი-
დერი, არამედ ჩვეულებრივი სამხედრო პირი, რომელიც მხო-
ლოდ იმისთვის იყო ჩამოსული, რომ რამდენიმე ფრანგული
დივიზიის ამერიკული იარაღით აღჭურვის საკითხი მოეგვა-
რებინა. ამ იმედგაცრუებას აძლიერებდა ისიც, რომ რუზ-
ველტი და სხვა ოფიციალური პირები ჟიროს არა საფრანგე-
თის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის თანათავ-
მჯდომარედ, არამედ მოკავშირეებთან ერთად მებრძოლი
ფრანგული სამხედრო ძალების წარმომადგენლად მოიხსენი-
ებდნენ. ამგვარად რუზველტის მთავრობის ეს მცდელობა

კვლავ წარუმატებელი გამოდგა. მან ჟიროს ავტორიტეტი კი-
დევ უფრო მეტად შეასუსტა.

ამავე დროს ალექსი ჟიროს არყოფნის პერიოდი (2-25 ივლისი) დე გოლმა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად
მეტად ეფექტურად გამოიყენა. მან ალექსის, მაროკოს და
ტუნისის მრავალი დასახლებული პუნქტი და გარნიზონი მო-
იარა და სიტყვით ათასობით ადამიანის წინაშე გამოვიდა,
რამაც მისი პოპულარობა არნახულად გაზარდა. ამასთან
ერთად ვიშისტური ელემენტებისაგან ადგილობრივი ადმი-
ნისტრაციული ორგანოებიც განმენდილი იქნა. ძალზედ
მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ამ პერიოდში ფრანგული წი-
ნააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც თავის ერთადერთ ლი-
დერად დე გოლს აღიარებდა, იმ კოლონიებზეც გავრცელდა,
სადაც პეტენის მთავრობის მმართველობა იყო შემორჩენი-
ლი. კუნძულებზე გვადელუპასა და მარტინიკაზე, აგრეთვე
საფრანგეთის გვიანაში ვიშისტური ხელსუფლება დამხობი-
ლი იქნა, რის შედეგადაც საფრანგეთის მთლი ზღვისიქითა
ტერიტორია (ინდოჩინეთის გარდა) ეროვნული განთავისუფ-
ლების კომიტეტის კონტროლქვეშ მოექცა. ამ ფაქტის მნიშ-
ვნელობას ზრდიდა ის, რომ მარტინიკაზე დაცული საფრან-
გეთის სახელმწიფო ოქროს მარაგის ნაწილიც ასევე ამ ორ-
განიზაციის განკარგულებაში გადავიდა. დე გოლის პრესტი-
უის ამაღლების ნათელი დადასტურება იყო 1943 წლის 14 ივ-
ლისს, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის გამო ქალაქ

ალჟირში გამართული სამხედრო პარადი, რომელიც გენერ-
ლის მხარდამჭერ გრანდიოზულ მანიფესტაციაში გადაიზარ-
და.

ამ მოვლენების შემდეგ ალჟირში დაბრუნებული ჟირო
დე გოლთან შემდგომი პოლიტიკური კონკურენციის სრულ
უპერსპექტივობაში საბოლოოდდარწმუნდა. ამიტომ ეროვ-
ნული განთავისუფლების კომიტეტის 31 ივლისის სხდომაზე
ჟირო დათანხმდა იმას, რომ იგი ამ ორგანიზაციის თანათავ-
მჯდომარის რანგში ამიერიდან მხოლოდ გაერთიანებული
ფრანგული სამხედრო ძალების სარდლობით შემოიფარგლე-
ბოდა, ხოლო სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით კომი-
ტეტს მეორე თანათავმჯდომარე, დე გოლი უხელმძღვანე-
ლებდა. ამავე სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება, რომ
იმ მომენტიდან, როცა საფრანგეთის ჯარები ფართომასშტა-
ბიან ოპერაციებში ჩაებმებოდნენ გენერალ ჟიროს კომიტე-
ტის თანათავმჯდომარის პოსტი უნდა დაეტოვებინა. ეს გა-
დაწყვეტილებები იმაზე მიუთითებდა, რომ ეროვნული გან-
თავისუფლების კომიტეტის რეალურ ლიდერად გენერალი
დე გოლი იქცა. მალე, ნოემბერში გამოიყენა რა საბაბად ჟი-
როს თვითნებური მოქმედება (ამ უკანასკნელმა სექტემბერ-
ში კომიტეტის გაფრთხილების და მისი ნებართვის გარეშე
კუნძულ კორსიკაზე იტალიელთა წინააღმდეგ აჯანყებული
მოსახლეობის დასახმარებლად აფრიკიდან ფრანგული ნაწი-
ლები გადაისროლა, რის შემდეგაც, 4 ნოემბერს კუნძული
მთლიანად განთავისუფლდა) დე გოლმა იმასაც მიაღწია,

რომ უირო კომიტეტის შემადგენლობიდან საერთოდ იქნა გამოყვანილი. ამის შემდეგ ორგანიზაციის მართვის სადავეები მთლიანად დე გოლის ხელში გადავიდა.

1943 წლის 26 აგვისტოს ანტიპიტლერული კოალიციის წამყვანმა ქვეყნებმა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა საფრანგეთისეროვნული განთავისუფლების კომიტეტი ოფიციალურად ცნეს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ ორგანიზაციას საფრანგეთის დროებით მთავრობად არ აღიარებდნენ (ვაშინგტონი კომიტეტს ზღვისიქითა ფრანგული ტერიტორიების მმართველ ორგანიზაცია და, ლონდონი – ომში ფრანგული ძალისხმევის წარმმართველ ძალად, ხოლო მოსკოვი – საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენლად მოიხსენიებდნენ), ამ აქტს მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა. ორგანიზაციამ (სექტემბერში მას უკვე 26 სახელმწიფო ცნობდა), რომელიც მთელ ფრანგულ პატრიოტულ ძალებს აერთიანებდა და რომელსაც სათავეში ამ ძალების მიერ ერთხმად აღიარებული ლიდერი, გენერალი დე გოლი ედგა, პოლიტიკური სტატუსი შეიძინა და შესაბამისად დიპლომატიური მანევრების განხორციელების შესაძლებლობაც მიიღო.

გამოყენებული ლიტერატურა

სვანაძე ლ. შარლ დე გოლი, პოლიტიკური ბიოგრაფია,
ნიგნი პირველი, პრემიერი, ქუთაისი, 2008.

Jean-Pierre Azéma. De Munich à la Libération 1938-1944.
Editions du seuil, 1979.

Антиохина-Московченко В. И. Шарль де Голль и
Советский союз. Москва, 1990.

Арзаканян М. Ц., Ревякин А. В., Уваров П. Ю. История
Франции. Москва, 2005

Молчанов Н. Н. Генерал де Голль. Москва, 1988.

Новейшая история стран Европы и Америки. XX век.
Часть 1. 1900-1945. Под редакцией А. М. Родригеса и М. В.
Пономарева. Москва,

Самсонов А. М. Вторая мировая война. 1939-1945.
Москва, 1985.

Севостьянов Г. Н., Уткин А. И. США и Франция в годы
Второй мировой войны 1939-1945. Москва, 1974.

Смирнов В. П. Новейшая история Франции. 1918-1975.
Москва, 1979

Смирнов В. П. Движение сопротивления во Франции в
годы Второй мировой войны. Москва, 1979.

Zaza Burkadze

**Operation "Torch" and creation of the French committee
of national liberation**

Resume

The article is about French people's fight for independence during world war II and creation of the French committee for national liberation which became a military-political organization uniting opposition forces in occupied France and its colonies.

Also a strong confrontation among French political and military circles is shown in the article which emerged during the process of formation of this organization because of different positions among the allies.

“
”

, ,
,

თურქეთიდან ეპითული მიწაბის დაზრუნვების
იდეოლოგიური პრაკტიკის ისტორიიდან

კახაბერ სურგულაძე

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რუსეთზე გადაცემული ტერიტორიების ნაწილი – ყარსი და არდაგანი - 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთის ზეგავლენით გადაეცა თურქეთის რესპუბლიკას. ეს შეთანხმება გამოხატავდა მაშინდელი საბჭოთა რუსეთის ინტერესებს. სამწუხაროდ, რუსეთის დაწოლით საქართველომაც უარი განაცხადა მის ისტორიულ ტერიტორიებზე – კოლაზე, არტაანზე, შავშეთზე, კლარჯეთზე, ტაოზე, ჯავახეთზე და აჭარის ნაწილზე. არსებითად თურქეთს გადაეცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაახლოებით 13 071 კმ² ფართობი [1:10-11].

მეორე მსოფლიო ომის მინურულს, საბჭოთა ხელმძღვანელობამ თურქეთის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო. ამას ხელს უწყობდა თურქეთი-გერმანიის ურთიერთობა. საბჭოთა ხელმძღვანელობა თურქეთის წინააღმდეგ ომის-თვის მზადებას შეუდგა. ასეთ ვითარებაში დაიწყო სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება, რომლების მიზანი იყო თურქეთის მიერ მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნება და ბოსფორის და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დამყარება. ამ მიზნით დაიწყეს მზადება თურქეთში სამხედრო დესანტის გადასხმისთვის. ასევე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებში ქართული იდეების პრო-

პაგანდა, დაიწყეს ლაზური გაზეთ „მჭითა მურუცხეს“ (წითელი ვარსკლავი) გამოშვება და რაც მთავარია, 1945 წლის 19 მარტს, დენონსირება გაუკეთა ესთურქეთთან დადებულ 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ [1:4].

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობა თურქეთის მხრიდან მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით გამოვიდნენ პოსტსდამის კონფერენციაზე (17.07-2.08.1945). კერძოდ, 16 ივლისს, დიდი ბრიტანეთის საგარეონ საქმეთა მინისტრთან ენტონ იდენთან (1897-1977) საუბრისას, სსრკ საგარეო საქმეთა კომისარი მიხეილ მოლოტოვი (1890-1986) გამოვიდა თურქეთთან საზღვრების გადასინჯვის ინიციატივით. სხდომისას მან განაცხადა, რომ „1921 წელს საბჭოთა საქართველოდან და სომხეთიდან ჩამოცილებული იქნა ტერიტორიები – ყარსი, არდაგანი და ართვინი...“ და თურქეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების პირობად მან მოითხოვა ზემონახსენები ტერიტორიების დაბრუნება [2:639].

ანალოგიური აზრი განავითარა მოლოტოვმა 22 ივლისის სხდომაზეც [3]. სამწუხაროდ, მაშინ საბჭოთა წინადაღებამ პოსტდამის კონფერენციაზე ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ინგლის-აშშ ხელმძღვანელობის მხრიდან.

უნდა შევნიშნოთ, რომ თურქეთის მხრიდან მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნების საქმეში დიპლომატიის გარდა საბჭოთა მთავრობამ მეცნიერების და მწერლების გარდა, აქტიურად ჩართო ქართულ-სომხური ეკლესია და პოლიტიკური ემიგრაცია. საზღვრების გადასინ-

ჯვის მოთხოვნით თავდაპირველად სომხეთის მხარე გამოვიდა. ამ კამპანიაში აქტიურად ჩაება სომხეთის ემიგრაციაც. 1945 წლის ივნისში, სომხეთში, ეჩმიაძინში გამართულ საერთო სომებთა საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს 15 ქვეყნიდან 111 დელეგატი, კვლავ დაისვა ტერიტორიების დაბრუნების საკითხი [1:12].

სომხების პარალელურად, თურქების მხრიდან, ოღონდ ქართული ტერიტორიების დაბრუნების კამპანიაში ჩაერთო ქართული მხარეც. ამ მიზნით, 1945 წლის 14 დეკემბერს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მეცნიერების სიმონ ჯანაშიას (1900-1947) და ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965) სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. სტატიაში მოკლედ მიმოხილული იყო ძვ.წ. II ათასწლეულიდან თანამედროვეობამდე მიმდინარე ისტორიული მოვლენები. ხაზგასმული იყო, რომ თურქეთის მხრიდან მიტაცებული ტერიტორიები ისტორიულად ქართული – კოლხური მიწები იყო. ბიზანტიელი მწერლების ცნობებით, ავტორები აღნიშნავდნენ, რომ იქ ე.ი. თურქეთის მხრიდან მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ლაზები იყვნენ კოლხების შთამომავლები [1:25].

სტატიაში აღნიშნული იყო, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ეს მიწები ქართული იყო. შენიშნული იყო, რომ ამ ტერიტორიაზე თურქეთის ექსპანსია იტყებოდა XVI ს-დან. სტატია მთავრდებოდა მოწოდებით, რომ „ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასდროს უთქვამს უარი... ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანი), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაი-

ბურთის, გიუმუშხანეს და აღმოსავლეთ ლაზისტანის, ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით...“ [1:32].

აშკარა იყო, რომ ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის სტატია პოლიტიკური ნიშნით იყო დაწერილი, ამიტომაც იგი სასწრაფოდ ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულ (გაზ. „იზვესტია“, 20.12.1945) და უკრაინულ (გაზ. „პრავდა უკრაინი, 22.12.1945) პრესაში.

უნდა ითქვას, რომ ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის სტატია ბიძგის მიმცემი გახდა და პერიოდულ პრესაში დაიწყო თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების პროპაგანდა და იქ მცხოვრები ხალხის ქართველობის დასაბუთება. ასე მაგ., პროფ. არნოლდ ჩიქობავა (1898-1985) გაზ. „Заря Востока“-ში (20.12.1945) გამოქვეყნებულ სტატიაში - „Несколько замечаний о Лазах“, ავტორი ეთნოგრაფიული და სხვადასხვა ენობრივი მასალის საფუძველზე ასაბუთებდა ლაზების, მეგრელების და ქართველების ნათესაობას [1:33-37].

ნიშანდობლივია, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების პროპაგანდის საქმეში ჩაერთო ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამართველოს წევრი, იმდროინდელი აჭარის მუფლი რასის ბერიძე. სტატიაში - „თურქთა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი“ (გაზ. „კომუნისტი“, 28.12.1945), ავტორი ამოდის რელიგიური პოზიციებიდან. იგი წერდა: „ქართველი მუსულმანი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან... თვით თურქეთისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გიუმიშხანეს, ბასიანის

მიდამოებს, ჭორობ-ტრაპიზონის კოლხეთს“. მუფლი შემდეგ აგრძელებდა, რომ 1920-1921 წლებში თურქებმა „მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქების ნაწილის ოკუპაცია. მრავალი მუსულმანი ქართველი გაჟღიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს“ [1:38-41].

აჭარის მუფლის პარალელურად, თავისი პოზიცია დააფიქსირა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (1932-1952). სტატიაში „წერილი რედაქციის მიმართ“ (გაზ. „კომუნისტი“, 8.01.1946), ავტორი ქართულ ტერიტორიებზე თურქთა ბატონობას წარმოაჩენს ჩამორჩენილობის სიმბოლოდ. წერილის დასასრულს იგი წერდა: „თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა (თურქეთი-კ.ს.) საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწანყალი: რაიონი არტაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გიუმიშხანესი და ლაზისტან-ჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩავლით“ [1:42-45].

მსგავსი შინაარსის წერილები მაშინ გამოაქვეყნეს პროფ. სერგი ჯიქიამ (1898-1993) – „თურქების მიერ მიტაცებულ ქართველთა მკვიდრი მინა-წყალის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტი“, 29.01.1946), პროფ. ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953) – „თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე“ (გაზ. „კომუნისტი“, 25-26.05.1946) და სხვ.

მეცნიერების პარალელურად, თურქეთის მხრიდან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების პროპაგანდის საქმეში ჩაერთვნენ ქართველი მწერლები და პოეტები. ასე

მაგ., პოეტი ირაკლი აბაშიძე (1909-1992) ლექსში „რა დაგავინებს“ (გაზ. „კომუნისტი“, 28.12.1945) წერდა:

„რა დაგავინებს ძველს ნატყვიარებს,
სად დარჩა შენი ნაფუზვარები,
იმ ქართულ გზებზე დღესაც კრიალებს
ნინაპრის ცხენთა ნაქუსლარები.
იქ არის შენი აკვნის გამთლელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული;
ქართველო, სანამ გქვიან ქართველი
გეძახის შენი მინა ქართული“ [1:82-83].

აშკარა იყო, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ ვერ შეძლო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის განწყობა მის სასარგებლოდ, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართულ-სომხურ ტერიტორიების დაბრუნების შესახებ პროპაგანდა თანდათან მინელდა. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას ინერციით, ქართულ საზოგადოებაში მაინც მიდიოდა თურქეთის მხრიდან მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ პროპაგანდა. 1949 წელს გაზ. კომუნისტში დაბეჭდა გრიგოლ აბაშიძის (1914-1994) ლექსების კრებული „სამხრეთ საზღვარზე“ [1:102-112], მასში პოეტი ქართული მიწების დაბრუნების იმედს გამოთქვამდა:

„და მელანდება ის წამი, როცა
ხანძთაში შევალ ხალისით სავსე,
ყარსზე გადივლის სტალინის დროშა
და სალუტები თბილისის თავზე“ [1:110].

ე.წ. თურქეთის საქართველოს თემაზე სპექტაკლები წარმატებით იდგმებოდა თეატრში ასე მაგ., 1949 წელს რუს-

თაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ილო მოსაშვილის (1896-1954) ოთხ მოქმედებიანი პიესა „ჩაძირული ქვები“ [1:113-178]. უნდა შევნიშნოთ, რომ გრ.აბაშიძის ლექსების კრებულის „სამხრეთ საზღვარზე“ და ილო მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები“-სთვის, 1951 წელს დაჯილდოვდნენ, მაშინ-დელ საბჭოთა კავშირში პრესტიჟული სტალინური პრემიით [1:19].

საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან მზარდი საშიშროების გამო, ამავე დროს თვითგადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე, თურქეთმა პოლიტიკური ორიენტაცია აიღო ინგლის-აშშ-ზე. ნიშანდობლივია, რომ 1947 წელს ინგლისელებმა აშშ მთავრობას აცნობეს თურქეთში საბჭოთა გავლენის ზრდის შესახებ. ეს კი არსებითად ცვლიდა ძალთა ბალანს ხმელთა-შუაზღვისპირეთში. ასეთ ვითარებაში, აშშ პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა (1884-1972) გააკეთა თავისი არჩევანი და 1947 წლის 12 მარტს კონგრესში გამოსვლისას მოითხოვა თურქეთ-საბერძნეთის მთავრობების მხარდასაჭერად 400 მილ. დოლარის გადარიცხვა.

ჩანს, ეს მხარდაჭერა არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომაც 1952 წელს თურქეთ-საბერძნეთი მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ აკმაყოფილებდნენ სტანდარტებს, მაინც შეიყვანეს ჩრდილო ატლანტიკურ კავშირში. არსებითად ნატოში შესვლით, სსრ კავშირმა დაკარგა ყოველგვარი ბერკეტი თურქეთის მიერ მიტაცებული ქართულ-თურქული ტერიტორიების დაბრუნებისა.

1953 წლიდან კი რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობა მკვეთრად იცვლება. საქმე იმაშია, რომ სტალინის შემდეგ,

სსრკ ახალმა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა (1894-1971) და საბჭოთა მთავრობა, შეეცადა დასავლეთის მიმართ ურთიერთობები გაეუმჯობესებინა. ამის მიზეზი იყო ის სამხედრო ბაზების რკალი, რომელიც აშშ მოაწყო მაშინდელი სსრკ მიმართ. ასეთ ვითარებაში მაშინდელმა საბჭოთა მთავრობამ საშინაო თუ საგარეო კუთხით მოახდინა მთელი რიგი დათმობები: მაგ., მოხდა რეპრესირებულების რეაბილიტაცია, 1953-1954 წლებში კორეის და ვიეტნამის ომის შეწყვეტა, ურთიერთობების გაჯანსაღება იუგოსლავიასთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და ა.შ. სწორედ მაგ კონტექსტში უნდა განვიხილოთ თურქეთთან დამოკიდებულებაც.

1953 წლის 30 მაისს, საბჭოთა მთავრობის სახელით, ნ.ხრუშჩოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოს და სომხეთის მთავრობებს აღარ ჰქონდათ ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის სახელმწიფოს მიმართ [4:113]. შესაბამისად, თურქეთის მიმართაც ტერიტორიული პრეტენზიები მოხსნა სსრ კავშირმაც.

უნდა ითქვას, რომ ხრუშჩოვის ეს განაცხადი უარყოფითად აღიქვეს საქართველოში, რადგანაც თურქეთის მხრიდან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების იმედი, რითაც სულდგმულობა ქართული საზოგადოება, მომენტალურად იმედგაცრუებული დარჩა. საკითხს ისიც ართულებდა, რომ თუ სსრ კავშირმა საქართველოს მთავრობების სახელით უარი თქვა ტერიტორიულ პრეტენზიებზე, სამაგიეროდ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა მზაობა სრუტეების საკითხის გადახედვის შესახებ [იქვე]. ასეთ ფონზე, რუსეთის

მხრიდან მკაცრი ცენზურის არსებობის პირობებში, ირიბი თუ პირდაპირი გზით, ქართულ სამეცნიერო წრეებში, მაინც ხდებოდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-წარმოჩენა.

გამოყენებული ლიტერატურა

ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან, მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთოვ ჯ. სამუშიამ, თბ., 2003;

:

/

. . t. 2, . 1, .., 2003;

() -

- ,

(http://www.hist.msu.ru/ER/Etext/War_Conf-berlin07.htm);

C

. 1918-2003.

/ . . .

. . IV (600 .). M., 2003.

Kakhaber Surguladze

**From the history of ideological struggle of returning
Georgian lands from Turkey**

Resume

1. The article is about the October 13, 1921 Kars treaty according to which the Turkish Republic got about 13 071 square kilometers of Georgian historical territories (Kola, Artaan, Shavsheti, Klarjeti, Tao, Javakheti and part of Adjara) as well as about the return of these territories after the World War II and the campaign of ideological struggle by the Soviet leadership.

2. Concerning this matter position of Soviet leadership of that time is shown and objective circumstances of international resistance which in turn hindered return of these territories to Georgia.

1. 13 1921 ,
13 071

(, , , , , ,
)

2.

,

აზარის საჯარო დაცვესაშულებების
საზოგადოებასთან ურთიერთობების სფრატების
შეფასება ელექტრონული მართველობის
განვითარების პონტიფიციში

გენადი იაშვილი
ირაკლი მანველიძე

საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებისა და გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისთვის აუცილებელი წინაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულებების საქმიანობისა და მათ მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარების სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება და განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებების წუსხა.

საჯარო დაწესებულებების მთავარ მიზანს გამჭვირვალე საქმიანობა და საზოგადოებასთან დიალოგის

* ნაშრომი მომზადდა შოთ რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (DO/56/2-190/14) მეშვეობით.

გზით მოქალაქეთა ნდობის მოპოვება უნდა წარმოადგენდეს.

აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებები ცდილობენ მაქ-
სიმალურად ინფორმაციული გახადონ და დახვეწონ ოფიცი-
ალური ელექტრონული რესურსები (ვებ-გვერდები, სოცია-
ლური ქსელები), საჯარო დაწესებულებების ნაწილი, საინ-
ტერესო ელექტრონულ სერვისებს და ინიციატივებსაც
სთავაზობს მომხმარებელს.

აჭარის ა.რ. სამთავრობო უწყებებიდან საზოგადოე-
ბასთან ურთიერთობების მიმართულებით მოთხოვნილი სა-
ჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ
საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებთან ურთიერ-
თობის სტრატეგიის, ელექტრონული რესურსების გამოყე-
ნების ხარისხის და კომუნიკაციის დონის შეფასება.

შეკითხვები დაეგზავნა 16 ავტონომიური რესპუბლი-
კის და მუნიციპალურ საჯარო დაწესებულებებს: აჭარის ა.რ.
მთავრობა, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, ქ. ბათუმის მერია,
ქ. ბათუმის საკრებულო, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომი-
კის სამინისტრო, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინის-
ტრო, აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყო-
ფის სამინისტრო, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო, აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველო,
აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო, აჭარის ა.რ. სპორტი-
სა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი, ქობულეთის მუნიცი-
პალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი, ხელვაჩაურის მუნიცი-
პალიტეტი, შუახევის მუნიციპალიტეტი, ხულოს მუნიციპა-

ლიტეტი.

აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულების კვლევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის კუთხით საინტერესო აღმოჩნდა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ რეგიონის 16 საჯარო დაწესებულებიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა მხოლოდ ერთ საჯარო დაწესებულებას - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა შემუშავებული. ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის სახელმძღვანელო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის განმსაზღვრელი ზოგადი დოკუმენტი მოვაწოდა აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატმა, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით ხელმძღვანელობენ მასშედიასა და მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესში შუახევის მუნიციპალიტეტი, ქ. ბათუმის მერია.

აჭარის ა.რ. გარემოს დაცვის სამმართველოს სამოქმედო გეგმა მხოლოდ იმ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს შეიცავს, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს. ქ. ბათუმის მერიაში საზოგადოებასთან ურთიერთობების სამოქმედო გეგმა დამუშავების

სტადიაში, ხოლო აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველო ზოგადი დებულებით და საარქივო კანონმდებლობით ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელებაში.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალური მიზნობრივი ყოველწლიური სამოქმედო დოკუმენტი რეალურად 16 დაწესებულებიდან 15-ს არ აქვს. შეკითხვაზე არ უპასუხია ქობულეთის მუნიციპალიტეტს, აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტს.

დადებით ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საჯარო დაწესებულებების ნაწილი მოქალაქეებთან ეფექტურ კომუნიკაციას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დახვეწაზე მუშაობს. სამთავრობო უწყებების წერილებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის დამუშავება მიმდინარეობს. მაგ., აჭარის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიხედვით, ეტაპობრივად დაინერგება შემდეგი უკუავშირის მექანიზმები, რომლებიც დეტალურად გაიწერა აჭარის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტანდარტების შემუშავებისას: ა) ერთიანი ვებ-პორტალი: ცხელი ხაზი - აჭარის მთავრობის ცენტრალური აპარატის ბაზაზე შეიქმნება ცხელი ხაზი, რათა სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ მოქალაქეებისაგან შემოსულ ზარებზე. ცხელი ხაზის ძირითადი დატვირთვა შემდეგი აქტივობების განხორციელებით დაგენერირდება:

ციელებაზე მოვა: –პრობლემების დაფიქსირება; –შესაბამის საჯარო მოხელეებთან გადამისამართება; –საჭირო ინფორმაციის მიწოდება; –სატელეფონო კვლევა; ბ) ერთიანი მართვის სისტემა - მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნება სპეციალური პროგრამა, რომელშიც დაფიქსირდება შემოსული ინფორმაცია/კითხვები/ჩივილები და მათზე რეაგირების ანგარიში. მათ შორის: –ცხელ ხაზზე შემოსული ზარები; –მიღებული წერილები და საჩივრები; –საჯარო ინფორმაციაზე შემოსული მოთხოვნები; –ვებგვერდების უკუკავშირის ფანჯრები; –სოციალური მედიით შემოსული კითხვები; გ) მედიაკიტი - სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო დოკუმენტების ნაკრები (ელექტრონული და ბეჭდური) მედიაკიტის სახით. მედიაკიტი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტებს: –ზოგადი ინფორმაცია უწყების შესახებ - ფუნქცია, ამოცანები, სტრუქტურა, ისტორია; –ფაქტობრივი მონაცემები - სტატისტიკური მაჩვენებლები (რეგულარულად განახლებადი), ცხრილები და გრაფიკები; –გასული წლის (ან სხვა პერიოდის ანგარიში); –ხელმძღვანელების ბიოგრაფია (მათ შორის დეპარტამენტების უფროსების); –ხშირად დასმული კითხვები; –საქმიანობის ფოტოები და ვიდეო მასალა; დ) საინფორმაციო ბიულეტენი - ელექტრონული ფოსტის დაფიქსირების შემთხვევაში, მომხმარებელი მიიღებს სიახლეებს და ყოველთვიურ ბიულეტენს; ე) გამოკითხვები - თითოეული სამინისტროს და საერთო პორტალის მთავარ გვერდზე განთავსდება კითხვარი, სა-

დაც აქტუალობის მიხედვით დაისმება შეკითხვები.

ამრიგად, საჯარო დაწესებულებების უმეტესობას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა. აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას შემუშავებული პქონდეს საკომუნიკაციო სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც არამარტო ხედვები და პრიორიტეტები, არამედ დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები იქნება განერილი თარიღების მიხედვით და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობების მითითებით. ასეთი დოკუმენტის არსებობა გაადვილებს კომუნიკაციას საზოგადოებას და მთავრობას შორის, უფრო შედეგიანს გახდის სამთავრობო დაწესებულებების მუშაობას და გაცილებით მეტი ადამიანისათვის გახდის ხელმისაწვდომს სახელმწიფო სერვისებს.

ასევე, აუცილებლია აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატში შეიქმნას საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომელიც აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის ფორმირების ხელშეწყობაზე იზრუნებს და მისი შესრულების მონიტორინგს განახორციელებს.

აუცილებელია მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება საჯარო დაწესებულებების საქმიანობების შესახებ. სხვადასხვა ინოვაციური სერვისების დანერგვის პარალელურად, უნდა მოხდეს მათი ფუნქციონირების შეფასება, პოპულარიზაცია და ამ მომსახურებებზე წვდომა მაქსიმალურად უნ-

და გაუმარტივონ მოსახლეობას.

საჯარო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ საზოგადოებასთან ურთიერთობის თანმიმდევრული სტრატეგია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის არა მარტო უკვე განხორციელებული პროექტების, ღონისძიებების თუ საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა, არამედ, ამ პროცესებში მათ აქტიური ჩართვა იქნება.

საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის კი აუცილებელია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება მოსახლეობის ინფორმირებისა და მათთან ინტერაქციის დასამყარებლად. ყველა საჯარო დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც მათვე განცხადებების თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მაგრამ კვლევამ დაადასტურა, რომ სამთავრობო უწყებების ძალისხმევა, ნაკლებად არის მიმართული მათი განვითარებისაკენ.

**Genadi Iashvili
Irakli Manvelidze**

**Evaluation of the strategy for public relations of Adjarian
public institutions in the context of development of
electronic governance**

Resume

In order to raise trust between the society and the state as well as establish principles for transparent and open governance it is necessary to raise citizens' awareness. Citizens should be able to get full information about activities of public institutions and their new technology-based services. In order to reach this goal it is necessary for each public institution to have a strategy for public relations based on which a concrete action plan will be developed and activities for one or several years will be defined.

Most public institutions don't have a strategic plan for public relations. It is necessary for every public institution to have a communication strategy and a detailed action plan which will include not only some visions and priorities but also concrete activities for achieving goals, the dates and responsible people. Such document will make communication easier between the society and government as well as will make the work of government bodies more result-oriented and make state services available for more people.

პოლიტიკური კომუნიკაციის თანამედროვე ფორმები

მარინე აბლოთია

XXI საუკუნის ადამიანი პირველ რიგში ინფორმაციული საზოგადოების ადამიანია. დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება ინფორმაციის გარეშე. ის სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე - ვინც ფლობს ინფორმაციას, ფლობს გავლენას და ძალაუფლებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ინტერნეტის, როგორც ძირითადი მასობრივი კომუნიკაციის საშუალების გამოყენება ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში უდიდესი ცვლილებების საფუძველი გახდა. ძალიან აქტუალურია კომპიუტერული ტექნოლოგიების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის - ე.წ „ელექტრონული დემოკრატია“.

თვით ტერმინი „ელექტრონული დემოკრატია“ (electronic democracy, e-democracy) განიმარტება , როგორც მოქალაქეების საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობის სფერო, სადაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ისინი ცდილობენ ოპერატორულად და ხარისხიანად დაამყარონ ურთიერთობები ადამიანებს შორის, ხელისუფლების ორგანოებთან, საზოგადოებრივ და კომერციულ ორგანიზაციებთან და ა.შ. ეს შესაძლებელია ხდებოდეს ელექტრონული არჩევნებით, განხილვებით სო-

ციალურ ქსელებში, ონ-ლაინ საზოგადოებების შექმნით, მოქალაქეების კომუნიკაციით სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედების მიზნით, საზოგადოებრივი ონ-ლაინ მმართველობით მუნიციპალიტეტების დონეზე.

ამ მიმართულებით პირველი მცდელობები განხორციელდა ჯერ კიდევ 1970 წლებში აშშ, ოჰაიოს შტატში, სადაც შეიქმნა „ელეტრონული საქალაქო ყრილობა“, ინტერნეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ ადგოლობრივიადმინისტრაციის სხდომებზე დასწრება, კონკრეტული ინიციატივებისთვის ხმის მიცემა. შემდეგ დაიწყო ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური საიტების შექმნა („თეთრი სახლის“ საიტი 1993 წელს), ხოლო 1995 წელს გაიხსნა მმართველი ორგანოების ელექტრონული საფოსტო ყუთები, სადაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს შეეძლოთ წერილების გაგზავნა. 2005 წელს ესტონეთში გაიმართა მსოფლიოში პირველად ინერნეტ - არჩევნები - ადგილობრივ ორგანოებში, ჩვეულებრივი არჩევნების პარალელურად მოქალაქეებს შეეძლოთ ინტერნეტით ხმის მიცემა.

არაერთი ნაშრომი/კონცეფცია მიეძღვნა ამ ჯერ კი-დევ ახალ მოვლენას. საერთო ამ შეხედულებებში ისაა, რომ ყველა დარწმუნებული, ახალი საინფორმაციო საშუალებების ისეთი თვისებები, როგორიცაა ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე, უამრავი მომხმარებლის ერთდროული დაკავშირების შესაძლებლობა, ინფორმაციის სიუხვე, ინტერაქტი-

ურობა დადებითად აისახება დემოკრატიულ სისტემაზე მთლიანად.

ის ვინც მართავს, ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს ეს მმართველობა, გაზარდოს მხარდამჭერები. ვისაც მმართავენ, ისინი ცდილობენ გაზარდონ საკუთარი გავლენა მმართველობით აპარატზე საკუთარი ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად. ახალი ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას ხელისუფლებასთან ურთიერთობა გასცდეს ბიუროკრატიულ ჩარჩოებს და გაიზარდოს მოქალაქეების ჩართულობა და გამჭირვალეგახადოს პროცესები. დემოკრატიის ერთ-ერთი მიმართულების („დელიბერატიული“) თეორეტიკოსები-ჯ. ვოლფი, ფ. გრინი. ბ.ბარბერი თვლიან, რომ პოლიტიკური ძალაუფლების დემოკრატიული სისტემა არ არსებოს სრული გაგებით, რადგან უწყვეტად უნდა ხდებოდეს მასების ჩართულობა პოლიტიკური გადაწვეტილების მიღების პროცესებში. ელიტის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა საზოგადოების ინფორმაციულობა, რომელიც არჩევნების და წარმომადგენლობით ორგანოების მეშვეობით განახორციელს დემოკრატიულ კონტროლს. ინტერნეტს ისინი განიხილავენ, როგორც პირდაპირი დემოკრატიის განმტკიცების საშუალებას.

ნელ-ნელა წარსულ ბარდება პოლიტიკური პარტიების პოლიტიკა, რომლებიც ეფუძნებოდა კლასების, სხვადასხვა ფენების ინტერესებს, მემარჯვენე და მემარცხენე შეხედულებებს. ჩნდება ახალი სოციალური მოძრაობები, იზრდება

მონაწილეობის, ჩართულობის მომენტი. ამაში ინტერნეტს უდიდესი როლი აკისრია. სულ უფრო მეტ ადამიანს შეუძლია მოანაწილეობა მიღოს პრობლემების განხილვაში, წვდომა ჰქონდეს სხვადასხვა ინფორმაციასთან. ამით იზრდება პოლიტიკური თანასწორობის დონე მოქალაქეებს შორის.

თუმცა ამ სიახლეებსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. კერძოდ, ეს ეხება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების, პროპაგანდის პრობლემებს. საშიში ხდება, რომახალი ტექნოლოგიებმა არ შეიქმნასახალი ტიპის ტიპის ტირანია.

ყველაფერთან ერთად იცვლება პოლიტიკური პროცესი - ის გულისხმობს მონაწილეთა - პოლიტიკური სისტემების, პარტიების, სახელმწიფო სტრუქტურების, ორგანიზაციების, ინდივიდების - ქმედებების ერთობლიობას, მათ ლოგიკურ თანმიდევრობას. ძირითადი ინსტრუმენტი ძალაუფლებაა და ამასთან დაკავშირებული ურთიერთობები. მას გააჩნია რესურსები, რომლის მეშვეობითაც ის ახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას. ეს რესურსები სხვადასხვანაირია-ცოდნა, შესაძლებლობები, უნარი და ა.შ.). დღევანდელ დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რესურსი ეს კომუნიკაციაა. ჯერ კიდევ 1980 წლებში ე. ტოფლერი იკვლევდა ძალაუფლების პრობლემებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ძალაუფლება „მიისწრაფვის ტოტალური კონტროლისკენ ცოდნაზე და

კომუნიკაციის საშუალებებზე¹ მსოფლიო მაშტაბით. ის უკვე მაშინ წინასარმეტყველებდა, რომ მომავალში იქნებოდა ბრძოლა საკომუნიკაციო საშუალებების კონტროლისთვის. დღეს ეს ნათლად ჩანს ინტერნეტში. ძალაუფლების და გავლენის მაძიებელნი გადავიდნენ „ინტერნეტის დაპყრობაზე“. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2011-2013 წლებში გამოაქვეყნა მოხსენება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ციფრული დიპლომატიის განვითრების შესახებ. სადაც განაცხადა პროპაგანდის გადატანაზე ინტერნეტში და დისიდენტებისთვის დახმარების შესახებ ინტერნეტ-ტექნოლოგიების მეშვეობით ².

სახელმწიფო პოლიტიკის გარდა, თითოეულ ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში ეროვნული და მსოფლიო მაშტაბით. ეს სივრცე ყველასთვის ღიაა. უკვე ძნელია სახელმწიფო ორგანოების-თვის ტოტალური ბატონობის და გავლენების ოლად შენარჩუნება. ამიტომ ბევრ ქვეყანაში ეს გაიაზრეს და კომუნიკაციას ამყარებენ მოსახლეობასთან - სწორი პროგნოზების და ინფორმაციის მიღების მიზნით - უკუკავშირი მოსახლეობასთან. ერთ-ერთი ამის შესაძლებლობა ბლოგები და

1

„ . . . / . . . : « »,

2004. C. 40

2

" 8 2013.

სოციალური ქსელებია. მაგალითად, საკმაოდ აქტიურია გერმანიის კანცლერი, აშშ-ს პრეზიდენტი. ინგლისის პრემიერ-მინისტრი თავიანთ ბლოგებში. აქაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია უკუკავშირია, წვდომა, კომენტარის დატოვების საშუალება, ემოციურობა და რაც მთავრია განწყობების მონიტორინგის შესაძლებლობა. ასევეა სოციალური ქსელები, საკმაოდ დიდად იყენებენ მათ პოლიტიკოსები და მთვარობები სხვადასხვა ინტერესების გასარკვევად თუ თავზე მოსახვევად. ახალი ტრენდია ასევე ინტერნეტ-მთავრობა. მაგალითად, ერთ-ერთ საიტზე შესაძლებელია თვალყურის დევნა ამერიკის მთავრობის წევრების საქმიანობის-თვის, უკუკავშირი წარმოდგენილია მრავალი რესურსით - ტელეფონი, მეილები და სოციალური ქსელები. დემოკრატული გაგებით მთავრობები ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკურ პროცესში.

ინტერნეტის მომხმარებელთა როდენობა სულ უფრაო იზრდება. იზრდება მათი ჩართულობაც სხვადასხვა მიმართულებებით. ბოლო მონაცემებით ამერიკის დემოკრატიული პარტიის ფეისბუქის გვერდი მოწონებული აქვს 989 000 ადამიანს. ობამას ფოტოებმა „კიდევ 4 წელი“ არჩევნების შედეგების შემდეგ მოაგროვა 800 000 რეტვიტი.

ტვიტერიც დიდი ხანია უკვე სახელმწიფოსა და ბიზნენის მიერ მონიტორინგის ქვეშა საზოგადოებრივი განწყობების გასაგებად. ის რეალურ დროში მოქმედებს, ამიტომ

მნიშვნელოვანია თუ როდის ანთავსებთ აქ ინფორმაციას, თუ მომენტი სწორადაა შერჩეული მისი გავლენაც დიდია.

სამომავლოდ ამ რესურსების გამოყენება კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვეულებრივად შემოვა E-მთავრობები, E-ბიზნესები, E-დემოკარტია.

სინგაპურში ერთ პლატფორმაზე წარმოდგენილია 150 სახელმწიფო მომსახურების ორგანო; ავსტრალიაში 80 % საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება ინტერნეტით, ინგლისში შეიქმნა E-სამთავრობო ერთეული სახელმწიფო ონლაინ სერვისების შესამუშავებლად, მოსახლეობასთან კავშირის მიზნით. ვაშინგტონში დაიწერა რამდენიმე საინტერესო აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად ამოიკრიბოს ინფორმაცია მუნიციპალური ორგანოების ინფორმაციდან 2500 დოლარზე მეტი დანახარჯის შესახებ და მისი განხილვა ფორუმებზე. ვფიქრობ, საქმაოდ საინტერესოა საქართველოს მუნიციპალიტეტების დღევანდელობოსთვის³.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითერბის დეპარტამენტი პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს ელექტრონული მთავრობის განვითერბის შესახებ 191 ქვეყანაში.

საქართველოში ამ რესურსების გამოყენება ხდება სპონტანურად, სისტემურობის გარეშე, ძირითადად დამოკიდებულია ამა თუ იმ უწყების მმართველის პიროვნებაზე. მაგალითად, საკმაოდ საინტერესოა ენერგეტიკის მინისტრის კახო კალაძის სოცილური გვერდი, სადაც სამინისტროს საქმიანობის დროული და თანმიმდევრული გაშუქების გარდა ასევე არსებოსბს კითხვა -პასუხების ვიდეო-ბლოგი, რაცამყარებს და უზრუნველყოფს დამატებით კავშირს მოსახლეობასთან; გარემოს დაცვის ახალი მინისტრი გიგლა აგულაშილი საკმაოდ აქტიურად შეუდგა ამ ახალი რესურსის გამოყენებას სამინისტროს საქმიანობაში - რამდენიმე პრობლემა წამონია თავად და მიღებულ ინფორმაციასაც ქონდა უკვე კონკრეტული შედეგი. კარგი იქნებოდა ამ პრაქტიკის რეალუარად დანერგვა სხვა სამინისტროებში. მიუხედავა იმ ფაქტისა, რომ ონლაინ კონსულტაცია და კითხვები ყველა სამინისტროს თუ სახელმწიფო ორგანოს გააჩნია -მათ მაინც ფორმალური ხასიათი აქვთ ფორმალური პასუხებით. სისტემურად უნდა მოხდეს მიდგომის შემუშავება, ყველაფერმა მართლაც რეალუარდა იმუშაოს რეალურ დროში და რაც მთვარია რეალური შედეგით. არ უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოს სტრუქტურების მუშობა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად თანამედროვედ უდგება ესა თუ ის ხელმძღვანელი ამ საკითხებს. ეს სიახლე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშობაბის ნაწილად უნდა იქცეს.

ინფორმაციულ ეპოქაში იზრდება ზეწოლა მთავრობებზე თავინთი ფუნქციების უკეთ შესრულების მიზნით. მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ, უფრო ხარისხიანად და დროულად. შესაბამისად გასატარებელი ღონისძებებიც სისტემურ მიდგომას მოითხოვს-სათანადო კადრებით, მოსახლეობსთან უნიკალური კავშირით, სწორი ანალიზით -სახელმწიფო მმართველობა ახალ ეტაპზე გადადის. ეს ჯერჯერობით უფრო მაღალი დონის დემოკრატიის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. დემოკრატიულობის დონე განსაზღვრავს თუ როგორ გამოიყენებენ ამ ახალ რესურსებს.

ახალმა ტექნოლოგიებმა შეიძლება შეცვალოს მმართველობის მეთოდები, მაგრამ არ ცვლის მის შინაარს. ინტერნეტი და სხვა ახალი საშუალებები ეს მხოლოდ იარაღია და ვინ და როგორ გამოიყენებს მას ეს უკვე სხვა საკითხია. თუმცა უდავოა, რომ ის დიდ შესაძლებლობას და შანს აძლევს თითოეულ ჩვენთაგანს, მონაწილეობა მიიღოს საზაოგადოებრივ/პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეს შანსი არ უნდა დავკარგოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

" " 8 2013.

" . 6

2011

2001. 384

.. « » , 2004. C. 40.

2.0.

URL:

<http://lenta.ru/articles/2009/09/17/appsgov/>

// . 2010. 9 . 5126 (47). .

11.

Twitter. URL: <http://www.social->

Gross B. Political Process // International Encyclopedia of Social Science. N. Y.-London, 1972. Vol. 12. P. 265.

Internet World Stats. URL:
<http://www.internetworldstats.com/stats.htm>

United Nations E-Government Survey (2002, 2004, 2006, 2010, 2012) Leveraging e-government at a time of financial and economic crisis. United Nations. N.Y.

What is Good Governance? / UNESCAP.URL:
<http://www.unescap.org/huset/gg/governance.htm>

Marine Ablothia
Modern forms of political communication
Resume

The article deals with modern trends of political communications, using the Internet as the resource of the state officials and agencies. The examples of foreign countries on the use of e-government at different levels and outlined plans of the world community in the development of e-democracy and e-governance are also presented. Special attention is paid to the situation in Georgia – its characteristics and problems.

ლოგისტური კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტი

სალომე კინწურაშვილი

უმსხვილესმა ამერიკულმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმა, მათ შორის Apple-მა და Facebook-მა, მყისიერად გაზარდა ხარჯი ლობიზმზე, რომ მოეხდინათ თავიანთი ინტერესების დაცვა, მთავრობაში, პარლამენტში და სასამართლოებში ლობისტური სააგენტოების დახმარებით, რომლებიც დაკავაებულნი არიან მსგავსი მსგავსი ბიზნესით. საერთოდ, ლობიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე კარგადაა განვითარებული და ამ ე.წ. „რუხ“ ბაზარზე თამაშისათვის გამომუშავებულია ყველაზე დეტალური წესები.

ლობიზმი შეერთებულ შტატებში გაჩნდა თვით სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად და მართვის დემოკრატიული სისტემა ხელს უწყობდა მის სწრაფ განვითარებას. მაგალითად ხშირი არჩევნები, ყოველთვის ნიშნავდა პოლიტიკოსების დამოკიდებულებას ხალხის აზრზე, ხოლო დანაკარგებისა და წინააღმდეგობების სისტემა, კარნახობდა რომ აუცილებელი იყო მუდმივი დიალოგი ხელისუფლების სხვადასხვა შტოსთან. ამგვარად, ქვეყანაში გაჩნდა პროფესიონალ პოლიტიკოსთა მთელი ფენა, რომელთათვისაც მოეთხოვებოდათ, საკუთარი ამომრჩევლების

მოთხოვნების ცოდნა, ხოლო საჭიროებისამებრ-საკუთარ კოლეგებზე ზეოქმედების მექანიზმი, კანონის ფარგლებში.

იურიდიულ ფუნდამენტად ლობისტური საქმიანობისათვის, შეერთებულ შტატებში, გვევლინება, კონსტიტუციის პირველადი ცვლილება, რომელიც, გარდა რელიგიური თავისუფლებისა, იძლევა სიტყვის თავისუფლების და კონგრესისადმი მიმართვის საშუალების გარანტიას.

მე-19 საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში, ლობიზმი უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული ფედერალური ბიუროს დონეზე აშშ-ში, ვიდრე შტატების დონეზე. მდგომარეობა შეიცვალა „მოოქროვილი საუკუნის“ დასაწყისსა (1870-1890 წლები) და შემდეგ პროგრესიზმის ეპოქაში, (1890-1920 წლები). ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ და ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდამ, გამოიწვია ინტერესის გამძაფრება, დედაქალაქში პოლიტიკური ცხოვრების გავლენაზე.

სხვა ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობდა ლობიზმის განვითარებას, გახდა ძალაუფლებიანი კორპორაციების გაჩენა. მსხვილ ბიზნესს არ ერიდებოდა გამოეყენებინა ისეთი არაკანონიერი მეთოდები, როგორიცაა, მოსყიდვა, ასევე ლეგალური მეთოდების-პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი აზრისა და მედიის სპონსორობა. კონგრესმენები, სენატორები, მოსამართლები და მაღალი თანამდებობის მქონე ჩინოვნიკები, მე-20 საუკუნის დასაწყისში, გახვეულნი იყვნენ, ლო-

ბისტური სტრუქტურების ქსელში. 1912 წლის საპეზიდენტო, წინასაარჩევნი კამპანიის დროს, მისმა შემდგომმა გამარჯვებულმა ვუდრო ვილსონმა, განაცხადა, რომ აშშ-ს მთავრობა გვევლინება სხვა არაფრად, თუ არა გავლენის ჯგუფის მომსახურედ, რომელსაც არ გააჩნის საკუთარი ნება.

დაახლოებით იმავე დროისთვის, სახელისუფლო ორგანოების დამოკიდებულება მსხვილ ბიზნესზე, გახდა მკვეთრი კრიტიკის საგანი, საზოგადოების მხრიდან. 1912 წლის არჩევნებში, დემოკრატი ვილსონის წარმატება, პირდაპირ იყო დამოკიდებული მის დაპირებებთან, ბოლო მოელო კორუფციისათვის და მონოპოლიის გაბატონებისათვის.

პირველი სერიოზული მცდელობა, დარეგულირებულიყო, ლობიზმის ინდუსტრია, გაჩნდა უკვე 1920-იან წლებში. 1928 წელს, სენატმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებდა ლობისტებს, დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში, თუმცა წარმომადგენელთა პალატამ ეს კანონი დაბლოკა. მსოფლიოში არასტაბილური მდგომარეობის გამო, 1938 წელს, კონგრესმა მოიწონა უცხოელ აგენტთა დარეგისტრების კანონი (FARA, Foreign Agents Registration Act.) კანონი ავალდებულებდა ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებდნენ სხვა სახელმწიფოების ინტერესების მიხედვით, დარეგისტრირებულიყვნენ იუსტიციის სამინისტროში და რეგულარულად ენარმოებინათ ანგარიშები საკუთარი საქმიანობისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

ომის შემდგომ, აშშ-ში ამოქმედდა კანონი, ლობიზმის ფედერალური რეგულაციის შესახებ, (Federal Regulation of Lobbying Act, FRLA), რომელიც დამტკიცებული იქნა კონგრესის მიერ 1946 წელს. ეს კანონი გამოირჩევა იმით, რომ მასში მოცემულია პირველი თანამედროვე განმარტება იმაზე თუ ვინ არის ლობისტი. ეს არის ადამიანი „რომელიც, ან თვითონ ან საკუთარი აგენტების ან დაქირავებული პირების მეშვეობით, პირდაპირ ან ირიბად, დაკავებულია საჩუქრების, შემოწირულობების ან სხვა შენატანების შეგროვებით, რომელიც შემდგომში, გამოყენებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, აშშ-ს კონგრესში, საკანონმდებლო პროცესზე, პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედებისათვის“. კანონი ავალდებულებდა ლობისტებს, დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში და მიეწოდებინათ ანგარიში საკუთარი მოქმედებების, კერძოდ, კონგრესის წევრისათვის ნებისმიერი სახის შემოწირულობის შესახებ, რომელიც აღემატებოდა 500 აშშ დოლარს.

1954 წელს, უმაღლესმა სასამართლომ, უმნიშვნელოდ შეავინროვა FRLA-ს გამოყენება. კონგრესის წევრებს მიეცათ ლობირების უფლება, რეგისტრაციის გარეშე, იმ პირობით, თუ ამისათვის დახარჯავდნენ საკუთარ და არა მოზიდულ სახსრებს. გარდა ამისა, ლობისტების განსაზღვრებიდან ამოღებული იქნა ჯგუფები, რომლებიც ენეოდნენ ირიბლობირებას, რაც ნიშნავდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას.

ახალი ეტაპი, ლობიზმისადმი საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა, მეორეს მხრივ კი „გავლენის აგენტებ“-ის მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდისა, დაიწყო 1970-იან წლებში. ეს პირდაპირ იყო დაკავშირებული უტორგეიტულ დებოშთან და ფართო აუდიტორიის, კორუმპირებული ვაშინგტონისაგან, გადალლასთან. ლობისტების გავლენის ზრდაზე, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სენატის ყველა მცდელობა, გაემკაცრებინა მათზე კონტროლი, დასრულდა კრახით. ლობისტები აპელირებდნენ კონსტიტუციის პირველად ცვლილებაზე, რომელიც იძლეოდა მათი ქმედებების კანონიურობის გარანტიას.

თავისი გაჩენისთანავე, ლობიზმი დაკავშირებული იყო კულუარულ გარიგებებთან და ფარულ მოლაპარაკებებთან. მიუხედავად ამ სფეროს ეკონომიკაში, გამჭვირვალობის გაზრდის ძალისხმევისა, მისი ანალიზის დროს, გარდაუვალია კერძო მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ საუბარი მიდის მხოლოდ K-street-დან კომპანიების (ქუჩა ვაშინგტონში, რომელზეც მდებარეობს ყველაზე წარმატებული ლობისტური კომპანიები) ღია სტატისტიკაზე.

პასუხიმგებლური პოლიტიკის ცენტრის მონაცემებით, რომელიც ეფუძნება კონგრესის ოფიციალურ მონაცემებს, ვაშინგტონში 2013 წელს, დარეგისტრირებულია 11455 ლობისტი. ეს უფრო ნაკლებია ვიდრე 2012 წელს, როცა ქალაქში მოქმედებდა 12426 ლობისტი, მაშინ როცა, მაქსიმალური რა-

ოდენობა დარეგისტრირებული „გავლენის აგენტებ“-ისა 2006 წელს იყო 15 ათასი. ნათელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებით აიხსნება 2012 წელს ლობისტებზე მნიშვნელოვანი დანახარჯი, რომელმაც შეადგინა 3,31 მილიარდი დოლარი. 2013 წელს, ოფიციალური მონაცემებით, დახარჯული იქნა მხოლოდ 1,62 მილიარდი დოლარი. რეკორდული მაჩვენებელი აღინიშნებოდა 2010 წელს, როდესაც ლობიზმის ინდუსტრიის მოცულობამ შეადგინა 3,55 მილიარდი დოლარი. როგორც წესი, ლობისტებზე დანახარჯების ზრდა, ემთხვევა საპრეზიდენტო აჩევნებსა ან კონგრესის შუალედურარჩევებს.

ლობისტების კლიენტებს შორის, პროგნოზირებადი სახით ლიდერობენ აშშ-ს უმსხვილესი კომპანიები და კომერციული გაერთანებები. არასრული 2013 წლის განმავლობაში, სავაჭრო პალატამ, უმსხვილესმა ლობისტმა, თავისი ინტერესების წინ წამოწევაზე, დახარჯა 38,5 მილიონი დოლარი, რიალტორების ეროვნულმა ასოციაციამ 17,6 მილიონი დოლარი, ხოლო General Electric-მა 9,9 მილიონ დოლარზე მეტი. დემოკრატების განზრახვის გათვალისწინებით, გაატარონ მაშტაბური რეფორმა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ლობისტების ძირითად კლიენტებად გამოდიან სამედიცინო სფეროს საწარმოები. ყველამ მათ, ერთად, 2013 წელს, თავისთვის სარგებლიანი იმიჯის შექმნაში ჩადეს 117 მილიონზე მეტ დოლარი.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ უდიდესი სპექტრი, ლობისტური სტრუქტურების მოქმედებისა არ ხვდება რეგულირების სფეროს ქვეშ. კერძოდ, საუბარია სატელივიზიო რეკლამაზე, დაბალ ფენებში პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებაზე, ინტერნეტ რეკლამებზე დანახარჯებზე. ლობისტური ხარჯის ნაწილი გადის ხარჯის სხვა სტატიით, რაც ხელს უშლის ლობისტური სექტორების მდგომარეობის ზუსტ შეფასებას. ამ ფაქტზე არაერთხელ მიუთითებდნენ სპეციალისტები.

ლობისტების ეფექტურობის სიმპტომატიკურ მაგალითად ასევე შეიძლება გახდეს SOPA-ს (Stop Online Piracy Act) კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ინტერნეტში პირატული ქმედებების წინააღმდეგ. მისი განხილვის დასაწყისში, დოკუმენტს, კონგრესში მხარს უჭერდნენ როგორც დემოკრატები, ასევე რესპუბლიკელები. გარდა ამისა, კანონმდებლების ნაწილი ვარაუდობდა, რომ კანონპროექტი შეიძლება გახდეს ორპარტიული მმართველობის საფუძველი, რაც მხოლოდ ზრდიდა მისი მიღების შანსს. ბიზნეს-გარემოში SOPA-ს აგიტირებდა Disney, Mastercard, Visa, სავაჭრო პალატა და სხვა ძალაუფლებიანი ორგანიზაციები.

ძირითადი თავისებურებები SOPA-ს წინააღმდეგ ლობისტების ბრძოლისა, ნათელს ხდის ლობიზმის ინდუსტრიის მთელ არსა. მაშინ როცა, ლობისტები იცავენ კონკრეტული ორგანიზაციების ინტერესებს, მათ შორის უდიდესი კორპო-

რაციებისა, მათი წარმატება მაინც დამოკიდებულია საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლობისტმა უნდა დაარწმუნოს პოლიტიკოსები და მოსახლეობა, რომ მისაღები კანონი ან ახალი შეზღუდვა ემსახურება საერთო კეთილდღეობას. SOPA-ს შემთხვევაში, უმრავლესობის შიში, დაეკარგათ ინფორმაციისადმი წვდომა, აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ვიდრე, ზოგირთი დაჯგუფებების ნაწილის ინტერესები, ჰქონდათ გარანტირებული უფლება ინტელექტუალური თავისუფლებისა და მასზე მიბმული შემოსავლების არსებობისა.

ლობიზმის ნეგატიური აღქმა არ არის უსაფუძვლო. მაგრამ, როგორც თვითონ ლობისტები ამტკიცებენ, მათი ნეგატიური იმიჯი ძლიერ არის გაზვიადებული. საბოლოოდ, ლობიზმი, სრულიად შეიძლება იქნას განხილული, როგორც პიარის ან საზოგადოებრივი დიპლომატიის ერთ-ერთი ფორმა, რომელთა ძირითადი მცნება არის-გულახდილი ტყუილის აკრძალვა.

ლობირება, თანამედროვე, განვითარებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ადგილს, გამოდის რა ბიზნესს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ინტერესთა შეთანხმების ინსტრუმენტად, ცივილიზებული საფუძველით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლობირების ადგილის სწორად განსაზღვრა, ბიზნესს საზოგადოების ინტერესების

პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმომადგენლობით სისტემაში. განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ლობირების პრინციპებს და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის სამართლიანობის კრიტერიუმების შემუშავებას. ამ პრობლემების გადაწყვეტა არის აქტუალური მიზანი, რომელსაც გააჩნია არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა.

საერთაშორისო ლობიზმის ახლი სისტემების ფორმირებისას, მათ შორის მისი ისეთი სახეობისა, როგორც რეგიონალური ასევე ადგილობრივი, ერთ-ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, ლობიზმს არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული საფუძველი. ამასთანავე, არ არსებობს სერიოზული საფუძველი მისი აკრძალვისა, როგორც საერთაშორისო სტრუქტურებისა, თუ მათ არ გააჩნიათ ნათელი კრიმინალური მიმართულებები, -ლობისტური პროექტების დამკვეთები და შემსრულებლები საერთოდ არ არიან შეზღუდული საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

პრინციპში, ლობიზმი, იყო და იქნება წინააღმდეგობების გადალახვა, წარმომადგენლობაში კორპორატიული ინტერესების აქტუალურ მოთხოვნებსა და მისი აღრიცხვის ლეგიტიმური მექანიზმის არ არსებობას შორის. ფაქტიურად, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო, სადაც იკვეთება ხელისუფლებისა და სხვა ვექტორების ინტერესები, არის ლობისტური სტრუქტურებისა და ორგანზაციების

კონტროლის ქვეშ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ეს შუალედური სტრუქტურები, არიან არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებზე გავლენის ინსტრუმენტი, არამედ ლობისტური მოღვაწეობის ობიექტებისათვის, დამატებითი მოგების წყარო. კვლევების საინტერესო და მნიშვნელოვან ასპექტად ჩნდება ლობისტური მოღვაწეობისა და კორუფციის გადაკვეთის პრობლემა, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ და ავსებენ ერთმანეთს, ლეგალური ლობიზმის არსებობის პირობებშიც კი.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები მიგვითითებენ, წარმოქმნილი სიცარიელის შევსების აუცილებლობაში, რომელიც ჩნდება კვლევებში ლობიზმი და მისი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ამასთანავე მოყვანილ იქნეს თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა ლობისტური კომუნიკაციის შესწავლისათვის, იმასთან დაკავშირებით, რომ გაჩნდეს მეცნიერული აღწერის და ადექვატური კვლევითი შეფასების შესაძლებლობა, როგორც ცალკეული ლობისტური კომპანიების საკომუნიკაციო თავისებურებებისა, ასევე მთლიანობაში ლობიზმის ტენდენციების განვითარებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაბერიძე მ. „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბება,, პოლიტოლიგია (ლექციების კურსი), თბ. 2001;

მაგშტადტი თ. მ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ქართული გამოცემა, თბ., 2010;

„ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში, კორუფციის კვლევითი ცენტრი თბ; 1998

მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ. „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია,, (ლექციების კურსი). თბ. 1999;

http://www.rg.ru/anons/arc_2000/0516/2.htm

<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=145126>

<http://allpolitologija.ru/lobbism-v-politicheskoy-zhizni-obshhestva/>

http://www.stratagema.org/publications/lobby/item_68.htm

1

http://ecsocman.hse.ru/data/935/368/1217/006_Lobbizm.pdf

<http://thelobbyconference.com/the-lobby/>

C

Salome Kintsurashvili

Some aspects of lobbying communications

Resume

Nowadays, to rule the public opinion and the governance by lobbyist, is the mainly actual and important theme. Lobbyism, as a political influence, is very spread in modern life. In leading countries, lobbyist has a very strong influence on the public opinion and the governance. Simply to say, they can effect, for example, on making a law, or on the results of referendum or the elections, using for this, the mobilization of the social classes, to achieve their goal. Due to this, it's not amazing, that lobbyism, causes the scientific interest.

In general, we can say, that lobbyism may be reviewed as the form of PR or the public diplomacy.

პოლიტიკური დიდერობა: ქალაუზლების მრავალსახეობა

ინგა ცინცექილაძე

სახელმწიფოს კეთილდღეობა ხშირად დამოკიდებულია ლიდერის უნარზე, გააკეთოს ბრძნული არჩევანი და იმოქმედოს კეთილგონივრულად. როდესაც მონაწილეობას ვიღებთ პოლიტიკურ კამპანიებში ან ხმას ვაძლევთ არჩევნებში, უპირატესობას ვანიჭებთ ერთ კანდიდატს მეორესთან შედარებით. მაგშტადტის აზრით, „ისევე, როგორც თვითმფრინავის მგზავრებს არ შეუძლიათ ინდიფერენტულები იყვნენ ეკიპაჟის გამოცდილებისა და უნარის მიმართ, მოქალაქეებსაც არ ძალუდ გულგრილნი დარჩნენ სახელმწიფო ლიდერების ხასიათისა და გონიერების მიმართ.“ (თ. მ. მაგშტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010, გვ. 391)

მაქს ვებერი გამოყოფს მმართველობის სამ ტიპს: ტრადიციულს, ქარიზმატულსა და რაციონალურს. ისტორიულად ტრადიციული მმართველობა ყველაზე გავრცელებულია. ის სათავეს იღებს ძველი რწმენებიდან და პრაქტიკიდან, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მიზეზი, რის გამოც ადამიანები მმართველობის ამგვარ ფორმას იღებენ მის ხანგრძლივ ტრადიციაში მდგომარეობს. ზოგ ქვეყანაში ტრადიციული მმართველობა საკრალურადაა მიჩნეული და პოლი-

ტიკური ლიდერები რელიგიური ლიდერის როლშიც გვევლინებიან. (სოციოლოგია, ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, თბილისი 2008).

რაც შეეხება ქარიზმატულ მმართველობას, მას საფუძვლად უდევს რწმენა, იმისა, რომ ამა თუ იმ ლიდერს განსაკუთრებული პიროვნული თვისებები აქვს, რაც პატივისცემასა და ერთგულებას იმსახურებს. განსაზღვრების თანახმად, ქარიზმა მისი მფლობელის მზერაში იგრძნობა. ქარიზმატული მმართველობა მჭიდროდაა დაკავშირებული ლიდერის პერსონალურ თვისებებთან და ხშირად არასტაბილურია. ქარიზმატული ლიდერების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, მაჰათმა განდის, ასევე აშშ-ს შავკანიანი ლიდერების - მარტინ ლუთერ კინგისა და მალკომ იქსის მაგალითები.

რაც შეეხება რაციონალურ მმართველობას, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეები იყენებენ ძალაუფლებას მხოლოდ კონკრეტულ ვითარებაში და კანონის ფარგლებში. რაციონალური მმართველობა ეფუძნება არსებული სამართლებრივი ნორმების კანონიერების რწმენას. ამგვარი ლიდერები მოქმედებენ მხოლოდ „რაციონალური“ სისტემის ფარგლებში, რომელსაც განსაზღვრავს წესები და რეგულაციები.

პოლიტიკური ლიდერები მათი მიღწევების, თვისებების, მეთოდებისა და მიზნების მიხედვით შეიძლება დავყოთ:

ნამდვილ ლიდერებად, დემაგოგებად ან ჩვეულებრივ პოლიტიკოსებად. ასევე აღსანიშნავია სამოქალაქო ლიდერები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თანაშობენ პოლიტიკურ პროცესებში. ნამდვილი ლიდერები არიან პოლიტიკური არქიტექტორები, რომლებიც ახალ სახელმწიფოს ქმნიან, მშვიდობისმყოფებები, რომლებიც კონფლიქტებს აგვარებენ და ორატორები, რომლებსაც ეროვნული კრიზისის დროს ხალხის შთაგონება შეუძლიათ. ისინი არიან აწმყოს გზამკვლევები და მომავლის ლეგენდები. (თ. მ. მაგშტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010, გვ. 392).

დემაგოგები ატყუებენ ხალხს და მანიპულირებენ მათი ნდობით თავისი მიზნების მისაღწევად. ისინი ინტრიგანები, ნამქეზებლები და ომის გამჩადებლები არიან.

რაც შეეხება სამოქალაქო ლიდერებს, მათ არა აქვთ ოფიციალური საჯარო თანამდებობები, მაგრამ აქტიურად არიან ჩაბმულნი ერის პოლიტიკაში და მნიშვნელოვანილად შეუძლიათ მისი განსაზღვრა.

ნამდვილი ლიდერები მართვის ხელოვნებას, სახელმწიფოს გონივრულ გაძლოლას არიან ნაზიარები. ლიდერები, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ქმნიან განსხვავებულ ისტორიას იშვიათი თვისებების მქონე ადამიანები არიან, რომლებიც ამჟღავნებენ პრაქტიკულ სიბრძნეს. ამასთან, კრიზისის დროს ნამდვილი ლიდერები ერს წინამძღოლობას უწევენ გა-

დარჩენის გზაზე. ჯორჯ ვაშინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამაა. ბევრ სხვა ერსაც ჰყავს დამფუძნებელი მამები, რომლებსაც ხალხი ეთაყვანება და განსაკუთრებულ დღეებში იხსენიებს.

ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე ისტორიკოსები ასკვნიან, რომ დიადი დრო დიად ლიდერებს ქმნის. ლიდერობის უმაღლეს საფეხურს მიღწეული პოლიტიკოსების ცოდნაში, თვისებებსა და მოტივებში ბევრ მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც ბევრია.

ნამდვილი ლიდერის კარგი მაგალითია უინსტონ ჩერჩილი. სანამ 1940 წლის მაისში ბრიტანეთის პრემიერი გახდებოდა, ჩერჩილს ცვალებადი საჯარო კარიერა ჰქონდა. იგი იყო გონებამახვილი, მომხიბვლელი, ჭკვიანი, კამათის მოყვარული, საქმის მიმართ სკრუპულოზური და სიმამაცით გამორჩეული პიროვნება. 1930-იანი წლების წამყვან პოლიტიკურ ფიგურებს შორის ის თითქმის ერთადერთი იყო, ვინც მუდმივად მიუთითებდა ნაცისტური გერმანიის საფრთხეზე.

უინსტონ ჩერჩილი დაიბადა წარჩინებულ ინგლისურ ოჯახში, რომელიც სათავეს ჯონ ჩერჩილიდან, მალბროს პირველი ჰერცოგიდან იღებდა. მისი მამა ინგლისის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის გამორჩეული წევრი იყო, დედამისი კი ამერიკელი გახლდათ. თავად ის პარლამენტის წევრად აირჩიეს ოცდახუთი წლის ასაკში და თითქმის მაშინვე მოიპოვა ენამჭევრი და გულწრფელი პოლიტიკოსის რე-

პუტაცია. 1911 წელს ის საადმირალოს პირველ ლორდად დაინიშნა. 1915 წელს ჩერჩილი აიძულეს გადამდგარიყო თურქეთზე დარღანელის სრუტის გავლით საზღვაო-სახმელეთო შეტევის ჩაშლის გამო, რომელსაც იგი მხარს უჭერდა. ჩერჩილის პოლიტიკური პრესტიჟი წარმოუდგენლად დაეცა, თუმცა შეძლო ნდობის იმდენად აღდგენა, რომ 1917 წელს სამხედრო უზრუნველყოფის მინისტრად დაინიშნა.

1920-იან წლებში ჩერჩილი კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი იყო პარლამენტში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის ხაზინის კანცლერის საპატიო თანამდებობაც ეკავა. მიუხედავად საჯარო სამსახურში დაგროვილი სოლიდური გამოცდილებისა, 1930-იან წლებში იგი გაუცხოვდა თავისი პარტიის ლიდერებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლება კონსერვატორებს ეკუთვნოდათ, იგი მთავრობიდან გარიცხეს, რის გამოც პარლამენტში იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის აღზევების დროიდან, ჩერჩილმა დაიწყო დასავლური დემოკრატიების გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის - გერმანიის სწრაფი შეიარაღების შესახებ, მიუთითებდა ასევე ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობის შედარებით სისუსტეზე, განსაკუთრებით საპაერო ძალების თვალსაზრისით. პოლიტიკური ამინდის შემქმნელმა ბევრმა პოლიტიკოსმა და კომენტატორმა მას პანკიორი დაარქვა. როდესაც დიდი ბრიტანეთი II მსოფლიო ომში ჩაება, ჩერ-

ჩილს სთხოვეს მთავრობაში დაბრუნება ჯერ თავის პირვან-
დელ თანამდებობაზე, შემდეგ პრემიერის რანგში. მისი შთა-
მაგონებელი სიტყვები და მაგალითი დამაჯერებელი იყო, ვი-
ნაიდან ბრიტანეთი ამ დროისთვის მარტო აღმოჩნდა გერმა-
ნიის, იტალიისა და იაპონიის პირისპირ.

ჩერჩილს ლიდერობის იშვიათი თვისებები ჰქონდა. იგი
თამამად იცავდა თავის რწმენას და არ უფრთხოდა საზოგა-
დოებრივ აზრს, თუნდაც საკუთარი პარტიიდან გარიყვის ში-
შით. მისი რიტორიკა შთამაგონებელი იყო ერისთვის სასიკ-
ვდილო საფრთხისა და უმოწყალო დაბომბვების დროს. ჩერ-
ჩილმა აჩვენა ლიდერობის ძალა, მნიშვნელოვანი საკითხების
განჭვრეტის უნარი კრიტიკულ დროს.

გამორჩეულ ლიდერებს შორის ასევე შეიძლება მოვიყ-
ვანოთ აბრაამ ლინკოლნის მაგალითი. ლინკოლნის პოლიტი-
კა ემყარებოდა ძირითად ზნეობრივ პრინციპებს და ღრმა
პრაქტიკულ მოსაზრებებს. ზნეობრივი პრინციპი, რომელ-
საც იგი ხშირად იმეორებდა 1858 წელს სენატის არჩევნებში
თავის ოპონენტს, სტივენ დუგლასთან პაექრობისას, მდგომა-
რეობდა იმაში, რომ მონობა პრინციპულად მცდარი იყო
ყველგან და გამონაკლისის გარეშე. მონობის უსამართლო
და უზნეო მოვლენად გამოცხადებით ლინკოლნი პირდაპირ
მიანიშნებდა დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე, რომელ-
შიც წერია: „ყველა ადამიანი თანასწორია“. როგორც სამოქა-
ლაქო ომამდე, ისე მის შემდეგ ლინკოლნის პოლიტიკა მი-

მართული იყო მაქსიმალური საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევისკენ საყოველთაო თანხმობის პირობებში.

სამოქალაქო ლიდერის კარგი მაგალითია ვაცლავ ჰაველი. 1960-იან წლებში ოცდაცხრა წლის ვაცლავ ჰაველი უკვე ცნობილი იყო მსოფლიოში თავისი სატირული პიესებით - „წვეულება ბაღში“ (1964) და „მემორანდუმი“ (1965). 1968 წლის ზაფხულში ჰაველმა და ჩეხეთის კულტურის ოცდაათმა სხვა მოღვაწემ ხელი მოაწერეს განცხადებას, რომლითაც კომუნისტების მიერ კონტროლირებულ ჩეხოსლოვაკიაში კანონგარეშედ გამოცხადებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას ითხოვდნენ. 1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა არმია შეიჭრა, რითაც ქვეყანა მკაცრ საბჭოთა კონტროლს დაუბრუნდა. ამ კონფლიქტის პერიოდში ჰაველმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩეხეთის თავისუფალი რადიოს ჩამოყალიბებაში, რომლის ტრანსლაციასაც იგი იყენებდა დასავლელი ინტელექტუალებისათვის ხმის მისაწვდენად. შემდეგი ორი ათწლეულის განმავლობაში ჰაველი ჩეხოსლოვაკიის ყველაზე ცნობილი დრამატურგი გახდა. მისი პიესები კომუნისტების მწვავე სატირას შეიცავდა. ჰაველის მზარდი პოპულარობის საფუძველი მხოლოდ მისი პიესები როდი იყო. იგი ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი დისიდენტი და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი ლიდერი გახდა. ჰაველი იყო თანაავტორი 1977 წელს დაწერილი სამოცდამეჩვდეტე მანიფესტისა, რომელშიც იგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ მთავრობას ჰელსინკის 1975 წლის

შეთანხმებებისა და ადამიანის უფლებების დარღვევაში ამ-
ხელდა. ჰაველი დააპატიმრეს, თუმცა მისი გაჩუმება მაინც
ვერ შეძლეს. 1989 წლის დეკემბერში სახალხო პროტესტის
შედეგად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობა დაეცა
და ჰაველი სახალხო კონსესუსის შედეგად არჩეული პრეზი-
დენტი გახდა. ამ პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში არც ერთ სა-
ზოგადო მოღვაწეს არ ჰქონდა ისეთი მორალური ავტორი-
ტეტი, როგორიც ოცდაათი წლის განმავლობაში სამოქალა-
ქო მოღვაწეობის შედეგად მოიპოვა ჰაველმა. იგი თანამდე-
ბობაზე სამი წელი დარჩა, სანამ ჩეხოსლოვაკია ორ ეთნიკურ
სახელმწიფოდ - ჩეხეთად და სლოვაკეთად არ გაიყო. ქვეყ-
ნის პოლიტიკური განვითარების ამ ეტაპზე იგი თანამდებო-
ბიდან გადადგა, თუმცა გააგრძელა საზოგადოებრივი მოღ-
ვაწეობა. 1993 წლის 26 იანვარს, გადადგომიდან სულ რაღაც
ექვსი თვის შემდეგ ჩეხეთის პარლამენტმა იგი რესპუბლიკის
პრეზიდენტად ხუთწლიანი ვადით აირჩია. ჩეხები პატივს
სცემდნენ ჰაველს, როგორც ადამიანს, რომელიც არა მარტო
წერდა და ქადაგებდა სიმართლით ცხოვრებას, არამედ თა-
ვისი პირადი მაგალითით აჩვენებდა იგივეს.

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც სამ-
თავრობო თანამდებობებზე არიან შეიძლება დავაჯგუფოთ
ნამდვილ ლიდერებად, დემაგოგებად ან ჩვეულებრივ პოლი-
ტიკოსებად. ნამდვილი ლიდერები საზოგადოებრივ სიკეთე-
ზე ზრუნავენ და გამოირჩევიან პიროვნული თვისებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

თ. მ. მაგრეტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010

სოციოლოგია, ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, თბილისი 2008

www.wikipedia.org

Inga Tsintskiladze

Political leadership: different types of power

Resume

Political leadership and different leadership styles are discussed in this article. Leadership styles can vary and examples of famous leaders are given in the article such as: Winston Churchill, Abraham Lincoln and Vaclav Havel. Political leaders can be divided as: real leaders, demagogues and ordinary politicians. Civil leaders also play an important role in political processes.

политических процессах.

პოლიტიკური ლიდერის დილეგა პატარა ქვეყნის მაგალითზე

ხათუნა მურადიშვილი

სიტყვა „ქვეყანა“ მსოფლიოს ყველა ენაზე ერთი და იგივე მნიშვნელობას ატარებს. ამ სიტყვას ყველა ერში თითქოს მაგიური ძალა გააჩნია და თუ წინ სიტყვა „ჩემი“ დავუმატებთ, უკვე სამშობლოსთან ასოცირდება, რაც ყოველი ერის უზენაესი კუთვნილებაა.

სულხან-საბასეული განმარტებით – ქვეყანა „ერთი არს ოთხთა კავშირთაგანი, ზმელი და გრილი, მძიმე და უძრავი, არამყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებული ღვთისაგან; ხოლო ქვეყანისა შინა კერძო არს ჯოჯოხეთი და ქვეყანა გარე-შესულ არს ჰაერისაგან“.

ენციკლოპედიური განმარტებით „ქვეყანა“ პოლიტიკურ გეოგრაფიაში და საერთაშორისო პოლიტიკაში გეოგრაფიულ ტერიტორიას ნიშნავს. ტერმინს იყენებენ, როგორც ერის (ერთგვაროვანი კულტურული გაერთიანება), ისე სახელმწიფოს (პოლიტიკურიერთეული) მნიშვნელობით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არსებობს ათობით არა-სუვერენული ტერიტორია, რომლებიც გეოგრაფიულად ქვეყანად შეიძლება იწოდებოდეს, თუმცა მათ სახელმწიფოს სტატუსი არა აქვთ. ზოგიერთ ქვეყანას ზღვისიქითა დამოკიდე-

ბული ტერიტორიები გააჩნია, რომელთაც საკუთარი მოქალაქეობა და ნახევრად-სუვერენული პოლიტიკური სტრუქტურები გააჩნია. ასეთი ქვეყნები ხშირად ცალკე სახელმწიფოებად მოიხსენიება.

თანამედროვე საერთაშორისო სასტემაში პატარა სახელმწიფოდ ითვლება არა მხოლოდ მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფო, არამედ ისეთი ქვეყნებიც რომლებსაც შედარებით დიდი ტერიტორია გააჩნიათ და პირიქით მცირე მოსახლეობა ჰყავთ, ასევე არსებობენ ტერიტორიით დიდი ქვეყნები, მაგრამ სუსტი პოლიტიკურად და ეკონომიკურად საერთაშორისო არენაზე.

ზემოთხსენებული კომპონენტის გათვალისწინებით სახელმწიფოებს ზოგჯერ დიდ “სუსტ სახელმწიფოებს” ვუწოდებთ. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ დიდი ტერიტორია და მოსახლეობის რესურსი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

რა განსხვავებაა ქვეყანასა და სახელმწიფოს შორის? ყოველდღიურ ლექსიკოგრაფიაში განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა, ზოგოერთი ამ ორ ცნებას აიგივებს ერთმანეთში და სინონიმებადაც კი თვლიან, თუმცა მეცნიერული თვალსაზრისით რასაკვირველია ეს ტერმინები დამოუკიდებლად დგანან და დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვთ.

„სახელმწიფო“ ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარა-

ტისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

ამრიგად, სახელმწიფო ეს გახლავთ ქვეყნის სამართლებრივი ფორმის განმსაზღვრელი ტერმინი, რომელშიც მისი როგორც შინაგანი ასევე გარეგანი ნიშან—თვისებები მოიაზრება.

მსოფლიოში ბევრი პატარა ქვეყანაა. ცნება „პატარა ქვეყანაში”, მოიაზრება ტერიტორიულად პატარა და პოლიტიკურად პატარა ქვეყანა. თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა ამ თვალსაზრისით. დღეს პატარა ქვეყნები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ პოლიტიკურ ეპიცენტრს, ან კიდევ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ დიდი და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

ხშირად ისმის კითხვა: როგორი პოლიტიკური კურსით უნდა წავიდეს პატარა ქვეყანა რათა გაუძლოს განვითარებული მსოფლიოს გამოწვევებს? ალბათ საინტერესოა გვერდიდან თვალყურის დევნება ასეთ სიტუაციაში და შემდგომ მაგალითების სახით არსებულის მორგება საკუთარ ქვეყანაზე.

მაგრამ ცხადია, რომ ეს შეუძლებელია. რადგან ყველა ქვეყანა დიდია ის თუ პატარა, გამოირჩევა თავისი ინდივიდუალიზმით, რაც გამოხატება ისტორიულ განვითარებაში, ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებში, სოციალურ ფონში და ა.შ. ის რაც შენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და რითაც გეამაყება, სხვისთვის შეიძლება უბრალოდ ლამაზი ისტორია და სანახაობა იყოს და მეტი არაფერი. ამდენად თვითოეული ქვეყნის უპირველესი დანიშნულება მსოფლიო ცივილიზაციის კვალდაკვალ სვლასთან ერთად ამ ფასეულობათა გადარჩენა უნდა იყოს.

საქართველო უდავოდ პატარა ქვეყანაა, ტერიტორიულად და პოლიტიკურადაც. თუმცა ისტორია ბევრად უფრო მრავალსაუკუნოვანი გვაქვს, ვიდრე ბევრ დიდ ქვეყნებს. ჩვენი ქვეყანა მრავალჯერ იდგა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, მაგრამ უფლის ნებითა და სახელოვანი ქართველების ძალის-ხმევით მოვედით დღემდე. კითხვა კი ყოველთვის ერთი იყო და რჩება: რა უნდა მოიმოქმედოს ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა რათა შეინარჩუნოს თვითმყოფა-დობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი?

საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია დღესდღეობით არცთუისე სახარბიელოა. აღსანიშნავია, რომ პრობლემა რაც უფრო რთულია, მისი ფესვები ათეული წლების წინ კი არა, არამედ ასეული წლების წინ იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ დაშვებულ იქნა შეცდომები, რაც ქვეყანას ძალიან

დიდ ფასად დაუჯდა. ახლა აუცილებელია კვლევა ამ შეცდო-
მებისა არა იმ თვალსაზრისით რომ ვინმე იქნეს დადანაშაუ-
ლებული, არამედ იმ კუთხით რომ ხელმეორედ იგივე ან
მსგავსი შეცდომა არ იქნას დაშვებული.

თანამედროვე კვლევები ძალიან საინტერესო დას-
კვნებს აკეთებს პოლიტიკური ლიდერის ტიპებისა და ძირი-
თადი და აუცილებელი ნიშან-თვისებების შესახებ. მაგრამ
ერთი უნივერსალური ტიპაჟის შექმნა ბევრს არაფერს მოი-
ტანს, რადგან ყველა ქვეყანა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშ-
ნული, თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევა და ამდენად ის
ლიდერი, ვთქვათ, რომელიც ევროპული ქვეყნებისათვის
უნივერსალური იქნება, შესაძლოა საქარველოსათვის არ
იყოს უნივერსალური. რატომ? იმიტომ რომ საქართველოს
პოლიტიკური მდგომარეობა დღეს სხვაგვარ დიპლომატიას
მოითხოვს. აქ ლიდერის მიერ ყველა ფაქტორი უნდა იქნეს
გათავისებული. უპირველესად ისტორიული გამოცდილება.
ისმის კითხვა რამდენად შეგვიძლია თუ არ შეგვიძლია ვიყოთ
„მოწინავე“ ქვეყანა ან საერთოდ უპირატესია თუ არა დღეს
ეს „მოწინავეობა“. ხომ არ არის აუცილებელი ჯერ მთელი
რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა
მოხდეს და შემდგომ დადგეს დღის წესრიგში პოლიტიკური
ლიდერობის საკითხი.

ქვეყნის პოლიტიკა უმეტესწილად პოლიტიკური ლი-
დერის მიერ არჩეული გეზია, პოლიტიკური ლიდერისა რო-
მელსაც ვირჩევთ ხალხი დემოკრატიული პრინციპებიდან გა-

მომდინარე. ყურადსალებია ასევე ის ფაქტი რამდენად მზად იყო და არის ქართული საზოგადოება იმ დიდი ფენომენის მისაღებად როგორიც დემოკრატია გახლავთ. კონკრეტულად პრობლემა ხომ არ დგას იმაში, რომ სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირე არის თუ არა შემაფერხებელი ფაქტორი იმისა რომ საზოგადოება მოკლებულია მოვლენების სწორი განსჯის უნარს და ვერ აკეთებს სათანადოდ სწორ არჩევანს. სწორი არჩევანის არქონა კი იწვევს ისეთი პოლიტიკური ლიდერის მოსვლას ქვეყნის სათავეში, რომელიც ზემოთჩამოთვლილ პრობლემებს ვერ მოაგვარებს და შეიძლება მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ ვიდრე ვართ.

როცა ლიდერის ფენომენზე ვსაუბრობთ, აქ მოიაზრება არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერი, არამედ, საზოგადოებრივი ლიდერებიც, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ, მაგრამ პოლიტიკური თანამდებობა არ უჭირავთ. ასეთი ლიდერები საზოგადოებასთან ახლოს ან სულ მის წიაღში იმყოფებიან და ერთი შეხედვით უფრო საღად ჭვრეტენ ქვეყნის მომავალს და აქტიურად საქმიანობენ ქვეყნის პოლიტიკური წინსვლისა და განვითარებისათვის. ასეთი ლიდერები ამზადებენ რევოლუციებს, არიან ინიციატორები დიდქატატორული რეჟიმების წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობისა და ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის გადარჩენას ემსახურება. უმეტესწილად საზოგადოებრივი ლიდერები წარმოადგენენ

ფესვებს იმ დიდი განვითარებისა, რომლის ტვირთიც შემ-
დგომ პოლიტიკურ ლიდერს ეკუთვნის.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება
გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველო პატარა ქვეყანათა
რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა გეოპოლიტიკურად ბევრი დი-
დი ქვეყნისათვის შესაშური მდებარეობა გააჩნია, ბევრია რე-
სურსი, რომლის გონივრული გამოყენება უკეთესი მომავ-
ლის საწინდრი შეიძლება გახდეს. საბჭოთა ეპოქაში ამ რე-
სურსების გამოყენება ხდებოდა, მაგრამ „კავშირის“ პრინ-
ციპებიდან გამომდინარე შედეგები საქართველოს განვით-
რებისათვის ნაკლებად იყო განკუთვნილი. ერთი სიტყვით
ყველა პირობა და საფუძველი არსებობს უკეთესი მომავლი-
სათვის, მაგრამ მოსაგვარებელი რჩება უმთავრესი საკითხი
– ძლიერი პოლიტიკური ლიდერის არჩევის პრობლემა.

ლიდერის სწორი პოლიტიკური კურსი საქართველოს გა-
დაიყვანს განვითარების ცივილიზირებულ რელსებზე და მი-
უხედავად თავისი ტერიტორიული თუ მოსახლეობის რიც-
ხობრივი სიმცირისა, ის გახდება პრიორიტეტული და მნიშ-
ვნელოვანი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ისე სოცია-
ლურ-კულტურული კუთხით. ლიდერმა უნდა გამოიჩინოს
პოლიტიკური გამჭრიახობა და უნარი, რომ მსოფლიო დააინ-
ტერესოს თავისი ქვეყნით. გამოიყენოს ყველა ბუნებრივი
რესურსი, რომ ქვეყანა ეკონომიკურიად გაიმართოს წელში.
ამ რესურსებში რასაკვირველია იგულისხმება საზღვარგა-
რეთ საქართველოს მოქალაქეების გადინების შეჩერება და

იმ ნიჭიერი და შემოქმედი ადამინაებისათვის უკან დაბრუნების შესაძლებლობების მიცემა, რათა მათი ნიჭი და უნარი ჩენივე ქვეყნისათვის იქნეს გამოყენებული. პარალელურად ამისა, რასაკვირველია დიპლომატიური გზები უნდა გამონახოს მსოფლიო წამყვან და განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან.

ამრიგად, პატარა ქვეყნა და მისი პოლიტიკური ლიდერის დილემა მოგვარებადი საკითხია დამოიცავს: პოლიტიკური დიპლომატიას, მაღალი პოლიტიკური ინტელექტის არსებობას და იმ პრინციპის გააზრებას საჭიროების შემთხვევაში გამოყენებას, როგორიც ერთხელ ერთმა კავკასიურმა ლიდერმა შამილმა თქვა – „პატარა ერს დიდი ხანჯალი უნდა ჰქონდეს“. რომელიც თავისი დროის ჭეშმარიტებად იქნა მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა

კატლიპი ს., სენტერი ა. ბრუმი გ. საზოგადოებასთნ ურთიერთობა თეორია და პრაქტიკა, თბ., 2010;

მაგშტადტი თ. „გავიგოთ პოლიტიკა“ თბ; 2010;

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1960

Рыжов И. В. Проблемы регионального лидерства в мировой политике: к постановке вопроса, 2007;

Khatuna Muradishvili

Dilemma of politician leader in an example of small country

Resume

There are a lot of small countries. The concept – “small country” means small with politics and territory. Unquestionably Georgia is a small country with its territory and politics. But it has much more the century old history than many big countries.

For many times our country was on the bond of to be or not to be, but with the help of god and wise people we are still alive. Permanently there was and is one question: what must do such a small country as Georgia to keep the identity and sovereignty of government? The answer is - leaders right politician course takes Georgia on the civilized way of development and in spite of its territory and population it will become a priority and important with its politics, economics and socio-cultural way.

სოციოლოგია
Sociology

სოციალური ინსტიტუტის და
საზოგადოებრივი სტაპილურობის ზოგიერთი
პროგლობა

ინება ზოიძე

სოციალური ინსტიტუტი სოციალური ნორმებისა და კავშირების ორგანიზებული სისტემაა, რომელიც აერთიანებს ღირებულ საზოგადოებრივ ფასეულობებსა და პროცედურებს, რაც ძირითადად გამოიხატება დაუწერელი კანონებით ანუ ტრადიციებით, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი კი არის სოციალური ნორმების, წესების, სტატუსების და როლების განსაზღვრისა და გამტკიცების, მათი სისტემაში მოყვანის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებენ საზოგადოების ძირითად მოთხოვნილებებს და არეგულირებენ ადამიანთა ქცევას მოცემული ინსტიტუტის ჩარჩოებში.

სოციალური ინსტიტუტები შეიძლება განხილული იქ-

ნას ორი: გარეგანი(ფორმალური)და შინაგანი (შინაარსობრივი) მხრიდან.

ფორმალური მხარით ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი წარმოადგენს დაწესებულებების, შენობების, ნაგებობების, სხვადასხვა სახის აღჭურვილობის ერთობლიობას. ასევე, ადამიანებს, რომლებიც ორიენტირებული არინ გარკვეული სოციალური ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

შინაარსობრივ მხარეს შეადგენს მოცემული ინსტიტუტის სოციალური ფუნქციების შესრულებისაკენ მოწოდებული ადამიანების ქცევის მიზანმიმართულად ორიენტირებული სტანდარტების კომპლექსი. [Кравченко:326,2003] სოციალური ინსტიტუტები თავისი სისტემური მიდგომით განსაზღვრავს როგორც საზოგადოების თითოეული წევრის, ასევე, მთლიანი სოციალური ჯგუფის უფლებებსა და მოვალეობებს. მოვალეობები აღნიშნავს თუ მოცემული როლის შემსრულებელმა ან კონკრეტული სტატუსის მატარებელმა რა უნდა გააკეთოს სხვა შემსრულებელთან ან მატარებელთან მიმრთებაში. უფლებები კი მიუთითებს იმაზე, თუ რისი უფლების მიცემა შეუძლია ადამიანს საკუთარი თავისთვის ან რისი დაშვება შეუძლია სხვა ადამიანთან მიმართებაში. უფლებები და მოვალეობები მკაცრად გაწერილია და მათზე სოციალური კონტროლი ხორციელდება გარკვეული საშუალებებით. ეს უპირველეს ყოვლისა არის სოციალური კონტროლი სოციალიზაციის გზით. ადამიანები ისე უნდა იქცე-

ოდნენ, როგორც აუცილებელია კონკრეტული საზოგადოებისათვის. სოციალიზაციის შედეგეად ხშირად ადამიანები იწყებენ თავიანთი სოციალური როლების ნაწილის შესრულებას არაცნობიერად, ე.ი. ჩვევის გამო. ეს ჩვევები ყალიბდება სოციალიზირების პროცესში, ისინი ქცევას განსაზღვრავენ გარკვეულ ჩარჩოებში, მას ხდიან წინასწარგანსაზღვრულს. ამასთან, უფლებები და მოვალეობები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: ერთი გულისხმობს მეორეს. მათი ცალკ-ცალკე არსებობა იწვევს სოციალური სტრუქტურის დეფორმირდებას. [ფენენკო: 129, 2012] სოციალიზაციის პროცესი კი მოიცავს არა მხოლოდ მათ, ვინც სწავლობს და ითვისებს ახალ ცოდნას, ღირებულებებს, ნორმებს, არამედ იმათ, ვინც მოქმედებენ სწავლების პროცესზე, ახდენენ გადამწყვეტ ზეგავლენას ინდივიდებზე, შესაბამისად ამაღლებენ თვითკონტროლის ხარისხს და ქმნიან პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სფეროს. საზოგადოებაში პირველადი სოციალიზაციის აგენტები სწორედ სოციალური ინსტიტუტებია. სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება არის რთული და მრავალდონიანი პროცესი. ყველა სოციალური მოვლენა როდი გადაიქცევა განვითარების შედეგად სოციალურ ინსტიტუტად. საზოგადოებრივი პრაქტიკა არჩევს და განამტკიცებს ინდივიდების, სოციალურ ჯგუფებს შორის მხოლოდ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანნი ხდებიან საზოგადოების, როგორც

რთული სოციალური სისტემის ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ასახავს საზოგადოების ისტორიული განვითარების ეტაპებს: ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში წინა პლანზე შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა საზოგადოერბრივი მოთხოვნილებები, რაც უშუალოდ აისახება განსაკუთრებით სოციალური ინსტიტუტების შინაარსობრივ ნაწილზე. ამიტომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქების სოცილაურ ინსტიტუტების შედარებისას, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება დროის ფაქტორზე.

ძირითად სფეროებს, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას ისტორიული ეტაპების მიხედვით, წარმოადგენს ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართალი, კულტურა, რელიგია, ოჯახი. შესაბამისად, სოციოლოგები გამოყოფენ ძირითად სოციალურ ინსტიტუტებს: ეკონომიკურს, მაგ, კერძო საკუთრების ინსტიტუტი; პოლიტიკურს, სამართლის, რელიგიის, კულტურის, ოჯახის ინსტიტუტებს.

სოციალურმა ინსტიტუტმა თავისი საქმიანობა უნდა დაუქვემდებაროს მთლიანად საზოგადოების განვითარების ინტერესებს. თუ საზოგადოება არ აღიარებს მოცემული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციებსა და ინტერესებს მთლიანად საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, მაშიან ასეთი სოციალური ინსტიტუტი მოხვდება არაფორმატური ინსტიტუტთა რიგებში. უმიშვნელოვანეს ინსტრუმენ-

ტებს, რომელთა მოვალეობაში შედის სოციალური სისტემის ყველა ინსტიტუტის მხარდაჭერისა და განვითარების ამოცანა, წარმოადგენს პოლიტიკური ინსტიტუტები. იმისათვის რომ სისტემა კარგად ფუნქციონირებდეს, პოლიტიკური ინსტიტუტები უნდა ქმნიდნენ შესაბამის გარემოს. სოციალურ ინსტიტუტებს საზოგადოებაში აქვს, როგორც მარეგულირებელი, ასევე საკომუნიკაციო და საინტეგრაციო ფუნქცია. ამ თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობენ სოციალური ნორმები, როგორც სოციუალური ინსტიტუტების ძირითადი მექანიზმები. ნორმები ფასეულობების დამცველია. უმარტივესი ნორმებიც კი განსახიერებენ რა ფასდება ჯგუფის ან საზოგადოების მიერ. სწორედ ნორმებია უფლებებისა და მოვალეობების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები. მათი მკაცრად განსაზღვრა კი ადგენს ზღვარს უფლებებსა და თავისუფლებას შორის და თავისთავად არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაგრამ თუ საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებაც უნდა მოახდინოს ინსტიტუტმა, იცვლება უფრო სწრაფად, ვიდრე შესაბამისი ინსტიტუტის მოქმედების საორგანიზაციო-მატერეალური და შინაარსობრივი ელემენტები, მაშინ სოციალური ინსტიტუტი ხდება დისფუნქციური [ერიაშვილი..:361,2011].

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პოცესებში, რაც კლასიკური განმარტებით გულისხმობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ჩარჩოების

მოშლას, რომლის დამახასითაებელი პირობაა მუდმივად ინოვაციური და სწრაფად ცვალებადი გარემო, საზოგადოებაში სოციალური ინსტიტუტების როლსა და ფუნქციებზე სოციოლოგთა, ეთნოლოგთა და პოლიტიკოსთა მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა ჩამოყალიბდა.

გარკვეული მოსაზრებების თანახმად სოციალური ინსტიტუტები არაა დეკვატურია თანამედროვე, მუდმივი ინოვაციებით დამახასიათებელი გარემოსათვის. სოციალური ინსტიტუტები ქმნის ქცევის სტანდარტებს და აფერხებს ინოვაციების დამკვიდრებას, რაც იწვევს საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესების შენელებას.

მეორე თვალსაზრისით კი, სოციალური ინსტიტუტები წარმოადგენს საზოგადოების სოციალური კონტაქტის შემადგენელ ელემენტებს და საზოგადოების სტაბილურ განვითარებასა და სოციალურ პარმონიაში ისეთივე (ხშირ შემთხვევაში უფრო მეტი) წვლილი შეაქვს, როგორც დაწერილ კანონებს ანუ იურიდიულ ნორმებს.

ვეთანხმებით მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი ნორმა და ტრადიცია იქმნება დროის მოთხოვნის შესაბამისად და შესაძლოა სხვა დროში და სხვა გარემოში ვეღარ აღმოჩნდნენ სიტუაციის ადეკვატური და გარკვეულწილად შეაფერხონ საზოგადოებაში ინოვაციური გარემოს დამკვიდრების ტემპები, მაგრამ ამავდროულად სოციალური ინსტიტუტების ფუნქციას **ვფიქრობთ**, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტრადიციების,

მენტალობის, ეთნიკურად ჭრელი და შესაბამისად განსაკუთრებით რთული პოლიტიკური გარემოს მქონე ხალხებში, როგორიც კავკასიის ხალხებია. სადაც ხშირად იურიდიულ ნორმებზე მეტად საზოგადოებაში რეაგირებს დაუნერელი კანონების ერთობლიობა სოციალური ინსტიტუტების სახით. ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითია საქართველოს თანამედროვე რეალობა. საქართველოში ბოლო პერიოდში ადგილი აქვს ე.წ. „პანკისის ხეობიდან“ ახალგაზრდების გადინებას კონფლიქტურ რეგიონში- სირიაში. ტრადიციულად პანკისის ხეობაში დიდი სოციალური დატვირთვა და ამავდროულად, საზოგადოებრივი სტაბილურობის თვალსაზრისით მარეგულირებელი ფუნქცია პქონდა ისეთი სოციალური ინსტიტუტის არსებობას, როგორიც არის „უხუცესთა საბჭო“, რომელიც წინააღმდეგია აღნიშნული პროცესებისა, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა. თუმცა აღნიშნული სოციალური ინსტიტუტი თანამედროვე ეტაპზე თითქმის დისფუნქციურია და ისეთივე გავლენას ვეღარ ახდენს მოსახლეობაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, როგორც ეს ადრე იყო. ვფიქრობთ, ამ და მსგავს შემთხვევაში აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის ფუნქციური არსებობა ხელს შეუწყობდა არსებული სიტუაციის რეგულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ერიაშვილინ.დ., ბეჭედსკო დ.ი., კრავჩიენკო ა.ი., კურგანოვი
ს.ი., სოციოლოგია იურისტებისათვის,თბ.,20011

ფენენჯო ი. ვ. მართვის/მმართველობითი/ სოციოლოგია,
თბ., 2012

2005

Ineza Zoidze

Social Institutions and some problems of social stability

Resume

The essence of social institutions is discussed in the article as well as procedures concerning social values and norms that are shown mainly by non-written rules and traditions which in turn satisfy main demands of a society and regulate human behavior in the frames of a given institution.

Also, while discussing the above mentioned matters a special attention is given to the role and importance of social institutions in the process of social development and stabilization in modern fast-changing world as well as to functional and dysfunctional processes in conditions of modern globalization and modernization.

ჰერალდიკა
Heraldry

პიმინი როგორც სახელმწიფო სიმბოლიკის
ერთერთი მთავარი ელემენტი

ნატალია ლაზარევი

ჰერლიკი, როგორც დროშა და გერბი სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოს წარმოადგენს და დროშისა და გერბის „მუსიკალურ ექვივალენტს“ გამოხატავს. ჰერლიკი შესრულება ოფიციალურ შიდა პოლიტიკურ ან საერთაშორისო ცერემონიებზე ხდება.

სახელმწიფო გერბი და დროშა აბსტრაქტულ სიმბოლოებს წარმოადგენს და თითოეულ სიმბოლოს თავისი დატვირთვა აქვს. ჰერლიკი შემადგენელი კომპონენტები ტექსტი და მელოდიაა, რომლის უნისონში ყოფნა - მისი უკვდავების გარანტიაა. ჰერლიკი მრავალჯერადი მოსმენის საგანია და ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ თუ მასში ჩადებულია ერთმანეთის გამომრიცხველი, დუალისტური, ყალბი ინ-

ფორმაცია, სიმბოლოს ემუქრება დესტრუქცია, მსხვევა და საბოლოოდ - მივიწყება.

როგორც გერბს და დროშას, ჰიმნსაც თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. უფრო მეტიც, ჰიმნის იდეა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის ცივილიზაცია და ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჰიმნი გაჩნდა უფრო ადრე, ვიდრე გერბები და დროშები მათი დღევანდელი ფორმით.

სიტყვის ეტიმოლოგია დაკავშირებულია ბერძნულ მითოლოგიასთან, კერძოდ, ქორნინების ღმერთის - ჰიმნეის სახელთან. განანსხვავენ ჰიმნების შემდეგ სახეობებს: რელიგიურს, ლიტერატურულს, ნაციონალურს და კორპორატიულს.

ჰიმნები გვხდება სხვადასხვა ხალხის საკრალურ პოეზიაში და საწყისს იღებს ლოცვებიდან. მარტივი ლოცვის ძირითად შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ მოწოდება (invocatio) და მაგიკური ფორმულა(carmen). შესაბამისად, ჰიმნის ელემენტარულ კომპონენტებს წარმოადგენენ - ეპიკულება (სახვთო სახელი) და თხოვნა. ჰიმნის სტრუქტურის მესამე ელემენტად, როგორც წესი, ითვლება არეტალოგია ან ეფითური ნაწილი (pars epica).

ინდურ პოეზიაში, ღმერთებთან მიმართული ჰიმნები, მხატვრული სიტყვის უძველეს ნიმუშს წარმოადგენენ. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ უძველესი ეპოქების ლიტერატურაში: სანკრიტულ, ბუდისტურ, ჯაინიურში.

ცნობილია, აგრეთვე, არაბული ჰიმნური პოეზია, მაგრამ რელიგიური ლირიკა არაბებში ვითარდებოდა სუსტად, მხოლოდ XIII საუკუნეში, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესუსტების შემდეგ, ცნობილი ხდება ჰიმნი-ყასიდი ბუსირი მუჰამედის საპატივცემულოდ და მისტიური სუფიური ჰიმნები ომარ იბნ-ალ-ფარიდას-თვის.

განსხვავებით არაბული პოეზისა, მეტად მდიდარი და მხატვრული იყო ირანული ჰიმნები. ეს ჰიმნები (საუკეთესოა ჯალალედინ რუმი, XIII ს.) შეიცავენ პანტეისტურ⁴ სიმბოლიკას და სიყვარულის იდეას. ირანული ჰიმნური პოეზია, რომელმაც გავლენა თურქულ ჰიმნებზეც მოახდინა.

საბერძნეთისა და რომის ისტორიაში ჰიმნებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ. აღმოსავლეთის ჰიმნების განსხვავებით, ამ ჰიმნებში აღმერთებდნენ საზოგადო მოღვაწეებს და ზეიმების ჩატარებას. საერთოდ ითვლება, რომ ყველაზე ძველ მუსიკალურ ჰიმნად, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, ითვლება პოეტ ევრიპიდის (V ს.ჩვ.წ.) „ორესტი”, რომლის მელოდია ჩაწერილია პაპირუსზე. მოგვიანებით გაჩნდა სხვადასხვა ჰიმნის ჟანრი: ჰეანი - ჰიმნი აპოლონისათვის, დიონ-

⁴პანტეიზმი (პან „ყველაფერი” და (თეოს) „ღმერთი”) - რელიგითიური და ფილოსოფი სწავლება, რომელიც აერთიანებს ღმერთს და სამყაროს. ამ მიმართულების თანახმად სამყარო წარმოადგენს ბუნების ერთიანობას და ხვთაობრიობას.

რამბა - ჰიმნი დიონისისთვის და ა.შ. ჰიმნების ტექსტებს ქმნიდნენ ბერძენი პოეტები: ჰომეროსი, ანაკრეონტი, კალ-ლიმაზი, აგრეთვე, პროკლა, სინესია და ა. შ. ელინიზმის ეპო-ქაში (IV-I სს. ჩვ.წ.) ჰიმნებმა საზეიმო სიმღერების ფორმა განსაკუთრებით რელიგიური პროცესიების მსვლელობის დროს მიიღო.

ადრეულ ქრისტიანობის ეპოქაში, რომის იმპერიის დაცემის პროცესში, ჰიმნის პოეზიის აყვავება აღინიშნება. შემორჩენილი ქრისტიანული ჰიმნები განეკუთვნება III საუკუნეს, მათი წარმოშობა დაკავშირებულია სირიასთან. ცნობილი პოეტები ეფრემ სირინი (IVს.), რომანი სლადკოპევეცი(VI ს.)-1000 ჰიმნის ავტორი, იოანე დამასკელი (VII-VIIIსს.) წარმოშობით სირიიდან იყვნენ. ბიზანტიიდან ჰიმნის ფორმა, ქრისტიანობასთან ერთად შუასაუკუნეების დასავლეთში გავრცელდა. ჰიმნების ხელოვნება ჯერ ლათინურ, ხოლო მოგვიანებით, ხალხურ ენებზე მთელ შუასაუკუნეების მანძილზე ვრცელდება.

აღორძინების ეპოქაში ჰიმნების თემატიკაში ახალი მოტივები ჩნდება. ქალაქის ბურჟუაზია რელიგიურ ჰიმნებს სააგიტაციო ლიტერატურის ფორმით იყენებს. მაგალითად: წმ. ფრანცისკო ასიზელის ჰიმნს „dmas მზეს“, ლუთერის ჰიმნს „Ein feste Burg“ და ა.შ. გერმანიის ეკონომიკური დეპრესია 30-წლიანი ომის შემდეგ და მასთან დაკავშირებული რელიგიური და მისტიკური განწყობების აყვავებამ, ხელი

შეუწყო ჰიმნების პოეზიის აღმავლობის ბოლო ეტაპს (ანგელუს სილეზიუსი, პაული გერჰარდი, პაული ფლემინგი და ა.შ.).

XIX საუკუნის დასაწყისში რომანტიკოსებმა ჰიმნის ფორმის აღორძინება სცადეს, როგორც თავისუფალ ლირიკულ ფორმას: ნოვალისის „ჰიმნები ღამისთვის”(Hymnen an die Nacht); მსგავს ფორმას იყენებს გეინე თავის „Ich bin das Schwert, ich bin die Flamme”.

რელიგიური ჰიმნის, როგორც საბრძოლო სიმღერის გამოყენებამ, საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ნაციონალური ჰიმნის” (საზეიმო სიმღერე არარელიგიური შინაარსით) შექმნას. ზოგი ასეთი სიმღერა წარმოადგენს ნაციონალურ („Die Wacht am Rhei”, „Deutschland, Deutschland über alle”, „Rule Britannia”) და რევოლუციურ („მარსელიოზა”) განწყობას.

ყველაზე ადრეულ ნაციონალურ ჰიმნად ევროპაში ნიდერლანდული „ვილგელმ ნასაუ” (ცნობილია 1626 წლიდან) ითვლება. სიტყვების ავტორი, სავარაუდოდ, მარნიქსი ვან სენ ალდეგონდია, ნიდერლანდების დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. ეს ჰიმნი დღესაც სახელმწიფოს უცვლელოფიციალურ სიმბოლოს წარმოადგენს.

ევროპაში ცენტრალიზებული ძალაუფლების გაძლიერებამ, ხელი შეუწყო ისეთ ჰიმნების აღორძინებას, რომლებიც მიძღვნილი იყო მონარქის ირგვლივ ერის გაძლიერებაზე. მის კლასიკურ მაგალითს ქერის ავტორობით, წარმოად-

გენს XVIII საუკუნის ინგლისური პატრიოტული სიმღერა „God Save the King”(„ღმერთო, მეფე გადაარჩინე”, ჰენრი (1743 წ.). ეს სიმღერა მოთხოვნადი და ძალიან პოპულარული გახდა ორი წლის შემდეგ, სტიუარტების ამბოხების ჩახშობისას. ნიდერლანდების ჰიმნის შემდეგ, ქრონოლოგიურად მოდის აღნიშნული ჰიმნი. ამ ჰიმნს დღესაც არ აქვს ოფიციალური სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი (არასოდეს არ დამტკიცებულა არც მეფის, არც პარლამენტის მიერ). მის მსგავსად, გაჩნდა სხვა ევროპული სახელმწიფოების ჰიმნები. დასაწყისში ყველა მათგანს ბრიტანული ჰიმნის მუსიკა ჰქონდა (მაგალითად: რუსული „ბოჟე ცარია ხრანი” (1833 წლამდე), ამერიკული „My Country, 'Tis of Thee” (1931 წლამდე), გერმანული იმპერიის ჰიმნი „Heil dir im Siegerkranz” (1922 წლამდე), შვეიცარიული „Rufst du mein Vaterland” და სხვ., დაახლოებით 20 ჰიმნი). იმის შემდეგ, რაც ჰიმნების დამტკიცება დაიწყო პარლამენტის ან მონარქის მიერ, ფაქტიურად ყველა ჰიმნმა მიიღო საკუთარი მელოდია. მაგრამ ლიხტენშტეინის ჰიმნი „Oben am jungen Rhein”, დღესაც ინარჩუნებს ინგლისური ჰიმნის მუსიკას.

ნაციონალური ჰიმნების სხვა ტიპს წარმოადგენს ფრანგული „მარსელიოზა”. ეს ჰიმნი პირდაპირ დაკავშირებულია ფრანგულ რევოლუციასთან. გარდა „მარსელიოზისა”, საფრანგეთში პოპულარული იყო „საირა” და „კარმანი-

ოლი”, მაგრამ დღესდღეობით, ეს სიმღერები ფაქტიურა, მივიწყებულია.

ქვეყნები, რომლებმაც იმ პერიოდისთვის დამოუკიდებლობა დაკარგეს, სამშობლოს განახლებასთან ერთად ერის აღორძინების იდეას ქადაგებდნენ. ამ პერიოდში შეიქმნა პოლონეთის „დომბროვსკის მაზურკა”(მუსიკის ავტორია მიხეილი ოგინსკი). ის შეიქმნა იტალიაში პოლონურ ლეგიონებში ბონაპარტული ომების დროს. აღნიშნული რევოლუციური სიმღერა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სლავურ ჰიმნს, რომელიც ათწლეულის მანძილზე ითვლებოდა პოლონელების მთავარ პატრიოტულ სიმღერად. სახელმწიფოს მიერ ის აღიარებული მხოლოდ XX საუკუნის 20-ან წლებში გახდა. ამ ჰიმნის „კვალი” ჩანს უკრაინის ჰიმნში, ხოლო ყოფილი იუგოსლავის ჰიმნის მელოდია იყო მისი ზუსტი კოპია. 1830 წელს შეიქმნა ბელგიური რევოლუციური „ბრანსონი”, რომელშიც ჩადებული იყო მოწოდება სიცოცხლე განირონ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ზოგიერთ სახელმწიფოში (იტალია, სლოვაკეთი) ოფიციალური სახელმწიფო სიმბოლოები გახდა სიმღერები, რომლებიც ადრე იკრძალებოდა ხელისუფლების მიერ. ხორვატული ჰიმნის „ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს” შესრულებისათვის (შეიქმნა XIX საუკუნეში დონიცეტის არის საფუძველზე), იუგოსალავის არსებობის დროს, შესაძლებელი იყო ციხეშე აღმოჩენა. აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის,

ლათინური ამერიკის ზოგ სახელმწიფოში, პოლიტიკური რე-
უიმების შეცვლასთან ერთად, იცვლებოდა ოფიციალური
ჰიმნებიც . ქვეყნებში, სადაც არ იყო მდიდარი ჰიმნების ტრა-
დიცია, სპეციალურად უცხოელი მუსიკოსები ჩამოჰყავდათ
სახელმწიფოს მთავარი სიმღერის დასაწერად. მაგალითად,
ტაილანდის სამეფო ჰიმნის მეღოდია დაწერა რუსმა მუსი-
კოსმა და კომპოზიტორმა პეტრე შიუროვსკიმ. ნაციონალუ-
რი სიმღერის შერჩევის პრობლემა XX ს. სახელმწიფოებში
გაჩნდა, სადაც შეიცვალა პოლიტიკური წყობა (სსრკ ყოფი-
ლი რესპუბლიკები, აღმოსავლეთი ევროპა, მონკოლეთი,
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). ზოგ ქვეყნებში აღადგინეს
ისტორიული ჰიმნები, ზოგში კი გადააკეთეს ცვლილებებამ-
დე არსებული სიმღერები, დანარჩენებმა სულ ახალი სა-
ხელმწიფო სიმბოლოები შექმნეს. მაგალითად, მონღოლეთმა
1991 წელს დაიბრუნა ძველი 1950 წლის დროინდელი სახელ-
მწიფო ჰიმნი. მართალია, სიმღერიდან ამოღებულ იქნა სტა-
ლინის, სუხე-ბატონის და ჩოიბალსანის სახელები. საქარ-
თველომ, მოღდოვამ, სომხეთმა, ბოსნიამ, ყაზახეთმა, რუ-
სეთმა ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ შეცვა-
ლა სახელმწიფო ჰიმნის ვარიანტი.

რიგ სახელმწიფოს XIX საუკუნის ბოლომდეც არ გააჩ-
ნდა თავისი ოფიციალური სიმბოლო. მაგალითად, ჩინეთს,
კორეას, ლუქსემბურგს. ოსმალეთში ყველა სულთანისთვის

იწერებოდა პერსონალური მარში. ტუნისს XIX საუკუნის ბოლოს თხუთმეტი სახელმწიფო ჰიმნი-მარში ჰქონდა.

ნაციონალური ჰიმნების ისტორიაში ცნობილია უსიტყვო ჰიმნების კატეგორია. ამის ნათელი მაგალითია ესპანეთის ჰიმნი „სამეფო მისალმება”, მეტად პოპულარული ისლამურ ქვეყნებში. მისი მელოდია - სამხედრო სიმღერაა (ავტორი უცნობია). აღნიშნული ჰიმნი ხუთმა ესპანურმა რევოლუციამ გადაიტანა.

ამრიგად, ნაციონალური ჰიმნის დატვირთვას წარმოადგენს კონკრეტული ერის წარსული ისტორიის, ტრადიციების, ზნეობრიობის წარდგენა. ჰიმნი კონცენტრირებული ფორმით გამოხატავს ქვეყნის პრიორიტეტებს, მიზნებს, სამომავლო გეგმებს და იმედებს.

,

«

»

.

,

Natalia Lazba

Anthem as one of the main symbols of the state symbols

Resume

A hymn as well as a flag and coat of arms are a state's official symbol and are a "musical equivalent" of them. A hymn is sung at official ceremonies, internal and international ceremonies.

A coat of arms and a flag are abstract symbols and need explanation: what the color or the symbol means. A hymn is different. It is an emblem which is often encrypted and can be directly perceived.

Hymn has a long history like a coat of arms or a flag. Moreover, the idea of a hymn is as old as the human civilization which means that hymns appeared earlier than coat of arms or flags in their current shape.

მასკომუნიკაცია

Mass Communication

„ენობრივ – სტილისტიკური დარღვევები
საჯარო დაცვის ულერიკის ვებგვერდებზე“

ირინე ცინცაძე

თანამედროვე პირობებში ინფორმაციას წამყვანი როლი უჭირავს ჩვენს ყოველდღიურ ყოფა – ცხოვრებაში. განუზომელია მისი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, რაც გარკვეულწილად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის დამსახურებაა. დღეს მსოფლიოს მთავრობებმა აქტიურად დაიწყეს ინტერნეტის საშუალებით მოქალაქეებთან კომუნიკაციის დანერგვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, აქცენტი კეთდება მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

ინტერნეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თანამედროვე სამყაროში წარმოუდგენელია ნებისმიერი ორგანიზაცია, საჯარო სამსახური თუ არასამთავრობო

დაწესებულება, რომელსაც საკუთარი ვებგვერდი არ ჰქონდეს, სადაც ორგანიზაციის ყოველდღიური ინფორმაცია, სტრატეგიები, მიღწევები, საზოგადოებასთან ურთიერთობები თუ სხვადასხვა საკითხები აისახება. თუმცა, როდესაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში ინტერნეტისა და ვებგვერდების აუცილებლობასა და მის დადებით მხარეებზე ვსაუბრობთ, ყურადსალებია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, რომელიც ფაქტიურად აღარ არსებობს. დამახინჯებული, დარღვეული და შერყეულია წმინდა კანონიკური ენა. თემურ ჯაგოდნიშვილი თავის ნაშრომში „გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება“ აღნიშნავს: „პუბლიცისტიკის ენის და მეტყველების ახალი სტილის დამკვიდრების მცდელობა როგორც ითქვა, უცხოენოვანი ლექსიკისაკენ ლტოლვაში გამოიხატება. მართალია უცხო სიტყვები ხშირად ფორმალურად ტერმინებისა და პროფესიონალიზმების ფუნქციით შემოაქვთ, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის განპირობებული აუცილებლობით. ამასთან ეს ნეოლოგიზმები პუბლიცისტიკაში შემოაქვთ პოლიტიკის სფეროდან, თანაცისე, მასობრივი აუდიტორიისათვის ნეოლოგიზმისადმი საკუთარი მიმართების დამყარება – განმარტების გარეშე, თავმომწონეობენ იმით, რომ მათ იციან ტერმინის შინაარსი და სხვებმა – არა. მაგალითისათვის თუნდაც ამ ბოლო დროს

შემოტანილი სიტყვა კოპაბიტაცია და მისი სემანტიკის ირგვლივ ატეხილი იუმორისტული ინტერპრეტაციები იკმარებდა. განა არ შეიძლება ამ არც თუ იოლად წარმოსათქმელი უცხო სიტყვის ნაცვლად ქართული „თანაცხოვრება“, „თანაარსებობა“ გამოვიყენოთ?“ (თ. ჯაგოდნიშვილი, გვ. 91). „საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ქართული სალიტერატურო ენის პარალელურად, ჩვენში გაჩნდა ერთგვარი ენობრივი სუროგატები, რომელიც თანდათან მკიცდრდება სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ არასამთავრობო სექტორში, მედიასა თუ სამართალწარმოებაში და ა.შ. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში სხვადასხვაა არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღში დაბადებული ეს ენობრივი სუროგატი, რომელსაც პირობითად „პროექტების ენა“ შეიძლება დავარქვათ, თანდათანობით იქცა „სიახლისა და თანამედროვეობის“, ანუ ე.წ. „ახალი მენტალობის“, განუყოფელ ატრიბუტად და „საფირმო ნიშნად,“ – წერდა მწერალი კოტე ჯანდიერი ჯერ კიდევ 2008 წელს გამოქვეყნებულ წერილში „იდიოტიზმის ანატომია“. კოტე ჯანდიერი სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა უგულვებელყოფას სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებში და მათ შორის, განათლების სამინისტროში დასაქმებული მაღალჩინოსნები უწყობდნენ ხელს (ეკა მაღალდაძე „ენის დარღვეული ეკოლოგია“, <http://www.liberali.ge>).

კოტე ჯანდიერი სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ სა-
ლიტერატურო ენის ნორმათა უგულვებელყოფას სწორედ
სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მაღალჩნოსნები
უნიკობდნენ ხელს.

ქართული ენა, შეიძლება ითქვას, დღეს თავისუფალ
დინებასაა მიყოლილი. ქვეყანაში არ არსებობს ორგანო, რო-
მელიც ენის ნორმებს დაიცავდა და გააკონტროლებდა. ენა
კი ვითარდებოდა და დადგენილი ნორმები წლების განმავ-
ლობაში იცვლება. ენათმეცნიერები ამბობენ, რომ ეს ბუნებ-
რივი პროცესია, თუმცა, ენის დინებაზე მიშვება გაუმარ-
თლებელია.

ენის სიწმინდის დაცვის საკითხები ყველა მოქალაქემ
თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, მაგრამ გან-
საკუთრებით ყურადღებით უნდა იყოს ის პირები, ვისი ვალ-
დებულებაც საჯარო სამსახურების ვებგვერდეზე ინფორმა-
ციის განთავსებაა. ინფორმაციებში არაერთი შეცდომა „იპა-
რება“, როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური. მაგა-
ლითისათვის რამდენიმე საჯარო სამსახურის ვებგვერდიდან
აღებულ მასალას შემოგთავაზებთ.

„გინდა დასაქმდე საჯარო სამსახურში? ჩვენი ვებ-გვერდის **საშუალებით** საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, ონლაინ გააკეთოს **განცხადება** და და-საქმდეს“ (საჯარო სამსახურის ბიურო, www.csb.gov.ge). აღ-ნიშნულ წინადადებაში რამდენიმე სახის შეცდომაა, კერძოდ, **საშუალებით** არასწორი ფორმაა, უნდა იყოს **მეშვეობით**, ასევე არა **განცხადება**, არამედ **განაცხადი**. იგივე საჯარო სამსახურის ვებგვერდზე აღმოჩენილი ხარვეზი: „გაეცანი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლა-რაციებს ელექტრონულად. ჩვენ **უზრუნველყოფთ** მათ სა-ჯაროობას და ხელმისაწვდომობას.“ დამეთანხმებით, ალ-ბათ, რომ **უზრუნველყოფთ** არასწორი ფორმაა და უნდა იყოს „**ვუზრუნველყოფთ**“. აგრეთვე საინტერესო წინადადე-ბაა „**პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში დავით სერგე-ენკოს მოუსმინეს...**“ სათაური განსაზღვრავს ინფორმაციის შინაარს, მაგრამ აღნიშნული სათაური დამაბნეველია, ვინაი-დან სტილისტურად გაუმართავია. სტატიაში საუბარია „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყების შესახებ, შე-საბამისად, სტატიის სათაური შეიძლებოდა გამართული ყო-ფილიყო შემდეგნაირად: „**პარლამენტის ჯანდაცვის კომი-ტეტში „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყების შესახებ დავით სერგეენკოს მოუსმინეს...**“ (www.Moh.gov.ge).

აგრეთვე გაუმართავია აღნიშნული წინადადება: „ ცეპატიტის ელიმინაციის პროგრამის საზეიმო მიღება“ , რაც ვფიქრობ, უხერხულიც კი შეიძლება იყოს, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა საზეიმო მიღებას არ ექვემდებარება, უფრო გამართული იქნება პრეზენტაცია/წარდგინება.

იქვე: „ბირფინგი ც ცეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პირველი ეტაპის შესახებ“ (ბირფინგი/ბრიფინგი).

ასევე საკამათოა შემდეგი სახის წინადადება: „უკრაინის კონფლიქტით დაზარალებული ბავშვების ვიზიტი საქართველოში“. უკრაინის კონფლიქტი ვისთან ან რასთან დაკავშირებით, უნდა იყოს წინადადებაში დაკონკრეტებული. მაგალითად: „რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით დაზარალებული ბავშვების ვიზიტი საქართველოში“.

„ბავშვები ვიზიტისათვის უკრაინულმა ფონდმა სიცოცხლე ყველაფრის მიუხედავად“ შეარჩია „... სიტყვა „შეარჩია“ განკუთვნილია რამდენადმე ნივთის შერჩევასთან. ბავშვების შერჩევა ამ კონტექსტში არასწორი ფორმაა. სტილისტურად უფრო დახვეწილი ფორმა იქნებოდა მოწვევა.“

„მე-14-ე საერთაშორისო ენერგეტიკულ კონფერენციას „ნავთობი, გაზი, ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა თბილისი“ მასინდლობს“. მე-14-ე რიცხვითი სახელის არასწორი ფორმაა, უნდა იყოს მე-14 (energy.gov.ge).

ცნობილი ენათმეცნიერი და საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ექს-ხელმძღვანელი ლევან ლვინჯილია აღნიშნავს, რომ აღარც შეფასებებს აქვს აზრი და საჯარო მოხელეები, თუ მათი პრესმდივნები აღარც სპეციალისტების აზრს ითვალისწინებენ და არც საკუთარი შეცდომების გამოსწორებას ცდილობენ. თუმცა იქვე აღიარებს, რომ ხელისუფლების ოფიციალურ ვებ – გვერდზე ამდენად გაუმართავი ტექსტების გამოქვეყნება ყოვლად დაუშვებელია.

ხშირად საჯარო სამსახურების ვებ – გვერდებზე ვხვდებით ისეთ დამახინჯებულ ფორმებს, როგორიცაა: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთაგანი და სხვ. სიტყვები „ჩვენ“ და „თქვენ“ თავად გამოხატავენ სიმრავლეს და მათზე – განთანდებულთან ერთად მრავლობითის –თა ნიშნის დართვა არასწორია.

„განათლების მინისტრმა განცხადება გააკეთა, რომ სკოლებში დაინიშნებიან მანდატურები“ უნდა იყოს – განაცხადა.

„ანაზღაურება ყველას ეპატარავება“. სწორი ფორმაა: „ანაზღაურება ყველას ეცოტავება“

„ხე-ტყის უკანონოდ გაყიდვისათვის რამდენიმე მეტყევე პატიმრობაში აიყვანეს“. სწორი ფორმაა: „ხე-ტყის უკანონოდ გაყიდვისათვის რამდენიმე მეტყევე დაპატიმრეს“.

„ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ფასიც დიდდება“, უნდა იყოს „ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ფასიც იზრდება“.

ხშირად გვხვდება ისეთი სახის შეცდომები, როგორიცაა

საქმე იმაშია, რომ...უნდა იყოს საქმე ისაა, რომ
მოხდა გადაადგილება/ გადაადგილდა
ავარიაში დაზარალებული/ავარიაში დაშავებული
ბოდიშით/ბოდიში მასიური/მასობრივი „ყველა ენა
მდიდრდება, ჩვენი კი ღარიბდება. ბოლო ათწლეულების გან-
მავლობაში ქართული სალიტერატურო და სასაუბრო ენა
დამჭლევდა, მწირი გახდა, მწერლები ღამის მარტო ქუჩური
მეტყველების კოპირებით ცდილობენ გავიდნენ ფონს. ენა
ადამიანის (არამარტო მწერლის) სამუშაო (გნებავთ, საბ-
რძოლო) იარაღია, რომელსაც გამუდმებით თუ არ უვლი, და-
გიჩლუნგდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ესთეტიკური
მიმართება ენასთან ცოტა ვინმეს თუ შერჩა“ – აღნიშნავს
ლიტერატურის კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გლობალიზაციას, ტექნიკურ განვითარებას, ინტერნეტის მასობრივ გამოყენებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია, სალიტერატურო ენის ნორმების რღვევაც გარკვეულწილად მისი შედეგია, ვინაიდან უცხოური სიტყვების შემოტანა/დამკვიდრებამ, სკოლებში ქართული ენის არასრულყოფილად სწავლებამ, თავისი შედეგი გამოიღო.

გამოყენებული ლიტერატურა

თემურ ჯაგოდნიშვილი, „გლობალისტური ენობრივი ცნობიერება და თანამედროვე პუბლიცისტიკის ენის ზოგიერთი თავისებურება“, სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, #1. თბ. 2014

ლევან ბრეგაძე, „ვინც სწორად მეტყველებს, ის უფრო ხშირად აღნევს მიზანს“ <http://www.24saati.ge/>

<http://www.liberali.ge>

www.csb.gov.ge

imereti.ge

[www. Moh.gov.ge](http://www.Moh.gov.ge)

«

»

«

»

«

»

«

»

Irine Tsintsadze

„Language-stylistic mistakes on web-pages of public institutions”

Resume

In modern conditions information has a leading role in our everyday lives. It has an enormous influence on formation of public opinion which is partly due to modern technology and internet.

It can be said that Georgian language today is freely developing. There is no institution in the country which would defend some language norms and control them. As I mentioned above, this can be especially seen on web-pages of public institutions. Written communication by electronic social websites can be compared to oral speech. In internet the language as if undergoes a new experiment and is influenced by this process. Language norms are ignored in internet.

Every citizen is responsible about language norms and especially those people should be more attentive who are responsible for putting information in web-pages of public institutions.

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ როლი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში

თამარ ორაგველიძე

XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება არსებობდა -- პრორუსული, პროთურქული და ა.შ. რომლებსაც თავიანთი გაზეთები გააჩნდათ („ნაშ კრაი“, „სედაი მილეთი“). ქართველი მოსახლეობისათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის საქმიანობის გასაძლიერებლად შეიქმნა აუცილებლობა გაზეთის გამოშვებისა.

თავდაპირველად გაზეთის სახელწოდებად შერჩეული იყო „აჭარა“. შემდეგ კი გადაწყდა, დარქმეოდა „სამუსლიმანო საქართველო“. გაზეთი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხით.

იმ დროისათვის აჭარაში პოლიტიკური სპექტრი ჭრელი იყო. ერთი ნაწილი გამოდიოდა ეროვნული პოლიტიკის ნინაალმდეგ. ამ ნაწილის მიზანი იყო ჩამოეშორებინათ აჭარა საქართველოსაგან. ყველას სურდა ამ რეგიონში ფეხის მოკიდება და პოზიციების განმტკიცება. ამ-

დენად, დიდი ალბათობა იყო ბათუმის დაკარგვისა. სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული გაზეთის „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოშვება.

და აი, 1919 წელს ბათუმში, ნ. ი. ხვინგიას სტამბაში დაიწყო გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემა. სულ გამოვიდა 500 ნომერი (1919 -- 1921 წწ.). იგი იპეჭდებოდა მოზრდილი ფორმატის ქაღალდზე, ოთხ გვერდზე, რომელთაგან ორი ქართულენოვანი იყო, ორიც -- თურქული. გაზეთის ფასი შეადგენდა 5 მანეთს.

სამწუხაროდ, „სამუსლიმანო საქართველოს“ საგაზეთო ნომრების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, მაგრამ რაც ხელთ გვაქვს, ფასდაუდებელ მასალას გვაძლევს ბათუმში იმ წლებში მიმდინარე პროცესებისა და ღირსეულ წინაპართა მიერ გავლილი გზის მართებულად აღსაქმელად.

გაზეთის მიზანი ასახულია პირველი ნომრის სარედაქციო წერილში „ჩვენი მიმართულების განმარტება“. წერილის ავტორი, გაზეთის რედაქტორი განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელი მემედ აბაშიძე წერს: „ჩვენი მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა. სიტყვა „საქართველოს“ განმარტება არ ჭირდება, როცა ეს სიტყვა წარმოითქმის, ამ სახელწოდების ენით მეტყველი

ერის მიწა-წყალი, სამშობლო თვალწინ წარმოგვიდგება, რასაც საქართველო და საქართველოს ენით მოლაპარაკე ერი -- ქართველი ენიდება“.

ამ სიტყვებიდან უკვე გამოკვეთილია, რომ გაზეთი არ გადაუხვევს ეროვნული დანიშნულების გზიდან და მოქმედისახურება ხალხის ეროვნული შეგნების, იდეების, შესედულებების ამაღლებას. ამიტომაც გაზეთის დევიზად იქცა მემედ აბაშიძის ცნობილი სიტყვები: „ჩვენი ერთად-ერთი გზა, ერთად-ერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია!“

გაზეთის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ერთიანობის, ტერიტორიული განუყოფლობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტაქტიკისა და პოლიტიკური ხაზის მხარდაჭერა - პროპაგანდა. ასევე, საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში სამუსლიმანო საქართველოს ადგილის პოვნა.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ შეეხო მრავალ პოლიტიკურ საკითხს და მიუხედავად მისი გამოშვების ხანმოკლე დროისა, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მასში დასმულ თემატიკას. გაზეთის ჩვენამდე მოღწეული ნომრების გაცნობა კი შესაძლებლობას გვაძლევს ჩავნვდეთ იმ პერიოდის ეროვნული მოძრაობის საკითხებს, პრობლემებს და გავაანალიზოთ არა მარტო ბათუმში, არამედ სრულიად საქართველოში იმ დროისათვის არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

1920 წლის 14 თებერვალი. ახლოვდება თვითმმართველობის არჩევნები და გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ააქტიურებს მოწოდებებს არჩევნებზე წასვლასთან და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. არჩევნებთან დაკავშირებულ წერილებში ვკითხულობთ: „ჩვენი მოვალეობაა არ დავზოგოთ ენერგია, რათა ქალაქის ხმოსნებათ ღირსეული პირები იქნან არჩეულნი. მიაკითხეთ ქალაქის თვითმმართველობას, გადაათვალიერეთ სიები და თუ გამოტოვებული ხართ, მოითხოვთ, რომ სიაში ჩაგნერონ. შეასრულეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ამას მოითხოვს თქვენგან ჩვენი სამშობლოს ინტერესები!“

გაზეთი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოახლოებულ არჩევნებს და მიიჩნევს, რომ არჩევის შემთხვევაში ახალმა საბჭომ უნდა მოაწესრიგოს ბათუმის აფორიაქებული ცხოვრება, მან უნდა იზრუნოს ქალაქის სისუფთავეზე, მცხოვრებლების ჯანმრთელობაზე, სწავლა-აღზრდის საქმეზე, სურსათზე და სხვა. ამიტომ ჩვენი ვალიაო, -- წერს გაზეთი, -- ავირჩიოთ ისეთი ხმოსნები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

საინტერესოა მონაცემი ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ. თურმე ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში ხმის უფლება ქონია სულ 14 079 ამომრჩეველს, მათ შორის იყო

ქართველი -- 5 158, ბერძენი -- 2 872, სომები -- 2 448, რუსი -- 1 931, თურქი - 383 და სხვა ეროვნების ამომრჩევლები. ეს ციფრები გვიჩვენებს ბათუმის მოსახლეობის მრავალეროვნულობას და სიჭრელეს და ამ ფონზე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტსა და მასთან არსებულ ორგანოს, - გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ჭირდებოდა განსაკუთრებული ძალისხმევა ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად.

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 28 თებერვლის ნომერში არის საარჩევნო რეკლამა მოწოდებით „ხმა მიეცით 1 ნომერს! ეცადეთ არ დაიკარგოს არც ერთი ხმა! ჩვენი ნომერი პირველია!“ (ქართველ ამრჩეველთა გენერალური კომისია). რეკლამას კი აგრძელებს კვლავ არჩევნების თემაზე დაწერილი სტატია, რომლითაც 29 თებერვალი შეფასებულია, როგორც ისტორიული დღე ბათუმისათვის. „ხვალინდელი დღე გვეტყვის, თუ რამდენად ვყოფილვართ ჩვენ, ქართველები, განურჩევლად სარწმუნოებისა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შემსრულებელნი. ხვალინდელი დღე გვეტყვის, თუ რამდენად გვიყვარს ჩვენი სამშობლო“.

არჩევნებამდელ საგაზეთო აქტივობას გავეცანით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ხელთ არა გვაქვს 28 თებერვლის შემდგომი რამდენიმე ნომერი და ამიტომ არ ვიცით, რა შეფასებებს გააკეთებდა გაზეთი „სამუსლიმანო

საქართველო“ თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ. თუმცა გაზეთის მოგვიანებით, მარტ-აპრილის ნომრებში საუბარი არის ჩატარებული არჩევნების შესახებ

ბათუმს იმ წლებში რთული პერიოდები ჰქონდა. სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები ცდილობდნენ ხალხში არეულობის გამოწვევას და ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს მოვლენები უყურადღებოდ არ დარჩენია გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ და თავისი მტკიცე პოზიციით ყველა ღონეს ხმარობდა პროვოკატორთა ქმედებების გამოაშკარავებაში.

ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „პროვოკატორები ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქოს საქართველოს მთავრობას არ სურდეს ქართველი მაპმადიანებისათვის ავტონომიური მართვა-გამგეობა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ: ეს საშინელი პროვოკაციაა. საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ სამაპმადიანო საქართველოს მიანიჭოს ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. ასეთია განცხადება მთავრობის თავმჯდომარის წოე ქორდანიასი, ასეთია გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტისა. განა ვინმე ჭკუათმყოფელი, გარდა პროვოკატორისა, იტყვის, რომ ჩვენი დედა-სამშობლო საქართველო ამ სიტყვებს გადაუხვევს? არასოდეს!“

წერილის ავტორი აფრთხილებს ხალხს, არ აჰყვნენ პროვოკაციას, არ გაეძან მათ მიერ დახლართულ ქსელში და არ დაღუპონ კუთხის ბეჭ-ილბალი.

ასეთივე გაფრთხილებას აძლევს ხალხს გენერალი ასლან აბაშიძე, რომელიც 17 თებერვლის ნომერში თხოვნით მიმართავს აჭარელ თანამემამულებს, არ გაახარონ მტრები, არ აყვნენ პროვოკაციებს, ჩაუფიქრდნენ მდგომარეობას და გამოიჩინონ შორსმჭვრეტელობა, რათა არ მოექცნენ ჩვენი ქვეყნის დამლუპველ პირთა გავლენის ქვეშ. ა. აბაშიძე მოუწოდებს ხალხს, დაუჯერონ სამუსლი-მანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს, რომელიც საქართველოსთან ერთობის სწორ გზას ადგას.

გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ლირსშესანიშნავი დღეებისა და ეროვნული ზეიმების აღნიშვნას. 26 მაისის ნომრის მოწინავე წერილში საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობაზე, რომ ამ თარიღმა სათავე დაუდო მონობის ბორკილების მსხვრევას და თავისუფლების მზის ამობრნების საქართველოში. სტატიაში საუბარია იმ წარმატებებზეც, რასაც ამ წელიწადში მიაღწია საქართველომ: „ერმა შეძლო დაემტკიცებინა მთელი ქვეყნისათვის, თუ რას ნიშნავს ერთსულოვნება, თუ რა დიდი ძალის გამოჩენა შეუძლია პატარა ერს, თუ მას გათვალისწინებული აქვს თავისი სავალი

გზა“.
წერილში გატარებულია აზრი, რომ საქართველოს გამარჯვება არის გამარჯვება მთელი დემოკრატიისა.

ამგვარად, როგორც გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ არსებული ნომრების გაცნობამ გვიჩვენა, ეს ორგანო იყო ბათუმსა და ზოგადად, აჭარაში ყველა ქართული საქმისა და ინტერესის ბალავარი, ეროვნული ცნობიერების გამაღვივებელი, ქართული ეროვნული პოლიტიკის მიზანმიმართულად გატარების ქომაგი. ამით გაზეთი შეუფასებელია, ისევე, როგორც ფასდაუდებელია მასში მოღვაწე უურნალისტთა საქმიანობა და რაოდენ დასანანია, რომ წერილების უმეტესობა დაბეჭდილია ხელმოუწერლად, ამიტომ ავტორთა ვინაობა ისტორიისათვის უცნობი რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ - 1919 – 1920 წწ;

Tamar Oragvelidze
Newspaper “Samuslimano Sakartvelo” role in national consciousness increase

Resume

Publication of “Samuslimano Sakartvelo” newspaper was started in Batumi in 1919 at the N. I. Khvingia printing house. 500 newspaper issues were published in total (1919-1921). In Batumi and

in Adjara generally, this organ was the center of all Georgian activities and interests, it was the intercessor of Georgian national politics.

Unfortunately, only a few of “Muslim Georgia” newspaper issues survived, but the ones we have remained give us the invaluable information about different processes which took place in Batumi in those years.

«

»

1919

«

».

500

(1919-1921).

,

«

»,

,

,

ახალი ამგების ცერა და მასთან
დაკავშირებული რამდენიმე ფუნქციური
ასპექტი

ნესტან მამუჭაძე

უურნალისტიკა არ არის მხოლოდ ახალი ამბავი, მაგრამ უურნალისტიკის არსებობა ახალი ამბის გარეშე წარმოუდგენელია. დღეს, როცა ყველაზე მძლავრად გვიტევს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ამავდროულად ვაცნობიერებთ იმასაც, რომ თავდასხმის მთავარი იარაღი სიახლეა – „სიტყვებში გამომცხვარი“. ეს რაღა თქმა უნდა, ახალი ამბავია.

ამბავი დასრულებული წინადადებაა, კონკრეტული შინაარსის მატარებელი. წინადადება სიტყვებისაგან შედგება. მაშასადამე, სათქმელს სიტყვებით გადმოვცემთ. ზოგადი პარალელისთვის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას დავესესხებით. რუსთაველი ამბობს, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. გადმოვინაცვლებთ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაშიც: „სიტყვის თქმის უამი იცოდეს“. მაშ, ამონარიდები, რაც ზემოთ შემოგთავაზეთ, მოკლე ექსკურსისთვის იყო გამიზნული. თანამედროვე ქართული მედიის მესვეურებს ბევრი უმარტივესი ხარვეზი ნამდვილად არ ეპატიებათ. ყოველ-

გვარ ეთიკურ კოდექსსაც რომ თავი დავანებოთ, ბევრ ნიშან-დობლივ საკითხს ამ მხრივ, ზნეობრივი ღირებულებებით ნა-საზრდოები ქართული მწერლობაც ქადაგებს.

მაშასადამე, უურნალისტი, რომელიც ამბავს ავრცე-ლებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი ჭეშმარიტია და უტყუარი, რის დასაბუთებაც საახალამბებო უურნალისტიკის სტანდარტების შესაბამისად სავალდებულოა. ჩვენი თვითმიზანი არ არის თანამედროვე მედიის ქირდვა, უურნა-ლისტიკის მკვლევრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მედია ლამის ყოველდღიურად ახალ სტანდარტს გვთავაზობს. ეპო-ქალური რეალობა თვალყურის დევნებას მოითხოვს, ყურად-ღების მოდუნება არავის ეპატიება, სტანდარტი ახლებურად უნდა ითქვას, ვინაიდან ჭაობში არ აღმოვჩინდეთ. ეპოქა ხარკს მოითხოვს, მაგრამ უურნალისტმა იგი ეთიკური კო-დექსის კვალდაკვალ უნდა გაიღოს.

სტატიის წერის დროს უურნალისტმა სიტყვები, გა-მოთქმები და ფრაზები სათანადოდ უნდა შეარჩიოს, შესაბა-მისად ავტორმა წინადადებები და აპზაცებიც კონტექსტის მიხედვით უნდა დაალაგოს. ახალ ამბავზე გაზეთის, რადიო-სა და ტელევიზიის უურნალისტები სხვადასხვა მიდგომით მუშაობენ. ავტორები იყენებენ სასაუბრო ენას და წერენ მარტივი, მოკლე წინადადებებით. სასურველია, თითო აზრი მხოლოდ თითო წინადადებებით გადმოვცეთ და აწმყო დროში ვწეროთ. ტექსტი ჩვეულებრივ, ერთი მთავარი თემით შემოი-

ფარგლება. ტელეჟურნალისტის ნაწერი ხშირად იმაზეა და-
მოკიდებული, თუ რა ვიდეომასალაა ხელმისაწვდომი, რომ-
ლის ძირითადი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ამბის
არსი დეტალების გარეშე გადმოსცეს. თუ ზედმეტი იღაპა-
რაკა, შეიძლება რომელიმე სხვა ცნობა მთლიანად ამოვარ-
დეს, თუკი ბევრ აზრს შემოგვთავაზებს, მაშინ შესაძლოა
მსმენელი ან მაყურებელი მთლიანად დაიბნეს.

ახალი ამბავი ზუსტი უნდა იყოს და რა თქმა უნდა, მის
გამოყენებამდე, ინფორმაცია სათანადოდ უნდა გადავამოწ-
მოთ. ახალი ამბების უურნალისტმა ისიც იცის, რომ ზუსტი
ინფორმაციის საუკეთესოდ მოპოვების წყარო დაკვირვებაა.
მედიის წარმომადგენლები შეცდომასაც სწორედ მაშინ უშ-
ვებენ, როცა საკუთარ ვარაუდს ან წყაროს მტკიცებულებას
არ ამოწმებენ.

ახალი ამბის ტექსტის ფორმას განსაზღვრავს ამ ხე-
ლობის მოთხოვნები და შეზღუდვები: დრო და სტატიისთვის
განკუთვნილი სივრცე. ამიტომ ამბების უმეტესობა ისე უნდა
დაიწეროს, რომ სწრაფად და ეფექტურად შეიძლებოდეს მა-
თი გადაკეთება. პირველ რიგში, ამბის თხზვის პროცესში
რაც ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, ეს მოთხოვნის დაკმა-
ყოფილებაა. როგორც კი კონკრეტული მოვლენა იწყებს გან-
ვითარებას, ადამიანებს სურთ გაიგონ _ რა მოხდა. თუ იგი
მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ყურადღებას მიაქცევენ,
თუ არა, მაშინ სხვას „მოძებნიან“. ზოგჯერ სიამოვნება დაძა-

ბულობაშია – სულგანაბვით რომ კითხულობ, სანამ შუა ტექ-
სტში კულმინაციას არ მიაგნებ. თუ უურნალისტი თვლის,
რომ მოცემულ შემთხვევას ასეთი სტრუქტურა მოუხდება,
იგი გადავადებულ ლიდს მიმართავს; თუ გამოთქმა – „ფორმა
ფუნქციას მისდევს“ გულისხმობს საბოლოო ნამუშევრის
მშვენიერებას, მაშინ ახალი ამბის ტექსტი ხელოვნების ნიმუ-
შად უნდა მივიჩნიოთ, რაგინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს იგი.
„ახალი ამბები ხელოვნების კრიტერიუმებს შეესაბამება:
მასში ფორმის ჰარმონიას ესხმის ხორცი“ (მენჩერი).

უურნალისტიკის მკვლევრებმა ისიც კარგად იციან,
რომ სტატიის წერა შემოქმედებითი პროცესია, ამბის მოძიე-
ბა კი ხელოვნება. ამავდროულად ხელოვნებაა ახალი ამბის
დახვეწა, დამუშავება და ტექსტის მომზადება. აქვე დავ-
სძენთ, რომ ეს ინდივიდუალური პროცესიც შემოქმედები-
თია, მაგრამ ამავდროულად დოკუმატურიც, ვინაიდან უურნა-
ლისტი ტექსტის მომზადების დროს კონკრეტულ სტანდარ-
ტებს ეყრდნობა და ითვალისწინებს. ცხადია, ამ სტანდარ-
ტებს მიღმაც იმავება ინდივიდუალური ხელწერა, რაც
უპირველეს ყოვლისა სტატიის ავტორის ნიჭი და უნარია.
ერთგულმა მკითხველმა, მაყურებელმა თუ მსმენელმა, ფა-
ვორიტი უურნალისტი სწორედ რომ ინდივიდუალიზმით უნ-
და ამოიცნოს. სულ რომ სახელის და გვარი მიწერა დაავინ-
ყდეს სტატიის ბოლოში ავტორს, ერთგული მკითხველი მის
ვინაობას წერის სტილით უნდა ხვდებოდეს. სწორედ ამაში

მდგომარეობს უურნალისტური ნაწარმის მიწოდების ხელოვნების თავისებურებანი.

ლევ ტოლსტოი წერდა: „არ ვყვები; არ ვხსნი, მე ვაჩვენებ; ჩემი პერსონაჟები ჩემ მაგიერ ლაპარაკობენ“ („ომი და მშვიდობა“). „მიჩვენე, ნუ მიამბობ. დამანახვე, რასაც შენ ხედავ. დამიხატე სურათი და მერე ყველან გამოგყვები, შემდეგ გვერდზეც კი“, – იხსენებს რიკ ბრეგი. როცა იგი დამწყები რეპორტირო გახლდათ, მას ამ სიტყვებს რედაქტორი ეუბნებოდა.

უურნალისტები იმისთვის წერენ, რომ სხვებმა მათი ნაწერი წაიკითხონ ან მოისმინონ. მათ ისიც იციან, რომ თუ ამბავი კარგად დაწერილი არ არის, მაყურებელი, მსმენელი ან მკითხველი სხვა გამოსავალს მოძებნის. შესაბამისად, უურნალისტობა ამავდროულად პასუხისმგებლობაა ერთგული აუდიტორიის წინაშე. ახალი ამბავი იგივე „ნიუსი“ (ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს უახლოეს ცნობებს მიმდინარე მოვლენების შესახებ), საზოგადოების ყურადღებას მაშინ იმსახურებს, თუ კრებს და ავრცელებს ოპერატიულ, მნიშვნელოვან, დრამატულად დატვირთულ მოვლენებს. თანამედროვე გაგებამ, რომ მედია პიზნესია, მასულდებულებელ წყაროდ სწორედაც რომ ახალი ამბავი აქცია.

„თუ ადრე მედიის საშუალებათა ძირითადი საინფორმაციო წყარო პიროვნებათაშორისი ურთიერთობები იყო, დღეს ახალი ამბების გამოშვებები მოიცავს ინფორმაციას

იმის შესახებ, თუ რა მოხდა უკანასკნელ საათებში პოლიტიკის, მეცნიერების, ეკონომიკის, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის სფეროებში მსოფლიოში ან რეგიონში, სადაც კონკრეტული მედიასაშუალება მუშაობს. ტელევიზიამ, მედიასა-შუალებათაგან პირველმა შეძლო, ინფორმაციის მომხმარებელი ექცია თვითმხილველად, მეტიც, აღწერილ მოვლენათა თანამონაწილეობის იღუზია შეუქმნა მას.

„ნიუსის“ შემდეგი თვისება პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის წონასწორობაა. უარყოფითი ემოციის აღმძვრელი მასალების ხვედრითი წონა არ უნდა აჭარბებდეს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მომხდარი დადებითი მოვლენების ასახვას. „ყვითელი“ ელემენტების შემცველი, იაფასიან სენსაციაზე ორიენტირებული (*ძირითადად რეკლამის ხარჯზე არსებული*) მედიასაშუალებები სისტემატურად იუწყებიან ლოკალური და გლობალური მასშტაბის ტექნოლოგიურ კატასტროფებზე, ბუნების კატაკლიზმებზე, ყოფით პრობლემატიკასა თუ კრიმინალზე“ (მარინე ვეკუა, უილ რუე). ზემოთ მოცემული ამონარიდი ცხადყოფს დღევანდელობას, მაგრამ ამავდროულად მას საკმაოდ ფართო დიაპაზონიც გააჩნია.

„რა პიროვნული სისუსტეებიც არ უნდა გვქონდეს, ჩვენი მონოდების კეთილშობილება ყოველთვის დამყარებული უნდა იყოს ორ ზნეობრივ პრინციპზე, რომელზე უშუალო დაკვირვებაც ძნელია: ვერ ვცრუობთ

იმის შესახებ რაც ვიცით და ძალდატანებისადმი წინააღმდეგობა”, – წერდა კამიუ. შესაბამისად, უურნალისტიკა ამ ორ ზნეობრივ პრინციპს უნდა დაეყრდნოს, ვინაიდან ერთია ამბის გადმოცემა და მასთან დაკავშირებული რიგი ასპექტები, ხოლო მეორეა ზნეობრივი უურნალისტიკის კვალდაკვალ სიტყვის სადარაჯოზე დგომა. უურნალისტიკა საზოგადოებრივი სამსახურის სახეა, რომელიც ადამიანს გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. მოგეხსენებათ, ასეთ უურნალისტიკას სახელოვანი და ხანგრძლივი ისტორია აქვს.

გამოყენებულილიტერატურა

მენჩერიმ, „ახალი ამბების გაშუქება და წერა“;გა-
მომც. დიოგენე, 2013 წ;

იდეის ავტორები: ვეკუამ., რუეჟ. – „უურნალისტი-
კა“;ავტორთა კრებული; გთსუ, 3013 წ;

კოვაჩიბ., როზენ სტილიტ. – „უურნალისტიკის
ელემენტები“;თბ, 2006 წ;

www.media.ge

Nestan mamuchadze

Writing news and some functional aspects related to it

Resume

Journalism is not just news, but it is unimaginable without news. The patterns of news contents is determined by demands and limitations of this art: time and a space which is intended for an article. It is well-known for journalism researchers that writing an article is a creative process, but searching for news is an art. At the same time polishing and processing news and formulating a text is also an art. It should also be mentioned that this individual process is also creative but at the same time – dogmatic too, because while formulating a text journalist takes various standards into a consideration. Clearly there is a sign of an individuality behind these standards too, which is primarily a talent and skills of the author.

სიტყვის თავისუფლება და თანამადროვე მედია

ნათელა ბერიძე

უპირველეს ყოვლისა უნდა გავმიჯნოთ ცნება სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია. სიტყვის თავისუფლება შეიძლება არსებობდეს საზოგადოებაში, მაგრამ მედია არ იყოს დამოუკიდებელი. მედიის დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლების ხარისხი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი.

საზოგადოების დემოკრატიულობის, სიტყვის თავისუფლების რეალიზაცია დამოკიდებულია საზოგადოების მზადყოფნაზე, დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე, შესაბამის კანონმდებლობაზე, მოქალაქეების სურვილზე, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება თუ დაფუძნებული არ არის დემოკრატიული ინსტიტუტებზე მარტო სიტყვის თავისუფლებაა. რაც შეეხება დემოკრატიული მედიის დამოუკიდებლობას და მის საფუძველზე განხორციელებულ სიტყვის თავისუფლებას, ეს სერიოზული პრობლემა საქართველოსთვის. უპირველეს ყოვლისა, მედიის დამოუკიდებლობა დგას მის თვითდაფინანსებაზე, მომგებიანობაზე, ინფორმაციული ბაზრის არსებობაზე, მოსახლეობის მსყიდ-

ველუნარიანობაზე, სარეკლამო მედია ბაზარზე და საერთო ეკონომიკაზე(ფულზე). აქედან გამომდინარე, თუ მედია საშუალება წამგებიანია, იგი ვერ აფინანსებს საკუთარ გამოცემას და ხელოვნურად ცდილობს მის ფუნქციონირებას. იძულებული ხდება მიმართოს დონორ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობებს და სწორედ აქედან იწყება ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს გონიერ საზოგადოებას აწუხებს.

მასმედიის შესახებ ყველა თანამედროვე დისკუსიას საფუძვლად უდევს მე-17-19 საუკუნეებში ჩამოყალიბებული მიდგომები და წარმოდგენები, რომელთა თანახმად თავისუფალი სიტყვა და პრესა უნდა იყოს მოქალაქის ინტერესების სადარაჯოზე, რათა არ დაუშვას სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული მექანიზმების ამუშავება. ამ მიდგომის ჩამოყალიბებისათვის სავანე იყო იმ პერიოდში ევროპა, განსაკუთრებით კი ინგლისი, სადაც წარმოიშვა სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული ჩანასახი- სახალხო სფერო, რომლის ფარგლებში მოგვიანებით ჩამოყალიბდა საზოგადოებრიობა, რომელსაც ჰქონდა საკუთარი განსხვავებული აზრი. საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა და ხელისუფლებისგან დაცვა თავის თავზე აიღო იმდროინდელმა თავისუფალმა პრესამ. სამოქალაქო საზოგადოება თავის ფილოსოფიურ-სოციალურ დასაბუთებას ჰპოვებს ადრეულ ლიბერალურ თეორი-

ებში, რომლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ ინგლი-
სელი პოლიტიკური მოღვაწე

ჯ. მილტონი, ასევე ფილოსოფოსები: ლოკი, ბენტამი
და მილი. სწორედ მათ ნაშრომებში ჰქოვებს თავისუფალი
სიტყვა და პრესა (მედია) თავის თეორიულ ფუნქციას.

**გამოარჩევენ სიტყვის თავისუფლების ისტორიული
განვითარების 4 არგუმენტს:**

1. 17 საუკუნეში სოციოლოგმა ჯ. მილტონმა სიტყვის
თავისუფლებას საფუძვლად დაუდო თეოლოგიური არგუ-
მენტები. ღმერთმა ყოველ ადამიანს მისცა დამოუკიდებლად
აზროვნების შესაძლებლობა. ცენზურით გამოწვეული შეზ-
ღუდვები და აკრძალვები კი ენინააღმდეგება ღვთის ბოძე-
ბულ შესაძლებლობას დამოუკიდებლად, საკუთარი სინდი-
სის კარნახით აირჩიოს ბოროტი ან კეთილი. სწორედ ჯ. მილ-
ტონს ეკუთვნის ისეთი თანამედროვე შინაარსის ცნებები,
როგორებიცაა: „იდეების ბაზარი,“ ან „ჭეშმარიტებასთან
დაბრუნების პროცესი.“ „ვისაც კი რაიმე აქვს სათქმელი უნ-
და გამოხატოს თავისუფლად, ხელისუფლებამ ხელი არ უნდა
შეუშალოს ამ აზრთა ჭიდილს და არ მიემხროს არცერთ მხა-
რეს. შესაძლებელია დროებითი გამარჯვება მოიპოვოს
მცდარმა აზრმა, მაგრამ საბოლოოდ საღი აზრი ჭეშმარიტე-
ბასთან დაბრუნების პროცესის საშუალებით გაიმარჯვება.“ (მილტონი, 1907) თავისუფლებისადმი ჯ. მილტონის თეოლო-

გიური მიდგომა აიხსნება იმ პერიოდში რელიგიის დიდი ავტორიტეტით;

2. სიტყვის თავისუფლებას, როგორც პიროვნებისთვის ბუნებით მინიჭებულ უფლებას აღიარებს ჯ. ლოკი. მასვე ეკუთვნის ხელისუფლების დაყოფის პირველი თეორია, რომლის მიხედვით ხელისუფლება იყოფა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად. ძალაუფლების ცენტრში ჯ. ლოკის მიხედვით არის ხალხის ნება და არა სახელმწიფო. ადამიანები თავისუფლები არიან თავიანთი უფლებების განხორციელებაში. ერთ-ერთ ასეთ ბუნებრივ უფლებად გვევლინება პრესის და ზოგადად მედიის თავისუფლება.

3. საინტერესო არგუმენტმა ჰპოვა გამოხატულება უტილიტარიზმის <utilitas- მოგება, გამორჩენა> ფილოსოფიურ-ეთიკურ კონფერენციაში <თეორიის ფუძემდებელია ბენტამი>. უტილიტარიზმის თანახმად, საუკეთესოდ ითვლება ის კანონები და ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი მოქალაქის ბედნიერ ცხოვრებას. ამ მონაპოვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არის პრესა, რომელიც ენინააღმდეგება დესპოტურ მმართველობას, ხელს უწყობს ხალხის სასიკეთო კანონების მიღებას და აკონტროლებს ბიუროკრატიის საქმიანობას. <ჩერნიხი, 2000>.

4. ლიბერალიზმის განვითარებაში ეპოქალური როლი ითამაშეს ბენტანმა და ჯ.ს. მილმა. ყველა ადამინმა უნდა აკეთოს ის, რაც მას უნდა, მხოლოდ ამით სხვა არ უნდა ავნოს. საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი „ტკბებოდეს მეტი ბედნიერებით“. ეს მას მისცემს საშუალებას, იფიქროს და იმოქმედოს დამოუკიდებლად. მხოლოდ მოქალაქეებს შორის აზრთა და შეხედულებათა თავისუფალი გაცვლით არის შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა. ჯ.ს. მილმა დაასახელა სამი მიზეზი, თუ რატომ უნდა არსებობდეს ქვეყანაში თავისუფალი მედია:

ა) ინფორმაცია, რომელსაც ხელისუფლება მიიჩნევს „ცრუ“ ინფორმაციად, შეიძლება დაფუძნებული იყოს რეალურ აქტებზე, ამიტომ ცენზურას დაქვემდებარებული ინფორმაცია „პოტენციური ჭეშმარიტების“ მატარებელია;
ბ) ცრუ ინფორმაციაც კი თავის თავში ატარებს ჭეშმარიტების მარცვალს და ამიტომ ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა საპირისპირო აზრთა ჭიდილი თავისუფალი მედიის გარეშე; გ) თუ ჭეშმარიტი აზრი მოკლებულია კრიტიკას, იგი დროთა განმავლობაში გადაიქცევა „ცრურწმენად“. ამიტომ მედია არის ჭეშმარიტების მოკავშირე და არ შეიძლება მისი ცენზურა და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა.

თ. ჯეფერსონს განათლებისა და ინფორმაციის მთავარინსტრუმენტად თავისუფალი პრესა მიაჩნდა. ამგვარად, ყველა მოაზროვნე თვლის, რომ მედიის საშუალებით აზრის

თავისუფლად გამოხატვა არის საზოგადოებრივი აზრის გავრცელების აუცილებელი პირობა. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითებიც: XVIII საუკუნის 30 წლებში ლონდონის ერთერთი ჟურნალის „Jentlmens magazine“- ის, გამომცემელმა ედუარდ ქეივმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა პარლამენტში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ამისათვის და მსგავსი ქმედებებისათვის იგი რამოდენიმეჯერ დააპატიმრეს. ხელისუფლებასთან გართულებული ურთიერთობების გამო ქეივმა გამოიგონა ქვეყანა „ლილიპუტია“რომელშიც გადაიტანა პარლამენტი, პარლამენტის წევრებს ადვილად მისახვედრი სახელები და ჟურნალში რუბრიკით „პაექრობა ლილიპუტიის სენატში“, ბეჭდავდა პარლამენტის შესახებ ინფორმაციებს, ესტაფეტა გადაიბარა ჯონ ვილკემ, რომელმაც შეძლო თავის ჟურნალში „North Britain“ დაეპეჭდა ლონდონის სიღარიბის შესახებ სტატიები. მთლიანობაში ორმოცნლიანი ბრძოლის შემდეგ, 1771 წელს, პრესას მისცეს უფლება ინგლისის პარლამენტის ორივე პალატის შესახებ ინფორმაციები გამოექვეყნებინა. სახელმწიფო ძალაუფლებაზე პრესის პირველ გამარჯვებად სწორედ ეს ფაქტი აღიარეს და ამან დაუდო საფუძველი „მეოთხე ხელისუფლების <პირველად ეს ტერმინი გვხვდება ე.ბერკთან> იგივე „მეოთხე წოდების“ წარმოშობას. საქართველოში მედიამ თავისუფალი გავლენა დაიწყო 1819 წლიდან, როდესაც გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“. მასში ათავსებ-

დნენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბრძანებებსა და განკარგულებებს, მოხელეთა დანიშვნას, გადაყვანას და დაჯილდოებას, საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის ამბებს, ანეგდოტებსაც კი. შემდგომში ზემოაღნიშნული გამოდიოდა „ქართული გაზეთის“ სახელით. 1800–1900 წლებში საქართველოში გამოიცემოდა 13 მსხვილი ჟურნალი გაზეთი: „დროება“ – <1866–1885>; „თბილისის უნივერსიტეტი“ – <1828–1932>; „ივერია“ – <1886–1906>; „მოამბე“ – <1884>; „ცნობის ფურცელი“ – <1896–1906>; „ცისკარი“ – <1887> და სხვა.

ტრადიციული თეორიული მიდგომისგან განსხვავებით, თანამედროვე მასმედია ინფორმაციას თავად ახარისხებს, ფილტრავს და გამოკვეთს თემატიკას, რითაც ადგენს „დღის წესრიგს“. დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არის წარმოდგენილი როგორც სპეციფიკური შუამავალი, რომელიც დემოკრატიულ ფარგლებში ვერ თავსდება, რადგან ჟურნალისტები მასმედიას საშუალებით გამოხატავენ იმ ადამიანთა ჯგუფების შეხედულებებს, რომლებსაც მეტი სხვადასახვა რესურსის გამო ხელი მიუწვდებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. <ჩერნიხი, 2000>.

მედიის თავისუფლების შეზღუდვა ეხება ორ სფეროს: ეს არის სახელმწიფო საიდუმლეობა და ინფორმაციები, რომლებიც საზოგადოებრივ ღირებულებებს აყენებენ ზოანს. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, არის სპე-

ციიალური აკრძალვები ამ საკითხთან მიმართებაში. მედიის საქმიანობის კლასიკური ტრადიციული გაგება – თავისუფალი მედია დაფუძნებულია ლიბერალიზმზე, რომელიც სახელმწიფოსა და ნებისმიერი პოლიტიკური ძალისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს.

საქართველოში, რომლის მოსახლეობა ხუთ მილიონს არ აღემატება, ორმოცამდე ტელე და ოცდაათამდე რადიო-სადგური მოქმედებს. გარდა ამისა, მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე ზრუნავს 90-მდე გაზეთი და ჟურნალი.

საქართველოში მედია საშუალებების სიმრავლეს განაპირობებს ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც გარდა იმისა, რომ კრძალავს ცენზურას, ასევე ათავისუფლებს უურნალისტებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ცილისწამების შემთხვევაში. თუმცა ამგვარი ლიბერალური კანონების მიუხედავად, ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართული მედიის თავისუფლების ხარისხმა საგრძნობლად იყლო. საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველო 25,17 ქულით 197 ქვეყანას შორის 99-ე ადგილზეა. ამ მაჩვენებლით საქართველო დსტ-ს ყველა ქვეყანას უსწრებს. ორგანიზაციის დასკვნაში, რომელიც საქართველოში მედიის

პრობლემებს ეხება, ნათქვამია, რომ ზოგადად საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი საკმაოდ მაღალია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ წლევანდელი კვლევით, საქართველოს რეიტინგი გასულ წელთან შედარებით ხუთი საფეხურით ჩამოქვეითდა. პრესის თავისუფლების მხრივ საქართველოს 2004 წელს 94-ე ადგილი ეკავა, ხოლო 2003 წელს 73-ე. 2014 წელს პრესის თავისუფლება გაუარესდა (ამერიკის ხმის) პუბლიკაცია 29. 04. 2015ნ. ამერიკის თავისუფლების ანგარიშის მიხედვით, რომელიც მედიის მდგომარეობას 199 ქვეყანაში იკვლევს. ანგარიშში საქართველოს მაჩვენებელი ერთი ქულით შარშანდელის 47-ის ნაცვლად მას წელს 48 ქულა აქვს, რაც მნიშვნელოვან ცვლილებად არ ითვლება. კვლევის ერთ-ერთი ავტორი საქართველოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებს ადარებს და ამბობს, რომ აზეირბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით საქართველოში პრესის თავისუფლების გარემო შედარებით თავისუფალია. „ფრონდომ ჰაუსი“ პრესის თავისუფლების შესწავლისას ქვეყნებთან ერთად რეგიონების ანალიზსაც აკეთებს. პრესის თავისუფლების ხუთეულში - ფინეთი, ნორვეგია, დანია, ნიდერლანდები და შვედეთი მოხვდნენ. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით მათი ადგილები ასე გამოიყურება: სომხეთი - 78-ე; თურქეთი - 149-ე; რუსეთი - 152-ე და აზეირბაიჯანი - 162-ე ადგილზე.

საერთაშორისო ორგანიზაცია „უურნალისტები საზღვრებს გარეშე“ მონაცემებით პრესის თავისუფლების ინდექსით 2015 წლის მონაცემებით საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა 180 ქვეყანათა შორის და 15 პუნქტით მაღლა აინია, სადაც გასულ წელს 84-ე ადგილზე იმყოფებოდა და კიდევ უფრო უარესი რეიტინგული მდგომარეობა ჰქონდა 2005 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე.

საერთაშორისო შეფასებებით, საქართველო კვლავინდებურად ნაწილობრივ თავისუფალი პრესის მქონე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რაც საკმაოდ დამაფიქრებელია იმ ფონზე, როდესაც ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინ მიდის. პრესაში ასეთი პროგრესი არ ხდება. უფრო მეტიც, ზოგადი პრესის ფონზე პრესა ისევ ძველ პოზიციებს ინარჩუნებს, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მედია საზოგადოების განვითარების ტემპს ჩამორჩა და გარკვეულ უკანასკნელთანაც კი გვაქვს საქმე.

გამოყენებული ლიტერატურა

დანელია ნ. „მედიის დამოუკიდებლობა და მედიაზე კონტროლის საშუალებები. თბ. 2008 წ.

დანელია ნ. ნინი გოგიბერიძე „თვითცენზურა.“ (მედიის კვლევა)

Mc Quail D. Mass Communication Theory: An introduction. L. 1987

А. Черных, Социология массовой коммуникации. 2000

Философский энциклопедический словарь. М. 1989

Ваптанова Е. Л. МИ и журналистика в пространстве постиндустриального общества. 2009

Мильтон. Д. О свободе печати (Ареопагитика) пер. С. Апгл. М. 1907.

Ср. Хоркхайтер М. Адорно Т. В. Диалектика Просвещенияю

Философские фрагменты. М. СПБ. 1997

Natela Beridze
Freedom of Speech and Modern Media

Resume

First of all we shoul didentify the difference between the freedom of speech and independent media. Freedom of Speech can existin society butit does not mean that media is independent.

Independence of media and its quality of freedom are the most important measurement. Formingof Democratic society and creating the freedom of speech dependon the following factors: the readines sofcommunity, political willof the democratic government, also legislation should bere levantand of courseit depends on modern mean sof communication.

Nowadays massmedia is consideredas a specificmediator, which can not satisfy democratic principles, as journalists mostly express the viewpoints of the catogary of people having access to the media through different canals and resources Accordingly, themost important and essential issuesremainun known for society.

სამართალი

Право

Law

უფლების დაცვის „ხანძაზმულობის“ ვადები სამოქალაქო მატერიალურ სამართალში

ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე

სამოქალაქო უფლების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას, ეს განსაკუთრებით ეხება იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება, როგორც წესი დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე. კერძოდ, აღსანიშნავია მოთხოვნის სამართლებრივი განხორციელებადობა. სამოქალაქო უფლებების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. დრო, განსაზღვრული პერიოდის გასვლა გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობაზე, შეცვლასა და შეწყვეტაზე. ყველა სამართლებრივი მოვლენა და ურთიერთობა წარმოიშობა და მოქმედებს განსაზღვრულ დროში.

ხანდაზმულობა, არის დრო, პერიოდი, რომლის განმავლობაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. ანუ ვადა, რომლის განმავლობაში უფლებამოსილ პირს შეუძლია სხვა პირს(მოვალის) მიმართ არსებული მოთხოვნის იძულებითი განხორციელება.⁵ ამდენად ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი ცნება-მოთხოვნა- და არა აბსოლუტური უფლება. მაგალითად საკუთრება არ ვრცელდება საკუთრების უფლებაზე: მესაკუთრე მარადიულად რჩება მესაკუთრედ, მაგრამ ხანდაზმულობა ვრცელდება მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნაზე- გამოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთი. ეს იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრე, თუმცა რჩება მესაკუთრედ, კარგავს მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის უფლება, თუკი იგი გაუშვებს ხანდაზმულობის ვადას. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

უფლების განხორციელების შეზღუდვამ განსაზღვრული ვადებით უნდა უზრუნველყოს **სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა.** კრედიტორმა დროულად უნდა იზრუნოს თავისი მოთხოვნის განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს ამის შესაძლებლობას.

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი მუხლი 128.

სიტყვა «ხანდაზმულობა» სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდ ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებზე. ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება სადაო გარემოებების უტყუარად აღდგენა და პირები, რომელსაც უსაფუძვლოთ წაეყინათ მოთხოვნა, აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს. ეს რომ ასე არ მოხდეს და სასამართლო პროცესი დროის ხარჯვად არ იქცეს, კანონმდებელმა უფლებამოსილ პირს უფლების განსახორციელებლად გონივრული ვადა უნდა დაუწესოს. დაუშვებელია რომ ადამიანები უსასრულოდ იყვნენ ერთმანეთთან სტრესულ და გაურკვეველ მდგომარეობაში.

ხანდაზმულობა იწვევს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობის შეწყვეტას. მაგრამ არა სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში მიმართვის უფლების შეწყვეტას. პირს ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოსათვის მიმართვა და თავისი მოთხოვნის დაყენება, თუნდაც ეს მოთხოვნა ხანდაზმული იყოს. მოთხოვნის ხანდაზმულობა არ ნიშნავს ამ მოთხოვნის შეწყვეტას. მოთხოვნა კვლავინდებურად არსებობს და მოვალეს კვლავაც შეუძლია ეს მოთხოვნა ნებაყოფლობით შეასრულოს, მაგრამ კრედიტორი კარგავს მოვალისაგან ამ მოთხოვნის იძულე-

ბით შესრულების შესაძლებლობას. ამ გაგებით ხანდაზმულობა კრედიტორის დისციპლინირების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია თითქმის ყველა სახელშეკრულებო თუ კანონიერი მოთხოვნა, რომელიც ექვემდებარება ხანდაზმულობას.

იმის გამო, რომ სამოქალაქო უფლების დაცვის ძირითადი საშუალება არის სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და დარღვეული უფლების აღდგენა ხდება იძულებითი წესით, ხანდაზმულობა მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით მჭიდროდ არის დაკავშირებული სარჩელზე უფლების პროცესუალურ გაგებასთან. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა-პროცესუალური მოქმედებაა, რამდენადაც სასამართლო ვალდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს სადაო საკითხი პროცესუალურად დადგენილი წესით. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა, პირს ყოველთვის აქვს უფლება პროცესუალურად ყოველთვის მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა.

სხვა საკითხია ამ სარჩელის დაკმაყოფილება. ხანდაზმულობის ვადები, რომელიც კანონით არის დადგენილი იმპერატიული ხასიათისაა და მხარეებს უფლება არ აქვთ თავიანთი შეხედულებით შეამცირონ ან გაზარდონ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები ან შეცვალონ მათი გამოთვლის წესი. სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლი პირდა-

პირ მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ასეთი შეთანხმება მხარეთა შორის ჩაითვლება ბათილად, რამდენადაც ეს არის კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაა. სხვა სამოქალაქო ვადები კი პრაქტიკულად შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს. ჩვეულებრივ სამოქალაქო ვადებზე არ ვრცელდება ის წესები, რაც დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დაწყების, შეჩერების თუ შეწყვეტისათვის.

ხანდაზმულობის ვადები არ შეიძლება გავაიგივოთ სხვა სახის სამოქალაქო ვადებთან. ხანდაზმულობის ვადა ახლოს დგას თავისი ბუნებით საერთო უფლების არსებობის ვადასთან, ალმკვეთ ვადასთან, რამდენადაც ყველა შემთხვევაში ვადის გასვლასთან დაკავშირებულია სუბიექტური უფლების განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ მათ შორის მაინ არის სხვაობა.

ხშირად აიგივებენ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას საპრეტენზიო ვადასთან, რაც არასწორია რადგანაც საპრეტენზიო ვადა დადგენილი იმისათვის, რომ მხარეებმა ურთიერთშორის წამოქრილი პრეტენზიები თვითონ მოაგვარონ უშუალოდ, სხვის ჩაურევლად, ხანდაზმულობის ვადა კი ადგენს დროს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია უფლების იძულებითი განხორციელება სასამართლოს მეშვეობით. მაგრამ როგორც საპრეტენზიო ვადა, ასევე ხანდაზმულობის

ვადები დაკავშირებულია უფლების დარღვევასთან. სამოქალაო კოდექსის ადგენს შეცილების ვადებს საცილო გარიგებები დადების მომენტში ნამდვილია. ოლონდ მისი ბეჭდ დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს თუ არა გარიგების მხარე (ან უფლებამოსილი პირი) ამ გარიგებას. თუ ეს მოხდა, მაშინ გარიგება დადების მომენტიდან ვერ ჩაითვლება ბათილად. საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები. გარიგების შეცილება, როგორც წესი, ხორციელდება შეცილების შესახებ განცხადების გაკეთებით. დაინტერესებულ პირს შეუძლია არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს. კანონი შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან. (მუხლი 79-ე). მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადაც გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. (მუხლი 84-ე). იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადაც გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. (მუხლი 89-ე). ასევე სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლი ადგენს უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ სარჩელის შეტანის ვადას კერძოდ „სარჩელი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ დაინტერესებულ

პირთა მიერ წარდგენილ უნდა იქნეს ხუთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას.“ კოდექსის 1409. მუხლით გათვალისწინებულია სარჩელის წარდგენის ვადა. კერძოდ, 1. სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. 2. ხანდაზმულობის ეს ვადა არ ვრცელდება მესაკუთრის სარჩელზე, როცა მოანდერძემ მემკვიდრეს არასწორად უანდერძა სხვისი ქონება, როგორც თავისი.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი დიდ დახმარებას უნივერსიტეტების სასამართლოს დავების სწორად გადაწყვეტაში, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. თუკი კანონით არ იქნებოდა განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში მხარეს შეუძლია იძულებითი წესით მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგება, ამით გართულდებოდა სასამართლოში საქმეთა გადაწყვეტა, გაიზრდებოდა სავარაუდო მტკიცებულებათა რიცხვი და მეტი პრობლემა შეიქმნებოდა საქმის ფაქტიური გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა ხელს უწყობს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის დამყარებას, სამოქალაქო ბრუნვაში სტაბილიზაციის დამკვიდრებას. როცა პირი დიდი ხნის მანძილზე უყურადღებოდ ტოვებს თავისი უფლების დარღვევას, არ მოითხოვს მის იძულებით დაცვას, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული თავისი უფ-

ლების განხორციელებით ან ნაკლებად არის დარწმუნებული თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობაში.⁶

ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე (თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ ხანდაზმულობის ორ ვადას: საერთოსა და სპეციალურს. ხანდაზმულობის საერთო ვადა ეს არის ის დრო, რომელიც დადგენილია ზოგადად ყველა კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის გარდა იმ ურთიერთობებისა, რომელთა მიმართ კანონით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის სპეციალური ვადები. თუკი კანონით სპეციალურად ვადა არ არის დადგენილი, მაშინ ყველა მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადა დაწესებულია კონკრეტული ურთიერთობებისათვის..ეს სახელწოდება არაზუსტია, რამდენადაც სპეციალური ვადა შეიძლება საერთო ვადაზე მეტიც იყოს. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივ-

⁶ ავთანდილ კობახიძე სამოქალაქო სამართალი თბილისი 2001 წ.

თებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს.

სანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან სამი წელია. მაგალითად, ბინის ქირავნობის დროს დამქირავებელი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს ბინის ქირა. თითოეული შესრულების დარღვევა წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.

საერთო ვადაზე უფრო მეტი ვადა გათვალისწინებულია 920-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, ფასიანი ქალალდებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულების ვადის დადგომიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი ზოგადი ნაწილი ცდილობს ხანდაზმულობის ვადები ერთიანად მონესრიგოს, ცალკეული კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას სპეციალური ვადები მაინც გამოიყენება. ეს ვადები შეიძლება იყოს განმტკიცებული კერძო სამართლის სხვადასხვა კანონებში. მაგალითად მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით ამ კანონიდან გამომდინარე პრეტენზიების ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ხუთ წელს(პირველი ნაწილი), ხოლო საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა-ორი თვეა(მეორე ნაწილი).

ამრიგად, ყოველი კონკრეტული მოთხოვნის განხორციელებადობის შემოწმებისას უნდა დაზუსტდეს, თუ ხანდაზმულობის რომელი ვადა გამოიყენება და რომელი კანონიდან გამომდინარეობს ეს ვადა.

ვინაიდან ხანდაზმულობას მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა მომენტიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ხანდაზმულობის ათვლის ობიექტურ და სუბიექტური სისტემები. ობიექტური სისტემის დროს ხანდაზმულობის ვადის ათვლა არ არის დამოკიდებული იმაზე, უფლებამოსილმა პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ თუ არა და გადამწყვეტია ის, თუ ობიექტურად როდის წარმოიშვა მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს სუბიექტურ სისტემას და ხანდაზმულობის დაწყების მომენტად მიიჩნევს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. (130-ე მუხლი).

თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა პირმა არ იცის მისი უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ კანონი ზუსტად განსაზღვრავს ხანდაზმულობის დაწყების მომენტს და ამას არ უკავშირებს იმ ფაქტს, იცის თუ არა უფლებამო-

სილმა პირმა ამის შესახებ. მაგალითად. 699-ე მუხლის მიხედვით, ხანხაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს; კოდექსი არაფერს ამბობს, უნდა იცოდეს თუ არა პირმა ამის შესახებ.

ამ საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია გარკვევა ხომ არ არის მითითებული მოთხოვნის წარმოშობის მომენტი კანონში ან ხელშეკრულებაში. თუკი მითითებულია ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.

ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი ადგენს გამოსყიდვის ვადას რომელის არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. კოდექსის 529-ე მუხლი ადგენს ერთწლიან ვადას ჩუქების გაუქმებისათვის, როცა კანონი ამ ჩუქების გაუქმების უფლებას იძლევა. კოდექსის 561-ე მუხლით დადგენილია სამთვიანი ვადა ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის, 573-ე მუხლით დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ექვსთვიანი ხანდაზმულობა გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო. იგივე სამთვიანი ვადა გამოიყენება ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკ-

რულების მოშლისათვის, ხოლო როცა იჯარის ხელშეკრულება უვადოდ არის დადებული, მისი მოშლა შეიძლება საიჯარო წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში. იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის მოიჯარის გარდაცვალების გამო, მემკვიდრეებს შეუძლიათ საიჯარო ურთიერთობა მოშალონ კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში(მული 590). კოდექსის 663-ე მუხლი ადგენს მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა 1. 659 — 662-ე მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნები ტურისტს შეუძლია წარუდგინოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე. ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.

2. ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.

კოდექსის 655-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადას წარდობის ხელშეკრულებაში შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნისათვის. შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი

წლის ვადაში, ხოლო თუ მოთხოვნა ნაგებობას შეეხება ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. კოდექსის 699-ე მუხლით განსაზღვრულია გადაზიდვიდან გამომდინარე უფლების ხანდაზმულობის ვადა. საერთო წესის მიხედვით, ეს ვადა შეადგენს ერთ წელს, მაგრამ როცა სახეზეა განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, ეს ვადა გაზრდილია სამ წლამდე. დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (მუხლი 1008-ე). სამი წელია დადგენილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის დაპრუნების მოთხოვნისათვის (160-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლით გათვალისწინებულია წუნდებული პროდუქტიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა 1. წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობისათვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. 2. მოთხოვნა ქარნებულდება იმ მომენტიდან 10 წლის შემდეგ, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა.

ასევე კოდექსის 1391. მუხლით გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის შესრულების ვადა.

საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ვადები კერძოდ სამოქალაქო კოდესის 1183-ე; 1188-ე; 1190-ე მე-7 ნაწილი; 1341-ე; 1378-ე; 1424-ე; 1432-ე; 1434-ე; 1450-ე; 1455-ე; 1483-ე; 1488-ე;

1500-ე მუხლები, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა დროულად დავიცვათ და განვახორციელოთ სამოქალაქო უფლებები.

ხანდაზმულობის ვადების წარმოშობის, მოქმედების და დასრულების საკითხების განხილვასთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე ცოდნა იმისა თუ როდის, რის საფუძველზე ჩერდება ან/და წყდება ხანდაზმულობის ვადები და რა სამართლებრივი შედეგები დგება(წარმოშობა).

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდეს და დროის ფაქტობრივმა დინებამ, გასვლამ ხელი არ შეუშალოს უფლებამოსილ პირს თავისი მოთხოვნის განხორციელებაში. სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ორ ჯგუფს ჰქონდა: პირველია, როცა უფლებამოსილი პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიკლებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას და, მეორე, როცა ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვა-

დის დენა არ არის მიზანშეწონილი, ხანდაზმულობის ვადა ძირითადად უწყვეტად მიმდინარეობს, მაგრამ რეალურად არის კანონით გათვალისწინებული ისეთი გარემოებები, რომლებიც აბრკოლებებს ანდა ართულებენ დადგენილ ვადაში წარადგინოს პირმა სარჩელი თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად თუ დარღვევის აღსაკვეთად. ასეთი გარემოებების არსებობის დროს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ითვლება შეჩერებულად.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერების არსი ის არის, რომ დრო, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ის გარემოებები, რომლებიც იწვევენ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას და რომლებიც აბრკოლებენ დარღვეული უფლების დაცვას, არ ჩაითვლება კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში. მოთხოვნის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლში, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევს შემდეგი გარემოებები:

- ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცილებელი დაუძლეველი ძალა;
- კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

■ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
კანონში ხაზგასმით არის აღნიშნული ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებაზე საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლი მიხედვით, სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.“

კანონმდებლობა განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტს. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ მორატორიუმი, დაუძლეველი ძალა, არმიის რიგებში ყოფნა წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, -ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, - ხანდაზმულობის ვადამდე. მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან ორი წლის და ათი თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენა რამდენი თვით გაგ-

რძელდება? ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება არა დარჩენილი ორი თვით, არამედ ექვსი თვით.

სამოქალაქო ურთიერთობათა სწორი რეგულირები-სათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რო-დის შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისას, შეჩერე-ბისაგან განსხვავებით „შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედ-ველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დება თა-ვიდან იწყება“. ხანდაზმულობის შეწყვეტა არ ნიშნავს მოთ-ხოვნის შეწყვეტას. პირიქით, ამ დროს არსებობს ისეთი გა-რემოება, რომელიც უფლებამოსილი პირის მდგომარეობას კიდევ უფრო ამყარებს და უფლების განხორციელების ხან-დაზმულობის ვადის ათვლას თავიდან იწყებს. ხანდაზმულო-ბის შეწყვეტას სამოქალაქო კოდექსი ორ გარემოებას უკავ-შირებს: პირველი, ვალდებული პირის მიერ მოთხოვნის აღ-არებას ან, მეორე, უფლებამოსილი პირის მიერ სასამარ-თლოში ან სახელმწიფო სხვა ორგანოებში მიმართვას (138-ე მუხლი).

მოთხოვნის არსებობის აღიარებით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, ასევე თუ უფლებამო-სილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებ-ლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს

მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

სამოქალაქო კოდექსის 476 მუხლის თანახმად „ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.

ვალდებულების მონაწილე პირის შეცვლა არ იწვევს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლას, არც მის შეწყვეტას და არც შეჩერებას. თუ ნივთი რომლის მიმართაც არსებობს სასარჩელო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართ.

კანონი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობასაც.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპ-

როცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვო-დან თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვა-და დაინტება თავიდან.

„ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენის შეწყვეტა ნიშნავს ხანდაზმულობის ვადის დენის სრული ხანგრძლივობით ხელახალა დაწყებას. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „მხოლოდ იმ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყებაა შესაძლებელი, რომელიც ჯერ კიდევ მიდის“. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებულმა აღიარებამ არ შეიძლება ხანდაზმულობა შეწყვიტოს“ - ნათქვამია

პალატის პალატის განმარტებაში;⁷

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მიმავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება სსკ-ს 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა ანუ სამი წელი.

ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება, აგრეთვე, უფლებამონაცვლის მიმართაც.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. მაგრამ თუკი ის მოქმედებას ასრულებს კრედიტორს უფლება აქვს მიიღოს მოვალის მიერ შესრულებული. ამასთან თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მო-

⁷ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება: 28/4587-14;

ითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში არ-სებობს მთავარი და დამატებითი მოთხოვნები. საინტერესო საკითხია თუნდაც ის რომ გავერკვიოთ რა ხდება მაშინ, როცა მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გავიდა, ხოლო დამატებითი მოთხოვნისათვის კი ვადა ჯერ კიდევ არსებობს. ამ შემთხვევაში გასულად ჩაითვლება თუ არა ხანდაზმულობის ვადა დამატებითი მოთხოვნებისათვის?

მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „უარის თქმის“ პრაქტიკული განხორციელება, განსაკუთრებით კი სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის გამოყენება. ამ დროს იძადება კითხვა: აქეს თუ არა სასამართლოს უფლება დამოუკიდებლად, ვალდებული პირის მითითების გარეშე, დაეყრდნოს მოთხოვნის ხანდაზმულობას და

ამ საფუძვლით არ დააკმაყოფილოს უფლებამოსილი პირის სარჩელი. ხანდაზმულობის ვადის გასვლა, როგორც წესი იწვევს დარღვეული უფლების აღდგენაზე უარის თქმას. კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ანუ „უარის თქმის უფლება“ ვალდებული პირის შესაგებელს წარმოადგენს, მან ეს უფლება თვითონ უნდა გამოიყენოს და სასამართლოს ამ პირის მითითების გარეშე არ შეუძლია გამოიყენოს ხანდაზმულობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები მოსამართლეს ართმევენ იმის უფლებას, რომ მან პროცესის მონაწილეებს მიანიჭოს იმაზე მეტი, ვიდე მათ მოითხოვეს. უზენაესი სასამართლოს სასამართლო სამართალი უკანასკნელ წლებში ამ შეხედულებას განამტკიცებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე თუ როგორი ფორმით უნდა გამოხატოს ვალდებულმა პირმა თავისი შესაგებელი. უნდა მიუთითოს მან პირდაპირ, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია თუ საკმარისია იმის თქმა, რომ ამის მერე ძალიან დიდი ხანი გავიდა? ვფიქრობ ეს უკანასკნელი საკმარისია. პროცესის მონაწილეს არ მოეთხოვება, რომ მისი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლები წარუდგინოს სასამართლოს. ეს სასამართლომ თვითონ უნდა გააკეთოს.

ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მატერიალური გაგებით ნიშნავს სარჩელზე უარის თქმას. თუ საქმის განხილვის დროს გამოვლინდა, რომ მოსარჩელემ გაუშვა ხანდაზმუ-

ლობის ვადა, სასამართლომ მას უნდა უთხრას უარი, თუნდაც დარწმუნდეს უფლების დარღვევის რეალობაში. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, იწვევს თუ არა ხანდაზმულობის ვადის გასვლა სამოქალაქო უფლების გაქარწყლებას. ზოგიერთი ავტორის აზრით ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა პირის სუბიექტური უფლება მოითხოვოს იძულებითი წესით ამ უფლების აღდგენა .⁸ სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ უფლებამოსილი პირის სუბიექტური უფლება ისპობა მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით. ავტორთა უმრავლესობა კი მიიჩნევს რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით არ ისპობა უფლებამოსილი პირის სუბიექტური უფლება, ის აგრძელებს არსებობას, მაგრამ არ შეიძლება მისი იძულებით განხორციელება . საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მეორე ნაწილი თანახმად თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც. ვიდრე სასამართლო არ გადაუწყვეტია

⁸ Иоффе О.С. Советское грюправо М:1976.

საკითხი უარი ითქვას თუ არა პირს დარღვეული უფლების აღდგენაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მანამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ პირის უფლება გაქარნილებულია სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის აღდგენას.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შეძენითი ხანდაზმულობას .კოდექსის 165-ე მუხლის შესაბამისად თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით). ასეთი შეძენა არ დაიშვება, თუ შემძენი ნივთს არაკეთილსინდისიერად ფლობდა, ან თუ მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა. ხოლო რაც შეეხება უძრავ ნივთს კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.

ზემოაღნიშნული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად. უფლების დაცვის „ხანდაზმულობის“ ვადები პრობლემატური საკითხია ქართულ სამართალში. ვინაიდან და რადგანაც ქართველები სამართლებრივ კულტურას, კერძოდ ის, რომ კანონის ცოდნა და გამოყენება მნიშვნე-

ლოვანია და არა მხოლოდ ფაქტობრივი ურთიერთობები, ბოლო წლების განმავლობაში ვეზიარებით. დღესაც დღის წესრიგშია აღნიშნული საკითხისადმი გულგრილად დამოკიდებულება. სწორედ რომ უფლების დაცვის „ხანდაზმულობის“ ვადების უცოდინარობის ან/და არაკომპეტენტურობის გამო სამოქალაქო საზოგადოება მძიმე მატერიალურ და მორალურ ზიანს განიცდის. სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

ლადო ჭანტურია სამოქალაქო სამართლის ზოგადო ნაწილი თბილისი 2011 წ.

ავთანდილ კობახიძე სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი 2001 წ.

გიორგი თუმანიშვილი სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2012წ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი

Иофф О.С. Советское право М:1976.

სააპელაციო გადაწყვეტილება: 2ბ/4587-1სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის

Linda Shalamberidze-Verdzadze

**The “limitation” dates of defending rights in civil material
law**

Resume

The purpose of the topic is to deeply introduce to the reader the legal norms defining legal terms of the Georgian civil material law as well as rules for measuring the dates and their sphere of use which in turn will give to the reader skills concerning civil law and defense in problematic matters.

The above mentioned topic is very important in order to raise legal knowledge of the civil society. The “limitation” dates of defending rights are a problematic matter in the Georgian legislation.

« »

« » » ;

,

« » »

შრომების კრებული

Сборник трудов

PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები
Вопросы социальных наук
Problems of Social Sciences

VII

რედაქტორი:
ირაკლი მანველიძე

ტექნიკური რედაქტორი
გიორგი ქათამაძე

გამომცემლის რედაქტორი:
იზა ხარებავა

ტირაჟი 200